



საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ადმინისტრაცია
და საერთაშორისო
კავშირების განყოფილება

World Vision
GEORGIA



ბაღდები პანდეშიის დროს

პრაქტიკული გზამკვლევი სკოლაშენი
დანახებულაბებისათვის

2020

World Vision

GEORGIA



ბაღები კანდეშიის დროს

პრაქტიკული გზამკვლევი
სკოლამდელი დაწესებულებებისათვის

(საპილოტე ვერსია)



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

2020

გზამკვლევის მუშაობდენ:

ცირა ბარქაია – ფსიქოლოგი, ინკლუზიური და ადრეული განათლების სპეციალისტი; „WV საქართველოს“ ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების პროგრამის კოორდინატორი, გზამკვლევის ექსპერტი

ზურაბ ალხანიშვილი – ჯანმრთელობის ხელშეწყობის მაგისტრი, „WV საქართველოს“ კონსულტანტი: გზამკვლევის ჯანდაცვის ექსპერტი

ნანა გოჩიაშვილი – სოციალური მუშაკი, იურისტი, „WV საქართველოს“ კონსულტანტი – გზამკვლევის ბავშვთა დაცვის ექსპერტი

თონა ჯულუხაძე – საჯარო პოლიტიკის და მართვის სპეციალისტი, სკოლამდელი განათლების სპეციალისტი, „WV საქართველოს“ კონსულტანტი: გზამკვლევის სკოლამდელი განათლების მართვის ექსპერტი

ნინუ კიკნაველიძე – ფსიქოლოგი, ადრეული განათლების სპეციალისტი, „WV საქართველოს“ კონსულტანტი: გზამკვლევის სკოლამდელი განათლების ექსპერტი

მარიამ ხვადაგიანი – ნეიროფსიქოლოგი, „WV საქართველოს“ კონსულტანტი: გზამკვლევის ფსიქოლოგი

მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი – ინკლუზიური განათლების კონსულტანტი, ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი, „WV საქართველოს“ კონსულტანტი: შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების ექსპერტი

რედაქტორი: **ჭაბუკი ქირია**
ყდის დიზაინი: **ნიკოლოზ ლომიძე**
დიზაინი: **გვანცა მახათაძე**

World Vision საქართველო
თბილისი, 2020

„World Vision საქართველო“ უკვე 20 წელია ბრუნავს ბავშვის დაცვის სისტემების გაძლიერებასა და საზოგადოების როლის გააქტიურებაზე, რათა ხელი შეუწყოს ბავშვთა კეთილდღეობისათვის ინკლუზიური, ტოლერანტული, სამართლიანი და თანასწორი გარემოს შექმნას.

ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია იყენებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს ოჯახის გაძლიერებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერასა და თემის ჩართულობის გაზრდას.

COVID-19-ის პანდემიამ განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა განათლების სისტემა გლობალურად. გამონაკლისს არც საქართველოში არსებული სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენდნენ. საფრთხის წინაშე დადგა როგორც დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება და საგანმანათლებლო პროცესის დისტანციურად წარმართვა, ისე განათლების მისაწვდომობა.

2020 წლის ახალი აკადემიური წლიდან სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის სკოლამდელ დაწესებულებებს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ.

სწორედ ამ მიზნით, **„World Vision საქართველოს“** ინიციატივით შეიქმნა სხვადასხვა სპეციალიზაციის ექსპერტთა გუნდი როგორც სასკოლო, ისე სკოლამდელი განათლების მიმართულებით.

ინტერდისციპლინური გუნდის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით შეექმნა პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, რომელიც გააადვილებს ჯანდაცვის რეგულაციების მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გზამკვლევის შექმნისა და დახვეწის პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც მოქმედი ხელმძღვანელები, ისე დარგის სპეციალისტები.

პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება საკმაოდ რთული და ცვალებადი პროცესია. საქართველოში მოქმედი სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დადგნენ.

წინამდებარე დოკუმენტი – „ბავშვები პანდემიის დროს: პრაქტიკული გზამკვლევი სკოლამდელი დაწესებულებებისათვის“ საბილოტე ვერსიას წარმოადგენს; მისი სრულყოფისათვის მიმდინარე სემესტრის განმავლობაში შეგროვდება მონაცემები და პრაქტიკოსთა გამოხმაურებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად აისახება გზამკვლევაში და ამის შემდეგ მიიღებს საბოლოო სახეს.

აქვე გვსურს მადლობა გადავუხადოთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და დაავადების კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს თანამშრომლობისა და კონკრეტული რეკომენდაციებისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის გამოხმაურება და პრაქტიკული რჩევები, რაც საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა მოგვანოდეს გზამკვლევის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე, რისთვისაც ვუხდით უღრმეს მადლობას.

გამოვთქვამთ იმედს, რომ გზამკვლევი მნიშვნელოვან მხარდაჭერას გაუწევს დაწესებულებებს პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო პროცესის განახლებასა და წარმართვაში.

გზამკვლევის სრულყოფის მიზნით შემოთავაზებები, გამოწვევები, კითხვები გაგვიზიარეთ ელფოსტაზე: tsira_barkaia@wvi.org ან მოგვწერეთ ფეისბუქგვერდზე: **World Vision Georgia**

სარჩევი

ჯანდაცვა და უსაფრთხოება სკოლამდელ დაწესებულებებში COVID 19-ის პირობებში	6
კოვიდ 19-ის პრევენცია და მენეჯმენტი	6
ვიზიტი სკოლამდელ დაწესებულებაში	7
ინფექციების კონტროლის ღონისძიებები	8
ბავშვებისა და პერსონალის იზოლაციის საჭიროება	9
ბავშვის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომა სკოლამდელ დაწესებულებებში	12
ბავშვის უფლებების დაცვა COVID19-ის პანდემიის პირობებში	12
ადრეული განათლების მნიშვნელობა	12
სკოლამდელი დაწესებულების როლი ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით	13
ჯანმრთელობის უფლების დაცვა	14
პერსონალური მონაცემების დაცვა	15
ბავშვის ინფორმირებულობა და ჩართვა გადანაცვლების მიღების პროცესში	17
სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მართვა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა COVID 19-ის პირობებში	19
რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებს	19
რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს	22
რეკომენდაციები სკოლამდელ დაწესებულებებს	23
რეკომენდაციები მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს	26
რეკომენდაციები საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს	26
სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმები COVID 19-ის პირობების გათვალისწინებით	28
სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების კონტაქტური ფორმა	28
სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების დისტანციური ფორმა	30
სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ჰიბრიდული ფორმა	34
ბავშვებისა ემოციური კეთილდღეობა COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში	37
როგორ ემზადება აღზრდელი საგანმანათლებლო დაწყებისთვის	42
როგორ ემზადება ბავშვი სკოლამდელი დაწესებულებისათვის მშობლის მხარდაჭერით	43
როგორ ამზადებს მშობელი ბავშვს სკოლამდელი დაწესებულებისათვის?	44
როგორ შევქმნათ მაქსიმალურად კეთილგანწყობილი ემოციური გარემო საგანმანათლებლო პროცესში?	45
თუ ბავშვს ჯგუფში ყოფნის დროს დაუფიქსირდა მაღალი ტემპერატურა (37 ^o ან მეტი)	46
საგანმანათლებლო პერსონალის ემოციური კეთილდღეობა	48
რეკომენდაციები საგანმანათლებლო პერსონალის ემოციური კეთილდღეობის შენარჩუნებისთვის	48
რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისთვის	50
სკოლამდელი განათლების კონტაქტური ფორმა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის	50
სკოლამდელი განათლების დისტანციური ფორმა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვისათვის	54
სპეციალური პედაგოგის როლი დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისა და განხორციელების დროს	58
მხარდაჭერი მომსახურებების მიწოდების საჭიროება	60
დანართები	62
დანართი №1. სკოლამდელი დაწესებულების დასუფთავების პროტოკოლის ნიმუში	62
დანართი №2. თანამშრომლებისთვის შემუშავებული აღნიშვნის ფურცლის ნიმუში	64
დანართი №3. სკოლამდელი დაწესებულების მენეჯერებისთვის შექმნილი აღნიშვნის ფურცლის ნიმუში	71
დანართი №4. მშობლებისთვის შექმნილი აღნიშვნის ფურცლის ნიმუში	80
დანართი №5. ბავშვის მზაობა დისტანციური საგანმანათლებლო პროცესისადმი	85
გამოყენებული ლიტერატურა	86

ჯანდაცვა და უსაფრთხოება სკოლამდელ დაწესებულებებში COVID 19-ის პირობებში

კოვიდ 19-ის პრევენცია და მენეჯმენტი

მოცემულ თავში წარმოდგენილია რეკომენდაციები ჯანდაცვის კუთხით, რომლებიც ეხება სკოლამდელი განათლების მომსახურების კონტაქტური ფორმით ან ჰიბრიდული ფორმით განხორციელებას (იხილეთ თავი: „სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმები COVID 19-ის პირობების გათვალისწინებით“) სკოლამდელ დაწესებულებებში.

COVID19-ის პრევენციისთვის თითოეული სკოლამდელი დაწესებულება ვალდებულია გაატაროს რიგი ღონისძიებები, რომლებიც დაფუძნებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების მარეგულირებელ მსოფლიო და ადგილობრივ რეკომენდაციებზე. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციის გათვალისწინებით, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პრევენციულ ღონისძიებებს, მიკვლევადობის ეფექტიანი მექანიზმის შექმნას და კონტაქტების შემცირებას. მოცემულ გზამკვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოწოდებულია იმ შემთხვევისთვის, როცა საგანმანათლებლო პროცესი კონტაქტური ან ჰიბრიდული ფორმით მიმდინარეობს.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელმა დაწესებულებამ გაითავისოს პასუხისმგებლობა, რომელიც ბავშვების და თანამშრომლების წინაშე აქვს. თითოეულ თანამშრომელს უნდა მიენოდოს დეტალური ინფორმაცია COVID 19-ის პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევების, სასურველი და არასასურველი ქცევების, შიდა პროტოკოლების, პრევენციის საშუალებების შესახებ. სწორედ სკოლამდელი დაწესებულების პასუხისმგებლობა განსაზღვრავს კონკრეტული ჯგუფის თუ სკოლამდელი დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისა და მართვის რუტინის შენარჩუნების საკითხს, ვინაიდან პერსონალის ან ბავშვის COVID 19-ით ინფიცირების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროცესის გაგრძელების, შეჩერების თუ სახეცვლილების საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება ეპიდემიოლოგიური მოკვლევის საფუძველზე. შესწავლილი და გათვალისწინებული იქნება სკოლამდელი დაწესებულების სივრცეში არსებული კონტაქტები, კონტაქტების ინტენსივობა, დაცვის საშუალებების და არსებული რეკომენდაციების გათვალისწინების ხარისხი და სხვა საკითხები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ და პრაქტიკაში გავატაროთ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ჯგუფთან მუშაობდეს მხოლოდ ერთი და იგივე გუნდი. ნაკლებად ხდებოდეს აღმზრდელების / თანამშრომლების მობილობა სხვადასხვა ჯგუფში. პერსონალის გადანაწილების და შიდა მენეჯმენტის ცვლილების შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ჯგუფში სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვის არსებობისას აღმზრდელთან ერთად აუცილებლად მუშაობდეს აღმზრდელის თანაშემწე ან სხვა დამხმარე სპეციალისტი.

მნიშვნელოვანია, სკოლამდელმა დაწესებულებამ განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინირებას უწევს შემდეგ საკითხებს:

- ვიზიტორების (ვიზიტორი არის ნებისმიერი პირი, რომელიც შემოდის დაწესებულებაში) თერმოსკრინინგი და კანონით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოება პანდემიის პირობებში;
- ინდივიდუალური და დაცვის საშუალებების მომარაგება, ვიზიტორების მიერ მათი შესაბამისი და სწორი გამოყენება;
- თანამშრომლების მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება;
- თანამშრომლებს შორის ფიზიკური/სოციალური დისტანცირების უზრუნველყოფა (ფიზიკური/სოციალური დისტანცირების დაცვის ვადებულება არ დგას ბავშვებს შორის ან ბავშვებთან მიმართებით. სათანადო ფიზიკური/სოციალური დისტანციის დაცვა სავალდებულოა ყველა ზრდასრულისათვის ერთმანეთს შორის);

- ზედაპირების დეზინფექციის პროტოკოლის დაცვა და მონიტორინგი;
- ბავშვების მიღების/გაშვების პროცესის დაგეგმვა, მართვა და მონიტორინგი;
- ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება;
- თანამშრომელთა მომზადება მარეგულირებელი ორგანოების მიერ მონოდედული რეკომენდაციების გათვალისწინებისა და რეგულაციების დანერგვის მიზნით;
- მარეგულირებელი ორგანოების მიერ მონოდედული რეკომენდაციების და რეგულაციების დაცვის და ზედამხედველობის უზრუნველყოფა კერძოდ:
 - ▶ დალაგებისა, დასუფთავების, დეზინფექციის, კვებისა და წყლის მოხმარების პროტოკოლების დაცვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
 - ▶ სამზარეულოს სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და კვების საკითხების მართვა.
 - ▶ COVID19-ს პანდემიის პირობებში მოქმედ სკოლამდელი დაწესებულებებთან ასოცირებული სხვა რეკომენდაციების და მოთხოვნების იმპლემენტაცია და მონიტორინგი;
- მშობლების ინფორმირება COVID 19-ის პანდემიასთან ასოცირებული გამონეგვების და სკოლამდელ დაწესებულებაში განხორციელებული ან/და დაგეგმილი საოპერაციო ცვლილებების შესახებ.

ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობები შეიძლება გადანაწილებული იქნას სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულ პერსონალზე.

ვიზიტი სკოლამდელ დაწესებულებაში

სკოლამდელი დაწესებულების ტერიტორიაზე მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს გარეშე პირების დაშვება. ბავშვების მიღება და გაშვება ხორციელდება სკოლამდელი დაწესებულების შემოსასვლელში. პროცესში ჩართულია სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც ეკონტაქტება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და იღებს ვალდებულებას ბავშვის მიღება/გაშვებაზე.

ნებისმიერი სიახლე გამონეგვა ბავშვისთვის, ახალი გარემო, რუტინა და წესები კი შესაძლებელია გარკვეულწილად სტრესული აღმოჩნდეს. აღნიშნული გამონეგვის წინაშე დგება როგორც სკოლამდელი დაწესებულება, ისე ბავშვი და მისი მშობელი სკოლამდელ დაწესებულებაში პირველი ვიზიტებისას. სწორედ ამიტომ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს მშობლების ჩართულობა სკოლამდელ დაწესებულებასთან შეგუების პროცესში, რაც გულისხმობს მშობლების ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში და აღმზრდელის ასისტირებას, რა დროსაც ის დაწესებულებაში ბავშვების გარემოში იმყოფება. ვინაიდან, COVID 19-ს პანდემიის პირობებში აღნიშნული პრაქტიკა ინფექციების პრევენციისა და კონტროლის თვალსაზრისით გარკვეულ რისკებს შეიცავს და მშობლების და/ან სხვა პირების (გარდა დაწესებულების თანამშრომლებისა) დაწესებულების შენობებში შესვლა შეზღუდულია, რეკომენდებულია სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო წლის დაწყების ეტაპზე პირველი შეხვედრები (მაგალითად, მიღება) ღია სივრცეში ჩატარდეს, რისთვისაც გამოყენებული უნდა იყოს დაწესებულების ღია სივრცეები – ეზო, ვერანდა და სხვ. ზემოაღნიშნული პრაქტიკის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს ზრდასრულებს შორის არანაკლებ 1-მეტრიანი ფიზიკური/სოციალური დისტანცია და ზრდასრულებს უნდა ეკეთათ პირაბდე, საჭიროა აქტივობაში გონივრული რაოდენობის პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა. გათვალისწინებული უნდა იყოს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის COVID 19-ის პანდემიის გამო შექმნილი ჯანდაცვის რეგულაციები.

სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლები შენობაში შედიან მხოლოდ პირბადის გამოყენებით. ბაზილების ჩაცმა აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, თუ სკოლამდელ დაწესებულებას არ გააჩნია დემობარიერი.

ყველა ვიზიტორი გადის თერმოსკრინინგს დისტანციური თერმომეტრის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტორს აღენიშნება მომატებული ტემპერატურა (37°C ან მეტი), ის სკოლამდელი დაწესებულების შენობაში არ შედის. გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მიზეზით ტემპერატურის მომატება შესაძლებელია დროებით დაფიქსირდეს, ამიტომ რეკომენდებულია მისი გადამოწმება 15-30 წუთში. ვიზიტორს უნდა მივცეთ დასვენების საშუალება და უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სივრცე შენობის შესასვლელთან.

შენობაში ყველა პირი შედის დეზობარიერის გავლით თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ. შენობაში ყველა პირი, ბავშვის გარდა, შედის პირბადით.

იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტორს უფიქსირდება მომატებული ტემპერატურა და არ დაიშვება სკოლამდელ დაწესებულებაში, რეკომენდაცია უნდა მიეცეს, რომ არ ისარგებლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით და მიმართოს ოჯახის ექიმს ან ცხელების ცენტრს.

იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული გარემოებების გამო გარეშე პირის შენობაში შეშვება აუცილებელია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი ეკვიპირება პირბადით, სახის ფარით ან დაცვის სხვა საშუალებებით ვიზიტის მიზნისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინფექციების კონტროლის ღონისძიებები

რეკომენდებულია ადმინისტრაციამ უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ინფექციების პრევენციის საკითხებზე (როგორცაა: ხელის ჰიგიენა, ხველისა და დაცემინების ეტიკეტი, პირბადის მოხმარების წესები, ინფექციის გადაცემის გზები), გააცნოს პრევენციული მეთოდები და არსებული რეგულაციები. მნიშვნელოვანია აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

სასურველია, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართოს მშობლებთან, ბავშვებსა და სხვა დაინტერესებულ / ჩართულ მხარეებთან.

სკოლამდელ დაწესებულებაში (შენობაში) ყველა ვიზიტორი (ბავშვების ჩათვლით) შედის მხოლოდ თერმოსკრინინგის და ხელის ჰიგიენის პროცედურების ჩატარების შემდგომ. ხელის დეზინფექციისათვის განკუთვნილი ანტისეპტიკური საშუალებები უნდა იყოს 70%-იანი ალკოჰოლის შემცველობით და მათი დისპენსერები უნდა განთავსდეს სკოლამდელი დაწესებულების შენობის შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი, სასადილო და სხვ.), იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და უნდა ახლდეს ხელების დამუშავების ინსტრუქცია.

მისაღებ სივრცეში და თანამშრომელთა შეკრების ადგილებში განთავსებული უნდა იყოს საინფორმაციო პოსტერები COVID19-თან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, სველ წერტილებში – ხელების დაბანის და ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია. შენობის შესასვლელში არსებულ დეზობარიერთან განთავსებული უნდა იყოს მისი მოხმარების ინსტრუქციაც. პოსტერები უნდა იყოს მაქსიმალურად აღქმადი და მისაწვდომი ყველა პირის, მათ შორის, ბავშვებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ხელების ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავება არ წარმოადგენს ხელების საპნით დაბანის ალტერნატივას. ხელების ანტიმიკრობული საშუალებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხელების დაბანა გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია. შესაბამისად, ხელსაბანი ნიჟარები / სველი წერტილები და ანტიმიკრობული საშუალებების დისპენსერები შენობის სივრცეებში განაწილებული უნდა იყოს გონივრულად.

ხელების დასაბანად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელსაბანი ნიჟარა, გამდინარე წლის უწყვეტი მიწოდება, თხევადი საპონი და ერთჯერადი ხელსახოცები. არასასურველია ხელის ელექტროსაშრობების გამოყენება და დაუშვებელია მრავალჯერადი ხელსაწმენდებით სარგებლობა. ხელსაბანებთან გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინოება: „ხელების დაბანის საფეხურები“.

სველი წერტილების/სანიტარული კვანძების სველი წესით დამუშავებისა და დასუფთავებისთვის სკოლამდელმა დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს პროტოკოლი, რომელშიც განერილი იქნება დასუფთავების პერიოდულობა, გამოყენებული სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, ხელსაბანების, უნიტაზების და სხვა ზედაპირების დამუშავების წესები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ზედაპირი ხილული დაბინძურების არსებობის შემთხვევაში მომენ-

ტალურად გაინმინდოს, რუტინული დასუფთავება კი ჯგუფების შეცვლის ან შესვენების დროსაა რეკომენდებული (იხილეთ დანართი №1: სკოლამდელი დაწესებულების დასუფთავების პროტოკოლის ნიმუში).

სათამაშოები, რომელთა სველი წესით დამუშავებაც შეუძლებელია, სკოლამდელ დაწესებულებაში არ უნდა იყოს. საგამნამათლებლო რესურსების (სათამაშოები და ა.შ.) მოვლა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულაციებით დადგენილი წესების შესაბამისად რეკომენდაციების შესაბამისად.

დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარი (მაგალითად, ტილო, ტუალეტი, უნიტაზის სანმენდი ჯაგრისი და სხვა) უნდა გაირეცხოს და გაშრეს. დაუშვებელია მათი სველ მდგომარეობაში დახურულ სივრცეში მოთავსება.

დამლაგებელი სამუშაო პროცესში იყენებს ინდივიდუალური დაცვის შემდეგ საშუალებებს:

- არაერთჯერადი ხელთათმანები;
- სახის ფარი;
- სითხეგაუმტარი ერთჯერადი ხალათი;
- სამედიცინო პირბადე;
- დახურული ფეხსაცმელი.

ბავშვებისა და პერსონალის იზოლაციის საჭიროება

ბავშვებს და პერსონალს შეიძლება დღის მანძილზე აღენიშნოთ ტემპერატურის მომატება (37°C და მეტი), რა დროსაც საჭიროა მათი იზოლაცია სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ბავშვების იზოლაციის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფსიქო-სოციალური საჭიროებები (იხილეთ. თავი: „ბავშვებისა ემოციური კეთილდღეობა COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში“).

იზოლაციის ოთახს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციის სისტემა. იმ შემთხვევაში, თუ ოთახში ერთზე მეტი ბავშვია, შესაძლებელი უნდა იყოს მათ შორის 1-მეტრიანი ფიზიკური დისტანციის დაცვა, ხოლო თუ აღენიშნება ისეთი სიმპტომები როგორცაა ხველა და ცემინება, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გამყოფი ჯებირები.

საიზოლაციო ოთახში უნდა იყოს: სკამი / სავარძელი / ტახტი, ხელსაბანი, ერთჯერადი ხელსახოცი, თხევადი საპონი და ხელის ანტიმიკრობული საშუალებები.

მაღალი ტემპერატურის დაფიქსირებისთანავე დაწესებულების წარმომადგენელი უნდა დაუკავშირდეს მშობელს, მიანდოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სთხოვოს, რომ ბავშვი გაიყვანოს სკოლამდელი დაწესებულებიდან და მისცეს რჩევა შემდგომი ნაბიჯების შესახებ, კერძოდ:

- მშობელმა უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს /ცხელების ცენტრს;
- მშობელმა ტრანსპორტირებისას არ უნდა ისარგებლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

საიზოლაციო ოთახიდან ბავშვის გაყვანისას უნდა დაწესებულებამ უნდა იმოქმედოს ზოგადი რეგულაციით და სასურველია მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს დაწესებულების შენობაში მისი შესვლის გარეშე გააყოლოს ბავშვი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა მხოლოდ ბავშვის სამედიცინო საჭიროებების (სამედიცინო ჩვენების) გამო შეიძლება იქნას გამოძახებული. შენობაში მათ გადაადგილებას ბარიერები არ უნდა შეექმნას. მნიშვნელოვანია, რომ სასწრაფოს გამოძახების თაობაზე ინფორმირებული იყოს მშობელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.

დაუშვებელია ბავშვის/ბავშვების მართო დატოვება იზოლაციის ოთახში. ბავშვი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობის ქვეშ, რაც სკოლამდელმა დანესებულებამ უნდა უზრუნველყოს. პასუხისმგებელი პირი (სასურველია ეს იყოს პირი, რომელთანაც ბავშვი მოცემულ სიტუაციაში თავს კომფორტულად იგრძნობს) ალტერნატიული უნდა იყოს შემდეგი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:

- პირბადე;
- დამცავი ფარი;
- ერთჯერადი სითხეგაუმტარი ხალათი.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მომატებული ტემპერატურა ბავშვებს ფიზიკური აქტიურობის და ემოციური ფონის გამო შეიძლება აღენიშნებოდეს, ამიტომ სასურველია 15-30 წუთის განმავლობაში მივცეთ მათ დასვენების საშუალება და შემდეგ კვლავ გავუბოძოთ. თუ ბავშვს განმეორებით გამოშვების შემთხვევაში არ დაუფიქსირდა 37°C ან მეტი ტემპერატურა, შესაძლებელია ის დაბრუნდეს ჯგუფში. ანალოგიურად ვმოქმედებთ იმ შემთხვევაშიც, თუ ტემპერატურა სკოლამდელი დანესებულების პერსონალს უფიქსირდება.

საიზოლაციო ოთახში ბავშვის გაყვანის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ჯგუფი არ უნდა დარჩეს ზრდასრულის ზედამხედველობის გარეშე. ბავშვის ჯგუფიდან გაყვანა უნდა მოხდეს მშვიდ გარემოში ისე, რომ სტრესის მომგვრელი არ იყოს არც ერთი ბავშვისთვის, უნდა შენარჩუნდეს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობა.

პერსონალის მაღალი სიცხის დაფიქსირების შემთხვევაში (37°C ან მეტი) პერსონალი ვალდებულია წავიდეს სახლში (ხომ არ გადის საიზოლაციოში; თუ გადის, იქ იზომავს სიცხეს და თუ სიცხე აქვს, მიდის სახლში).

სკოლამდელი დანესებულება ვალდებულია დაიცვას მაღალი ტემპერატურის (37°C ან მეტი) მქონე ბავშვის და პერსონალის ვინაობის და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლამდელმა დანესებულებამ არ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია სხვა პირებთან, მათ შორის ბავშვებთან/მშობლებთან ბავშვის ან პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სკოლამდელი დანესებულება არ არის ვალდებული, მიაწოდოს სხვა ბავშვების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია ჯგუფში არსებული სავარაუდო შემთხვევის შესახებ.

სკოლამდელი დანესებულება ვალდებულია წინასწარ დაიცვას კონფიდენციალობა და პროტოკოლების სხვა პუნქტების შესახებ უზრუნველყოს ბავშვის მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება.

საგანმანათლებლო პროცესი გრძელდება მანამ, სანამ რესპირატორული სისტემის დაავადების სიმპტომების მქონე ბავშვს ან პერსონალს COVID19-ის დიაგნოზი ლაბორატორიულად არ დაუდასტურდება, ამის შემდეგ კი საგანმანათლებლო პროცესის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება ეპიდემიოლოგიური ჯგუფის დასკვნის და რეკომენდაციის საფუძველზე მიიღება.

არსებითია, რომ იზოლაციის ოთახში შექმნილი იყოს ბავშვზე ორიენტირებული, დაცული და უსაფრთხო, სტრესისგან თავისუფალი ფიზიკური და სოციალური გარემო (იხილეთ თავი: „ბავშვებისა ემოციური კეთილდღეობა COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში“)

იზოლაციის ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით და დეზინფიცირდეს მისი გათავისუფლებისთანავე.

ზოგადი რეკომენდაციები:

- სკოლამდელ დაწესებულებაში თანამშრომლებმა უნდა დაიცვან 1-მეტრიანი დისტანცია, მათ შორის, საერთო გამოყენების ისეთ სივრცეებში, როგორცაა, მაგალითად, სასადილო ან მოსასვენებელი ოთახი;
- საერთო გამოყენების სივრცეებში (ეზო, დარბაზი, სასადილო და სხვა) აქტივობები უნდა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული განრიგის (ცხრილის) შესაბამისად, რათა ერთ სივრცეში ბავშვების და პერსონალის რაოდენობა მაქსიმალურად იყოს შემცირებული, ისე, რომ დაცული იყოს ზრდასრულებს შორის ერთ-მეტრიანი ფიზიკური დისტანციის პრინციპი.

ბავშვის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომა სკოლამდელ დაწესებულებებში

ბავშვის უფლებების დაცვა COVID19-ის პანდემიის პირობებში

წინამდებარე თავი მიმოიხილავს ბავშვის უფლებებს, მის ძირითად პრინციპებს, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც მუშაობს ბავშვებთან და აქვს მათთან შეხება. ეს პრინციპები მნიშვნელოვანია ყოველდღიურ პრაქტიკაში. ის ასევე აანალიზებს COVID19-ის პანდემიის დროს სკოლამდელი დაწესებულებისა და, ზოგადად, ზრდასრულების როლს ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით.

ბავშვის უფლებების დაცვა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა COVID19-ის პანდემიის პირობებში, – ამან აუცილებელი გახადა დამატებითი ღონისძიებების გატარება ბავშვის ჯანმრთელობის უფლებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და განათლების უფლების რეალიზების მიმართულებით. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, სკოლამდელი განათლების მიწოდება COVID19-ის პანდემიის პირობებში ეფუძნებოდეს ბავშვის უფლებების დაცვის პერსპექტივას.

ბავშვის უფლებები ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა: სიცოცხლე, განვითარება, დაცვა და მონაწილეობა. სიცოცხლის უფლება გულისხმობს, რომ ბავშვს უნდა მიენოდებოდეს შესაბამისი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, წყალი და ჰიგიენის დაცვის საშუალებები. დაცვა ყველა ბავშვის ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისგან დაცვას მოიხრებს, მათ შორის იგულისხმება ბავშვების უსაფრთხოების დაცვა ნებისმიერ გარემოში, მაგალითად, სკოლამდელ დაწესებულებაში.

სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია COVID 19-ის პანდემიის პირობებში თავისი რეკურსები მაქსიმალურად გამოიყენოს ბავშვების უსაფრთხოების დასაცავად. ბავშვებს ადრეული ასაკიდან, მათ შორის სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია მათთვის გასაგები ენით იმ მოვლენებზე, რომელიც მათზე ახდენს გავლენას და მათ შეეხებათ. ამასთან, დააფიქსირონ თავისი მოსაზრება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ზრდასრულების მიერ გადაწყვეტილებების მიღების დროს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვებს გაუჩნდათ კითხვა, რატომ უნდა ახალი წესების დაცვა, რა არის COVID-19, მათ მათი ასაკისათვის შესაბამისი ფორმით უნდა მიიღონ ამ კითხვებზე პასუხი. რაც შეეხება მეოთხე კატეგორიას, ბავშვის განვითარების უფლებას, ის ფაქტობრივად მიემართება ყველა სხვა უფლებას და მოიცავს ბავშვსთვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდებას, მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, თამაშისა და დასვენების შესაძლებლობას.

ადრეული განათლების მნიშვნელობა

ადრეული ბავშვობა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდი ბავშვის განვითარებაში. ამ დროს ხდება სხეულისა და ნერვული სისტემის ჩამოყალიბება, მობილობის ზრდა, კომუნიკაციის უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება. პატარებს უყალიბდებათ ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობა მშობლებისა და მზრუნველების მიმართ, რომლებსგანაც იღებენ საკვებს, მხარდაჭერასა და დაცვას. ასეთი გზით მათ უყალიბდებათ ინდივიდუალობა და იზრდება მათი შესაძლებლობები. ბავშვები აყალიბებენ მნიშვნელოვან ურთიერთობებს თავისი ასაკის ბავშვებთან და ზრდასრულებთან. ასეთი კავშირებით ისინი სწავლობენ მოლაპარაკებებსა და გა-

ზიარებას, პრობლემის გადაჭრას, შეთანხმებების მიღწევას, უყალიბდებათ სხვების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა.

ბავშვის განვითარება სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, მისთვის მიწოდებული ადრეული განათლების ხარისხსა და ფორმაზე. სკოლამდელი განათლება უნდა ქმნიდეს ბავშვის განვითარების შესაძლებლობებს და ითვალისწინებდეს ყველა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებას, მიუხედავად ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული და სხვა მახასიათებლისა.

შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადრეულ ასაკში ბავშვისათვის მიწოდებულ უწყვეტ და ხარისხიან სკოლამდელ განათლებას. მიუხედავად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისისა, არ უნდა მოხდეს ბავშვის ამ ფუნდამენტური უფლების გაუთვალისწინებლობა და ყველა შესაბამისმა უწყებამ (როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე) უნდა შექმნას უსაფრთხო და ბავშვზე ორიენტირებული გარემო სკოლამდელი განათლების უწყვეტობის შესანარჩუნებლად კონტაქტური, ჰიბრიდული თუ დისტანციური მომსახურებების განვითარების გზით.

სკოლამდელი დაწესებულების როლი ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით

ბავშვის უფლებების დაცვა გულისხმობს იმის გათავისებებას, რომ ბავშვი დგას ყველა მოვლენის ცენტრში. სკოლამდელი დაწესებულებების აღნიშნული ვალდებულებები კიდევ უფრო აქტუალურია COVID-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც დამატებითი გამოწვევები წარმოიშვა ბავშვებისათვის სკოლამდელი განათლების მიწოდებისა და ამ პროცესში მათი ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, სკოლამდელმა დაწესებულებებმა მაქსიმალურად მიმართონ საკუთარი რესურსები ბავშვებისათვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდების მიზნით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის პირობებში შექმნან უსაფრთხო გარემო, რომ შეძლებისდაგვარად მოხდეს COVID-19-ის გავრცელების პრევენცია. მაგალითად, გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების მარეგულირებელი ყველა რეკომენდაცია და შექმნან ბავშვებისათვის უსაფრთხო ფიზიკური და სოციალური გარემო.

იმ შემთხვევაში, თუ პანდემიის გამო დადგება დისტანციური მომსახურების აუცილებლობა, სკოლამდელმა დაწესებულებებმა ეს მომსახურება უნდა უზრუნველყონ ხარისხიანად და ეყადონ, რომ დისტანციურ მომსახურებაზე ხელი მიუწვდებოდეს მაქსიმალურად ბევრ ბავშვს. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა და ჩართულობა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის პირობებში ბავშვის განვითარების უფლება, რომელიც სხვა უფლებებთან ერთად მოიაზრებს ხარისხიანი და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სკოლამდელი განათლების მიღებას, ახალი სირთულეების წინაშე დადგა. საგანმანათლებლო პროცესის დისტანციურმა ფორმამ ბავშვებისათვის სახლის პირობებში შესაბამისი გარემოს შექმნის აუცილებლობა წარმოშვა. იმისთვის, რომ დისტანციური სკოლამდელი განათლების მიღებისათვის შეიქმნას ბავშვზე ორიენტირებული გარემო, დღის განმავლობაში რუტინის უზრუნველყოფა, ძილის, ჭამის, მეცადინეობისა და ეზოს აქტივობებისათვის თანმიმდევრული განრიგის შენარჩუნება.

რეგულარული და თანმიმდევრული განრიგი დაეხმარება ბავშვებს, გაიუმჯობესონ ძილი. სათანადო სტრუქტურირება უზრუნველყოფს სტაბილურობას, უმჯობესდება ბავშვების ქცევა და და, საბოლოოდ, მათი ჯანმრთელობა.

წინასწარ განსაზღვრული და სტაბილური გარემო მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბავშვების ეფექტური ჩართვისთვის დისტანციური სკოლამდელი განათლების მიღების პროცესში. რეკომენდებულია, ონლაინ ჩართვები ხორ-

ციელდებოდეს ერთი კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული ადგილიდან, სადაც ბავშვს მიეცემა მშვიდად, ზედმეტი გარე ჩარევების გარეშე ონლაინ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

სკოლამდელი დანესებულების ვალდებულებაა, ბავშვებს შეუქმნან სასურველი გარემო თამაშის, დასვენებისა და განვითარებისთვის. ამისთვის აუცილებელია, სკოლამდელი დანესებულების გარემო იყოს სტრესისგან მაქსიმალურად თავისუფალი, ფიზიკური გარემო ისე მოეწყოს, რომ არ უქმნიდეს ბავშვებს დამატებით ბარიერს სკოლამდელი დანესებულების შენობაში. დამოუკიდებლად გადაადგილდებაში. ბავშვებთან კომუნიკაცია უნდა ითვალისწინებდეს მათი განვითარების თავისებურებებსა და საჭიროებებს, რაც გულისხმობს ნაკლები სტრესით შევსებულ ახალ გარემოს. მიუხედავად იმისა, რომ COVID19-ის პანდემიის პირობებში სკოლამდელი დანესებულებას აქვს ვალდებულება, მოახდინოს ვირუსის გავრცელების პრევენცია და მაქსიმალურად შეზღუდოს ვიზიტორების შესვლა დანესებულებებში, ბავშვის ემოციური საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელია საწყის ეტაპზე შესაბამისი წესების დაცვით დაუშვას მშობლები დანესებულების ტერიტორიაზე. ეს ბავშვებს დაეხმარება ახალ გარემოსთან შეგუებაში.

ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საიზოლაციო ოთახში ბავშვის გაყვანის შემთხვევაში. ამ დროს აუცილებელია მთლიანი პროცესი დაფუძნებული იყოს ბავშვისათვის სტრესის მაქსიმალურად შემცირებაზე. ამისთვის მნიშვნელოვანია როგორც საიზოლაციო ოთახის ფიზიკური გარემო, ისე ბავშვთან კომუნიკაცია, მისთვის დაცული და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

სკოლამდელი განათლების მიწოდების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები და გარემო იყოს მაქსიმალურად ინკლუზიური. ეს მოთხოვნა ეხება როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური ფორმის საგანმანათლებლო პროცესს. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსი უნდა იყოს გამოყოფილი, რომ შესაძლებელი გახდეს მათთვის სხვა ბავშვების თანასწორად სკოლამდელი განათლების მიღება. აუცილებელია გახსოვდეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის არათუ განათლების მიღებაზე უარის თქმა არის დისკრიმინაცია, არამედ ისიც, რომ მას არ ვუქმნით სათანადო პირობებს განათლების მისაღებად.

ჯანმრთელობის უფლების დაცვა

ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, რომელიც შეეხება ბავშვს, უმთავრესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ძირითადად აქვთ საერთო უნივერსალური საჭიროებები, აღნიშნული საჭიროებების გამოხატვა დამოკიდებულია პერსონალურ, ფიზიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებზე, მათ შორის მათი განვითარების შესაძლებლობაზე.

ბავშვის საუკეთესო ინტერესზე საუბრის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული როგორც ინდივიდუალური ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ისე ბავშვების, როგორც ჯგუფის. ბავშვის ჯანმრთელობის უფლების დაცვა წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასების ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს. ჯანმრთელობის უფლებაში იგულისხმება, როგორც ბავშვის ფიზიკური, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის უფლების დაცვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის რისკები და გვერდითი მოვლენები, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც ერთი კონკრეტული ბავშვის ჯანმრთელობას, ისე ბავშვთა ჯგუფს.

რეკომენდებულია, COVID-19-ის პანდემიის პირობებში სკოლამდელი დანესებულების ნებისმიერი გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას, მისი ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების გათვალისწინებასა და ვირუსის გავრცელების პრევენციას.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის პირობებში, საგანმანათლებლო პროცესის დისტანციური ფორმით მიწოდების საჭიროებასთან ერთად ახალი გამოწვევები წარმოშვა ბავშვების ჯანმრთელობის უფლების დაცვის

მიმართულებით. კერძოდ, ბავშვთა და მოზარდთა განვითარებისა და განათლების უფლების დაცვის მიმართულებით კიდევ უფრო აქტუალური გახდა კომპიუტერული და ტელე-საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენება. მართალია, ინფორმაციის გაცვლის აღნიშნული საშუალებები ბავშვს ეხმარება სხვადასხვა უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაში, მაგრამ კომპიუტერის და ტელევიზორის ეკრანთან დიდი დროის გატარებას აქვს თავისი უარყოფითი გავლენა ბავშვის ემოციური განვითარების, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით (როგორცაა: მხედველობის პრობლემები, ქცევითი დარღვევები, უძილობა, წონაში მომატება და სხვა). სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების მიერ კომპიუტერის გამოყენებასა და ტელევიზორის ეკრანთან დროის გატარების რეგულირებას.

შესაბამისად, ადრეული ასაკის ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, დღე-ღამეში ბავშვების მიერ ეკრანთან გატარებული დრო ასეთია:

- 2 წლამდე: 0 წუთი
- 3-7 წელი: 30 წუთი

პერსონალური მონაცემების დაცვა

ყველას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მათ შორის ბავშვებსაც. სკოლამდელი დანესებულება ის ადგილია, სადაც ბავშვი დღის დიდ ნაწილს ატარებს და მის შესახებ ბევრი მონაცემი ინახება. სკოლამდელი დანესებულება ვალდებულია დაიცვას ბავშვის პერსონალური მონაცემები და იმოქმედოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ყველა შემთხვევაში სხვა პირების/ორგანიზაციების ინტერესებზე წინ ბავშვის ინტერესების დაყენებას. ამავე დროს, ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასება უნდა მოხდეს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ისეთი გარემოებების გათვალისწინებით როგორცაა: ბავშვის შეხედულებები და მისწრაფებები, ასაკი, პირადი ისტორია, უსაფრთხოების ინტერესი, ოჯახური გარემო, კეთილდღეობა, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობა და ა.შ.

COVID19 პანდემიის პირობებში ბავშვებისათვის სკოლამდელი განათლების მიწოდების მიზნით დღის წესრიგში დადგა ონლაინ პლატფორმების გამოყენების საჭიროება, რომელმაც წარმოშვა დამატებითი გამოწვევები ბავშვების პერსონალური ინფორმაციის და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით.

ბავშვს, როგორც მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად და ღირსების შეუღალხავად. მას აქვს უფლება იცოდეს, ვინ და რა სახის მონაცემებს ამუშავებს მის შესახებ, რა მიზნითა და საფუძვლით.

რა არის პერსონალური მონაცემები?

პერსონალური მონაცემები არის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიცირება. მაგალითად: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტო- და ვიდეო ჩანაწერი, სოციალური ქსელის ანგარიში, პირადი მიმოწერა, რომელ სკოლაში და კლასში სწავლობს, ინფორმაცია მისი ინტერესების, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ა.შ.

რა არის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები?

არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებიც. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ დასაცავად გამორჩეულად მაღალი სტანდარტია დანესებულები, რადგან უფრო მეტია ასეთი მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში ბავშვისათვის მიყენებული ზიანის მოცულობა. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ადმინისტრაციულ პატიმ-

რობასთან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან, დაზარალებულად ცნობასთან და ა.შ.

როგორ უნდა დავიცვათ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია?

ჯანმრთელობა ნებისმიერი ჩვენგანისთვის განსაკუთრებული ღირებულებაა, მის შესახებ ინფორმაცია კი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს მიეკუთვნება. ამის მიზეზი ისაა, რომ მონაცემები ჩვენი ჯანმრთელობის შესახებ (მათ შორის, დიაგნოზი, ავადმყოფობის ისტორია, რეცეპტი თუ მკურნალობის გეგმა) შესაძლოა საკმაოდ მოცულობით და მგრძობიარე ინფორმაციას შეიცავდეს ჩვენს პირად ცხოვრებაზე, მათი გამჟღავნებით კი სერიოზული ზიანი მოგვადგეს. მხოლოდ სათანადო თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი მისი გადაცემა მესამე პირისთვის, თუმცა ეს უნდა იყოს წერილობით გამოხატული.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის დროს კიდევ უფრო პრობლემური ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება. ყველას გვაქვს უფლება მივიღოთ ინფორმაცია ვირუსის გავრცელების საფრთხეებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების შესახებ. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის უფლებების, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვა. სწორედ ამიტომ, იმ შემთხვევაში თუ სკოლამდელ დანესებულებაში ბავშვს დაუფიქსირდება მაღალი ტემპერატურა (37⁰ და მეტი), აუცილებელია, დავიცვათ კონფიდენციალობა და არ გავამჟღავნოთ ეს ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აუცილებელი არ არის ბავშვის სახელისა და გვარის დასახელება, საკმარისია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

როგორ დავიცვათ ბავშვის პერსონალური მონაცემები საგანმანათლებლო პროცესის დისტანციური ფორმით წარმართვის დროს?

COVID19-ის პანდემიის პერიოდში აქტუალური გახდა საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა დისტანციური ფორმით. ონლაინ საგანმანათლებლო პროცესების პარალელურად სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ონლაინ შეხვედრების ამსახველი ფოტო- და ვიდეომასალა.

ონლაინ შეხვედრების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეოგამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი გასაჯაროებისას, ვინაიდან ბავშვის მონაცემების ინტერნეტში ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით გასაჯაროებამ შესაძლოა არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს მასზე (გახდეს ბულინგის ან სხვა სახის არასასურველი მოპყრობის ობიექტი).

შესაბამისად, საგანმანათლებლო დანესებულებები, ამ დანესებულებებში დასაქმებული პირები, ასევე, არასრულწლოვანი პირების მშობლები და ოჯახის წევრები, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ბავშვების მონაცემების გასაჯაროებას და იმოქმედონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

რა ვალდებულებები აქვს სკოლამდელ დანესებულებას ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით?

- არ გასცეს ინფორმაცია ბავშვის პერსონალური მონაცემების შესახებ სხვა პირებზე;
- გაასწოროს არაზუსტი მონაცემები და გაანადგუროს უსაფუძვლოდ შეგროვებული მონაცემები. მაგალითად, ფოტო- და ვიდეომასალა სოციალურ ქსელში;
- წაშალოს ბავშვის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია მშობლის მოთხოვნის შემთხვევაში.

მაგალითად, თუ მშობელმა ნება დაგროთთ განგეთავსებინათ მისი შვილის ფოტო სკოლამდელი დაწესებულების ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში და შედეგ გადაიფიქრა. მას აქვს უფლება მოითხოვოს აღნიშნული ფოტოს წაშლა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე;

- დაიცვას ბავშვის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება;
- აკონტროლოს ვიზიტორების შენობაში შესვლა და გასვლა, ასევე, აღრიცხვით მათი სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლისა და გასვლის მიზეზები.

ბავშვის ინფორმირებულობა და ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ბავშვების აზრის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა იმ შემთხვევაში, რომელიც მათ შეეხებათ, ბავშვის უფლებების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. ეს პრინციპი გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი უფლებით სარგებლობის, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობისა და განათლების უფლებების დაცვის დროს. ბავშვის აზრის მოსმენა ამავე დროს ითვალისწინებს მისთვის გასაგები ფორმით ინფორმაციის მიწოდებას.

როგორ დავეუჭიროთ მხარი ბავშვს, დააფიქსიროს თავისი აზრი?

- ყოველთვის უნდა დავანახოთ, რომ მისი აზრი გვავინტერესებს და ყურადღებით მოვუსმინოთ
- შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც თავს კომფორტულად გრძნობს ან უყვარს ყოფნა
- სანამ ბავშვს თავისი შეხედულების დაფიქსირებას ვთხოვთ, უნდა ავუხსნათ, რატომ ვეკითხებით ამ ინფორმაციას და რაში გვჭირდება
- საუბრის დროს მუდმივად უნდა ვაგრძნობინოთ, რომ პატივს ვცემთ მას

მაგალითად:

„ვიცი, არ მოგწონს ის ფაქტი, რომ ვერ სტუმრობ მეგობრებს, მაგრამ ბევრად სახალისო იქნება, როცა კიდევ შეხვდებით“.

„ზოგიერთი ადამიანი ავად ხდება. ჩვენ ყველანი უნდა დავრჩეთ სახლში ახლა, რათა ვიყოთ ჯანმრთელებად“.

„ზოგიერთი ადამიანი შეიძლება სახალისოდ გამოიყურება ნილაბში, მაგრამ ის გვიცავს მე და შენ“.

„ბევრი ექიმი და ექთანი ყოველდღიურად მუშაობს ძალიან ბევრს, რომ ყველანი ვიყოთ დაცულები“.

ბავშვის ინფორმირებისა და მისი აზრის მოსმენის უფლებამ COVID19-ის პანდემიის პირობებში დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა. მაგალითად, მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, რა სახის მკურნალობა უტარდება, რა ეფექტები და შედეგები ექნება მას.

შესაძლოა ზოგიერთ ბავშვს, მაგალითად, სპეციალური საჭიროების და/ან შესაძლებლობის მქონეს, ჰქონდეს სირთულეები ვერბალური კომუნიკაციის, ანუ სიტყვებით, საკუთარი შეხედულებების გამოხატვის მხრივ და უპირატესობას სხვა, ალტერნატიულ ფორმებს ანიჭებდეს. მაგალითად, თამაში, სხეულის მოძრაობა, ხატვა და ძერწვა.

მნიშვნელოვანია გულწრფელი პასუხები ბავშვების შეკითხვებზე, მაგრამ ის მიწოდებული უნდა იყოს შესაბამისი დობით და დეტალებით. ძალიან ბევრმა ან შემაშინებელმა ინფორმაციამ შესაძლებელია გამოიწვიოს არასაჭირო შიში ან შფოთი. თუ ისინი არ სვამენ კითხვებს ვირუსთან დაკავშირებით, შესაძლებელია უკეთესიც იყოს, არ წამოიწყოთ ამ თემაზე საუბარი.

შესაძლებელია გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული პასუხები იმისათვის, რომ მარტივად და გასაგები ფორმით მიანოლოთ ბავშვებს ინფორმაცია COVID19 პანდემიასთან დაკავშირებულ თემებზე, მაგალითად:

რა არის კორონავირუსი?

კორონავირუსი არის მიკრობი, რომელიც ადამიანს ცუდად ხდის. მიკრობი ისეთი პატარაა, რომ მისი დანახვა არ შეგვიძლია, მაგრამ მათ შეუძლიათ იმოძრაონ ჰაერში, როცა ადამიანი დააცემინებს ან დაახველებს.

მე გავხდები ავად?

ყველა ადამიანი ზოგჯერ ავად ხდება, მაგრამ ბავშვები არიან საკმაოდ ძლიერები, რომ შეებრძოლონ ისეთ მიკრობებს, როგორც კორონავირუსია. შენ თუ ავად გახდები, ზრდასრულები, რომლებიც შენზე იზრუნებენ, დაიცავენ შენს უსაფრთხოებას.

რატომ ვერ ვნახულობ ბებიას და ბაბუას?

ზოგჯერ მიკრობებს შეუძლიათ ბებია-ბაბუა უფრო ავად გახადონ და ჩვენ გვინდა, რომ ყველა იყოს ჯანმრთელი. მათ ისევ უყვარხარ და ზრუნავენ შენზე და შენ შეგიძლია ისევ ესაუბრო მათ ტელეფონით ან კომპიუტერით.

რატომ ატარებენ ადამიანები პირბადეს?

პირბადის ტარება არის ის, რასაც ერთმანეთისთვის ვაკეთებთ. ზოგჯერ ადამიანები გამოიყურებიან უფრო სახალისოდ პირბადით, მაგრამ მათი პირბადეები გვიცავს მე და შენ, რომ არ გავხდეთ ავად და ჩვენი პირბადე იცავს მათ ავადმყოფობისგან.

ბავშვის დაცვა ძალადობისგან

ბავშვზე ძალადობად მიჩნეულია ნებისმიერი ქმედება, აღზრდის ძალადობრივი ფორმა, რომელიც საფრთხეს უქმნის მის განვითარებას, ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას. ძალადობა წარმოადგენს ბავშვის უფლებების დარღვევას. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა, ეს ქმედება ხორციელდება განზრახ თუ მის გარეშე. ამოსავალი არის ის დამაზიანებელი გავლენა, რაც ბავშვს ადგება ძალადობით.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის დროს სხვა გამონკვევებთან ერთად იზრდება ბავშვზე ძალადობის რისკი, რაც პირდაპირ კავშირშია მსგავსი კრიზისების შედეგად გამონკვეულ სოციალურ, ეკონომიკურ და ემოციურ გამონკვევებთან. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის მზრუნველობაში ჩართული პირების მიერ ძალადობის ნიშნების გამოვლენასა და სათანადო პასუხისმგებელი ორგანოებისათვის მსგავსი შემთხვევების შეტყობინებას.

ძალადობის ნიშნებზე დაკვირვება და ამოცნობა უნდა განხორციელდეს როგორც კონტაქტური სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების დროს, ისე პირბიძული თუ დისტანციური მომსახურების განვების დროს. დისტანციური სკოლამდელი განათლების განხორციელების შემთხვევაში ადრეული განათლების სპეციალისტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ძალადობის ისეთ ნიშნებზე, რომელთა ვიზუალურად დანახვა და მოსმენით გაგება არის შესაძლებელი. მაგალითად, სკოლამდელი განათლების სპეციალისტის თანდასწრებით მშობელი ბავშვზე ფსიქოლოგიურად ძალადობს, უყვირის, აჯანჯლარებს, ჩქმეტს, ემუქრება ფიზიკური დასჯით, შეურაცხყოფას აყენებს ბავშვს, წამოართყამს და ა.შ.

სკოლამდელი დანესებულების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მართვა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა COVID 19-ის პირობებში

COVID 19-ის პირობებში სკოლამდელი განათლების ხარისხიანი და უსაფრთხო საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია აღნიშნულ უწყებებს შორის კოორდინაციის გაძლიერება. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება სახელმწიფო ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყონ ან უზრუნველყონ სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება COVID 19-ის პირობებში:

რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებს

რეკომენდებულია მუნიციპალიტეტისთვის ვალდებულებად განისაზღვროს:

- სკოლამდელ დანესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე საჭიროებების კვლევა და ანალიზი;
- COVID19-ის პირობებში სხვადასხვა ფორმით საგანმანათლებლო პროცესის თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სკოლამდელი დანესებულებების კომპიუტერებით აღჭურვა და ინტერნეტიზაცია;
- სკოლამდელი დანესებულებების მენეჯერების/ხელმძღვანელების კონსულტირება და მხარდაჭერა სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების რელევანტური ფორმის (ფორმები იხილეთ შესაბამის თავში) შერჩევის და განხორციელების მიზნით;
- სკოლამდელი დანესებულებები შესაბამისი რესურსებით საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ განხორციელება;
- სკოლამდელი დანესებულებების მხარდაჭერა და მათთვის შესაბამისი რესურსების მიწოდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით;
- სკოლამდელ დანესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, ხოლო იდენტიფიცირებული საჭიროებების შემთხვევაში დანესებულებების მხარდაჭერა (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, მხარდამჭერი სუპერვიზიები და ა.შ.)
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შესრულება.

სკოლამდელი განათლების სისტემისთვის დღემდე დიდ გამოწვევად რჩება ერთიანი საგანმანათლებლო სტატისტიკის არსებობა და სკოლამდელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის თანახმად მუნიციპალიტეტის ორგანო ვალდებულია აწარმოოს დანესებულებათა რეესტრი, შეაგროვოს და მასში ასახოს მონაცემები საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის მიერ დანესებულებათა რეესტრის წარმოების წესისა და ამ რეესტრში შესატანი მონაცემებისა და ინდიკატორების ჩამონათვალის შესაბამისად, უზრუნველყოს მონაცემთა საჯაროობა და მიწოდოს ისინი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად. ამავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვალდებულებაა გამოაქვეყნოს სკოლამდელი განათლების სფეროში მუნიციპალიტეტებისგან მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია.



დღესდღეობით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა არ იძლევა სრულ სურათს სკოლამდელი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ, COVID 19-ის პირობებში კი პრინციპულად მნიშვნელოვანია ზუსტი სტატისტიკის არსებობა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია არა მხოლოდ სრულყოფილი სტატისტიკის შექმნა, არამედ სკოლამდელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა.

რეკომენდებულია, რომ ამ მიზნით მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს:

- სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობის აღრიცხვა;
- დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული ბავშვების, მათ შორის იმ ბავშვების აღრიცხვა, რომლებსაც დადასტურებული აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, სპეციალური საჭიროება ან ასეთის რისკის ქვეშ იმყოფებიან. მათი რაოდენობის და მონაცემების აღრიცხვა;
- დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვა;
- მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემების აღრიცხვა;
- საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშეწყობა მართვის პროცესების დროული, რელევანტური და ზუსტი ინფორმაციული უზრუნველყოფით;
- სკოლამდელი განათლების სისტემაში არსებული ელექტრონული მონაცემების შეგროვება, შენახვა და ადმინისტრირება, მათ შორის სკოლამდელ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემების შექმნა, დანერგვა და ადმინისტრირება;
- საგანმანათლებლო პროცესში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- სკოლამდელ დაწესებულებაში ჩასარიცხი ბავშვის ელექტრონული რეგისტრაციის პროცესი;
- სკოლამდელი განათლების სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის დანერგვა;
- ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და თანამშრომლისთვის წინასწარ განსაზღვრული ელექტრონული პლატფორმისთვის (სკოლამდელი დაწესებულების მართვის სისტემა, დასწრების ელ. ჟურნალი, თანამშრომლობის სისტემა და სხვ.) მომხმარებლის პროფილების შექმნა;
- წინასწარ განსაზღვრული ელექტრონული პლატფორმების (სკოლამდელი დაწესებულების მართვის სისტემა, ელექტრონული ჟურნალი, თანამშრომლობის სისტემა და სხვ.) დანერგვის მხარდაჭერა;
- საგანმანათლებლო პროცესში გამოსაყენებელი პლატფორმების ტექნიკური ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;
- საგანმანათლებლო პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით შესაბამისი სოციალური კამპანიებისა და აქტივობის დაგეგმვა-განხორციელება;
- დასწრების ელ. ჟურნალის გამართული ფუნქციონირება;
- დისტანციური ფორმით წარმართულ საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება;

სკოლამდელ დაწესებულებებში ჩასარიცხ ბავშვთა ელექტრონული რეგისტრაციის პროცესის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით სკოლამდელი განათლების სისტემაში ბავშვების ჩარიცხვის ერთიანი სისტემის შექმნას, მონაცემების ერთიან სისტემაში აკუმულირებას, ბავშვთა ჩარიცხვის უნიფიცირებული და სამართლიანი სისტემის შექმნას, მუნიციპალიტეტების დონეზე სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების/სააგენტოების მოვალეობების მოდიფიცირებას*. უფრო მეტიც, COVID 19-ის პირობებში უზრუნველყოფს სისტემაში ჩართული პირების უსაფრთხოებას. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს არ მოუწევთ განცხადების დასაწერად

* სამომავლოდ: მაშინ, როცა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის თანახმად, სკოლამდელი დაწესებულებები უნდა გახდნენ დამოუკიდებელი იურიდიული პირები და გაერთიანების/სააგენტოების მოვალეობები უნდა შეიცვალოს. მათ მაქსიმალურად უნდა ჩამოსცილდეთ სკოლამდელი დაწესებულების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ჩარიცხვის ერთიანი სისტემის შექმნა ხელს შეუწყობს ამ პროცესს. ასევე, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი სკოლამდელი დაწესებულებების ავტონომიისთვის.

სკოლამდელ დანესებულებებში მისვლა, რითაც მინიმუმამდე შემცირდება ადამიანების ერთმანეთთან კონტაქტი და ინფექციის გავრცელების საშიშროება.

სკოლამდელი განათლების სისტემაში ბავშვების ჩარიცხვის ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით ბავშვების მიღება რეკომენდებულია განხორციელდეს შემდეგი პრიორიტეტულობით. ამასთან, მიზანშეწონილია განისაზღვროს პრიორიტეტულობის მიხედვით ბავშვის რეგისტრაციის სხვადასხვა ვადები.

სკოლამდელ დანესებულებაში ბავშვის მიღების პრიორიტეტულობა:

I ეტაპი	<ul style="list-style-type: none"> • სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები • მართლხელა მშობლების ბავშვები • შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები
II ეტაპი	<ul style="list-style-type: none"> • სკოლამდელი დანესებულების თანამშრომლების შვილები • დედმამიშვილები
III ეტაპი	<ul style="list-style-type: none"> • იმავე რაიონში რეგისტრირებული ბავშვები, სადაც მდებარეობს სკოლამდელი დანესებულება • სხვა დანარჩენი განცხადებები

COVID19-ის პირობებში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის სკოლამდელი განათლების მისაწვდომობას და ხარისხს. სკოლამდელი განათლების სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის დანერგვა ასევე არა მხოლოდ გაამარტივებს და მოქნილს გახდის სისტემის მუშაობას, არამედ უზრუნველყოფს სისტემაში ჩართული პირების უსაფრთხოებას.

შეთავაზება განსახილველად:

სრულყოფილი სტატისტიკის და სკოლამდელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს სკოლამდელი განათლების სისტემის ინტეგრირება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) შემდეგი სქემის გამოყენებით:

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) სკოლამდელი განათლების სისტემის ინტეგრირების პროცესის ხელშეწყობის მიზნით სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მიზნებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, დამატებითი სისტემური რგოლების და ფინანსური დანახარჯების გარეშე შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული ამ ორი რგოლის ჩართვა სკოლამდელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა/განვითარების პროცესში. კერძოდ, საგანმანათლებლო რესურსცენტრებში სკოლამდელი განათლების კოორდინატორები უზრუნველყოფენ EMIS-ისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას მუნიციპალიტეტების დონეზე შექმნილი შუალედური რგოლებიდან (მუნიციპალიტეტების ბაღთა გაერთიანებები/თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო) და მიაწოდებენ სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას EMIS-ისთვის. აღნიშნული სქემით შეიქმნება სკოლამდელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და საჭიროების შემთხვევაში EMIS-ში აკუმულირებული ინფორმაციის ანალიზი და ამ ინფორმაციის გავრცელება/გადაცემა სისტემაში ჩართული რგოლებისთვის, ისევე როგორც დაინტერესებული მხარეებისთვის მოხდება სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს მიერ.

საჭიროებების კვლევა და ანალიზი

სკოლამდელი დანესებულებების ფუნქციონირების აღდგენა უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ზოგადად უზრუნველყოს სისტემაში ჩართული ყველა პირის უსაფრთხოება. COVID 19-ის პირობებში საგან-

მანათლებლო პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვანია ჩატარდეს საჭიროებების კვლევა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან (მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, სკოლამდელი დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და თანამშრომლები, როგორც საგანმანათლებლო პროცესზე პასუხისმგებელი, ისე ტექნიკური პერსონალი; მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სპეციალური საჭიროების / შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მათ მშობელთა დამატებითი საჭიროებებზე). აღნიშნული კვლევის ანალიზი საშუალებას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ეფექტურად და ეფექტიანად დაგეგმონ და განახორციელონ საგანმანათლებლო პროცესის განახლება სკოლამდელ დაწესებულებებში და მაქსიმალურად შეამცირონ რისკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების დაცვის მიზნით სასურველია გაკეთდეს ონლაინ (ან სატელეფონო) კვლევა.

საჭიროებების კვლევის ანალიზის შედეგად გამოვლენილ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე დაფუძნებით, კონკრეტული სკოლამდელი დაწესებულების მდგომარეობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება როგორც სკოლამდელი დაწესებულების გახსნის ვადებთან, ისე სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმებსა და სტრატეგიებთან დაკავშირებით (იხილეთ თავი: „სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმები COVID 19-ის პირობების გათვალისწინებით“). აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მიერ არ მოხდეს უნიფიცირებული მიდგომით გადაწყვეტილებების მიღება, არამედ ეს უკანასკნელი განხორციელდეს სკოლამდელი დაწესებულებების კონტექსტუალური ანალიზის და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით (კვლევის ჩასატარებლად საჭირო აღნიშვნის ფურცლის ნიმუშები იხილეთ დანართი №2: თანამშრომლებისთვის შემუშავებული აღნიშვნის ფურცლის ნიმუში, დანართი №3 სკოლამდელი დაწესებულების მენეჯერებისთვის შექმნილი აღნიშვნის ფურცლის ნიმუში, დანართი №4: მშობლებისთვის შექმნილი აღნიშვნის ფურცლის ნიმუში).

საგანმანათლებლო პროცესში მიღწევების და გამოწვევების მოკვლევა და მხარდაჭერა

აღნიშნული გამკვლევის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდეც და მას შემდეგაც გარკვეული პერიოდულობით მოხდეს პროცესში ჩართული უწყებების და მათი წარმომადგენლების მხარდაჭერა. ეს უკანასკნელი შესაძლებელია განხორციელდეს სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების, მხარდაჭერი სუპერვიზიების და ა.შ. სახით. აღნიშნული პროცესი უნდა წარიმართოს დარგის ექსპერტების ჩართულობით, რომლებიც დაეხმარებიან სისტემაში მომუშავე პირებს, გადალახონ და მოაგვარონ ის პრობლემები, რომლის წინაშეც დადგებიან საგანმანათლებლო პროცესის განახლებისას. ამასთან, კარგი იქნება, შეხვედრების დროს მოხდეს წარმატებული და წარუმატებელი პრაქტიკული მაგალითების განხილვა, რათა პროცესში ჩართულ პირებს გაუმარტივდეთ სწორი გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების მოგვარება.

რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი სურსათის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფენ თავიანთი ვალდებულებების შესრულებას, კერძოდ, სკოლამდელ დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის და სურსათის უვნებლობის კონტროლს ტექნიკური რეგლამენტების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

COVID 19-ის პირობებში ზემოთ აღნიშნული უწყებებმა რეკომენდებულია უზრუნველყონ ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

მიერ COVID 19-თან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების მიხედვით სკოლამდელი დაწესებულებების კონტროლი.

რეკომენდაციები სკოლამდელ დაწესებულებებს

რეკომენდებულია სკოლამდელმა დაწესებულებამ:

- უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა სკოლამდელ დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე საჭიროებების კვლევისა და ანალიზის პროცესში;
- უზრუნველყოს სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლების კონსულტურება/მომზადება/მხარდაჭერა სკოლამდელი დაწესებულების შეუფერხებლად და უსაფრთხოდ ფუნქციონირების მიზნით;
- უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება;
- დაგეგმოს საგანმანათლებლო პროცესი დაწესებულების რესურსების და თითოეული ბავშვის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- მაქსიმალური ძალისხმევა მიმართოს სკოლამდელი განათლების მომსახურების რომელიმე ფორმით მიწოდებასა და განხორციელებაში.;
- უზრუნველყოს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების რეგულარული ინფორმირება მათი ვალდებულებებისა და უფლებამოსილების შესახებ;
- უზრუნველყოს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების რეგულარული კონსულტირება/მომზადება/მხარდაჭერა სკოლამდელი დაწესებულების შეუფერხებლად და უსაფრთხოდ ფუნქციონირების და ამ პროცესში მათი ჩართულობის მიზნით;
- უზრუნველყოს სკოლამდელი დაწესებულების საკონსულტაციო საბჭოს დახმარებით დროული და თანამონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება COVID 19-ით გამოწვეულ საკითხებთან დაკავშირებით;
- სისტემატურად აწარმოოს შერჩეული მიმდინარე ფორმ(ებ)ის მიხედვით ჩატარებულ საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების დასწრების აღრიცხვა.
- დაადგინოს ბავშვის მიერ სხვადასხვა შერჩეული მიმდინარე ფორმ(ებ)ის მიხედვით ჩატარებული საგანმანათლებლო პროცესის გაცდენის მიზეზები.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ბავშვის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის (მონყობილობისა და ინტერნეტთან წვდომის) არქონით, ინფორმაცია მიანოდოს დაწესებულების ხელმძღვანელს და პრობლემის მოგვარებამდე კოლეგებთან ერთად ინდივიდუალურად განიხილოს არსებული შესაძლებლობები და დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩასართავად როგორც დასწრებულად, ასევე დისტანციურად.

იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვის კონტაქტურ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის შეფერხების მიზეზად ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული მომატებული რისკი ან მისი შეზღუდული შესაძლებლობა განისაზღვრება, აქტიური მონაწილეობა მიიღოს დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში, განიხილოს საგანმანათლებლო პროცესში ბავშვის ჩართვის ალტერნატიული ვარიანტები და მისი საუკეთესო ინტერესის დაცვით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

- უზრუნველყოს შესაბამისი სივრცის გამოყოფა შესაბამისი პერსონალის მიერ (აღმზრდელი, სპეციალური პედაგოგი და სხვა საგანმანათლებლო პერსონალი) აქტივობების დასაგეგმად/ჩასატარებლად იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) საგანმანათლებლო პერსონალი ვერ ახერხებს სახლიდან ჩართვას;
 - ბ) საგანმანათლებლო პერსონალს არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა/ინტერნეტი.
- უზრუნველყოს ბავშვების საჭიროებების, შესაძლებლობების, ინტერესებისა და რესურსების იდენტიფიცირება;

- შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებები დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგისთვის, რაც ითვალისწინებს:
 - ა) დისტანციური აქტივობების დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით ჩატარების ზედამხედველობას;
 - ბ) დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ბავშვების დასწრების აღრიცხვაზე ზედამხედველობას;
 - გ) დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების აღრიცხვას და მიზეზების კვლევას;
 - დ) ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმების და უსაფრთხოების დაცვის ზედამხედველობას.
- დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში რაიმე ფორმით ძალადობრივი ქმედების დაფიქსირებისთანავე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იმოქმედოს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

კომუნიკაცია ოჯახთან, თანამშრომლებთან და ზემდგომ სტრუქტურებთან

მნიშვნელოვანია სკოლამდელი დანესებულების მხრიდან აქტიური კომუნიკაციის შენარჩუნება ბავშვის ოჯახთან, თანამშრომლებთან და ზემდგომ სტრუქტურებთან, განსაკუთრებით კი COVID 19-ის პირობებში. ამ მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა წყაროს გამოყენება, ისეთების, როგორებიცაა შეხვედრები ღია სივრცეში (ჯანდაცვის და უსაფრთხოების წესების დაცვით), სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენება, სოციალური მედია და ა.შ.

შესაძლებელია გამოიკვეთოს დამატებითი ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზების საჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობლებთან მათი საჭიროებების და საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალურად განხილვის და დაგეგმვის მიზნით.

პარტნიორობა და კომუნიკაცია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან:

სასურველია აღნიშნული შეხვედრები ჩატარდეს ჯგუფების მიხედვით.

- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს და რატომ ატარებს სკოლამდელი დანესებულება მათი შვილების უსაფრთხო დაბრუნების მიზნით; ასევე იმ დამატებით ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელებას გეგმავს სკოლამდელი დანესებულება სპეციალური საგანმანათლებლო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში;
- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა და მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი ვალდებულებების და ამ უკანასკნელის შესრულების აუცილებლობაზე;
- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს იმის შესახებ, რომ მათთან გექნებათ რეგულარული კომუნიკაცია/ონლაინ შეხვედრა სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. სთხოვეთ, რომ თვალი ადევნონ თქვენი დანესებულების ვებგვერდს, სოციალურ გვერდს, ფეისბუქ ჯგუფებს და ა.შ. აუხსენით, რომ მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოგმართონ შეკითხვებით;
- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს კვლევის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე, პრობლემებსა და ამ პრობლემების მოგვარების გზებზე. მოუსმინეთ და შეეცადეთ გაითვალისწინოთ მათი უკუკავშირი;
- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს COVID19 სიმპტომებზე და მათი იდენტიფიცირების შემთხვევაში სათანადო პროტოკოლზე; მიაწოდეთ ინფორმაცია იმ ოფიციალური უწყებების და წყაროების შესახებ, საიდანაც დაინტერესების შემთხვევაში შეძლებენ ინფორმაციის მიღებას/დაზუსტებას.
- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს იმის შესახებ, რომ ოჯახში კორონავირუსის ფაქტის და-

ფიქსირების შემთხვევაში ისინი ვერ მოიყვანენ ბავშვს დაწესებულებაში და მსგავსი ამ დროს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ დაწესებულებას;

- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვანია მათი შვილები გაციების მცირედი ნიშნების გამოვლენისთანავე დატოვონ სახლში;
- ესაუბრეთ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ბავშვის მოყვანის და წაყვანის პროცედურებზე, რომ ეს უკანასკნელი არ იყოს სტრესული არც მშობლისთვის და არც ბავშვისთვის. ამასთან, დაუბუსტეთ, რომ უსაფრთხოების გამო ვერ მოხერხდება მშობლების შენობაში შემოსვლა და რომ ბავშვი არ მოიყვანოს ოჯახის ხანდაზმულმა წევრმა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რისკგუფში მყოფი პირების დაინფიცირება;
- გადაეცით მშობლებს წერილობითი რეკომენდაციები, თუ როგორ აუხსნას ბავშვს COVID 19-თანდაკავშირებული ცვლილებები და მოამზადოს ბავშვი სკოლამდელ დაწესებულებაში მისასვლელად.

პარტნიორობა და კომუნიკაცია თანამშრომლებთან:

- ესაუბრეთ თანამშრომლებს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს და რატომ ატარებს სკოლამდელი დაწესებულება უსაფრთხოდ გახსნის მიზნით;
- ესაუბრეთ თანამშრომლებს მათი ვალდებულებების და ამ უკანასკნელის შესრულების აუცილებლობაზე;
- გააცანით თანამშრომლებს ცვლილებები საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით;
- ესაუბრეთ თანამშრომლებს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა უსაფრთხოების და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად;
- ესაუბრეთ COVID 19-ის სიმპტომებზე და მათი იდენტიფიცირების შემთხვევაში სათანადო პროტოკოლზე; მიანოდეთ ინფორმაცია იმ ოფიციალური უწყებების და წყაროების შესახებ, საიდანაც ისინი შეძლებენ ინფორმაციის მიღებას/დაზუსტებას დაინტერესების შემთხვევაში.
- ესაუბრეთ იმის შესახებ, რომ თანამშრომლები შეძლებისდაგვარად ჩართული იქნებიან თქვენი მხრიდან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ყოველ ჯერზე აცნობებთ მიღებულ სიახლეებს და ცვლილებებს;
- დაგეგმეთ მათთან რეგულარული შეხვედრები და გამოყავით დღეები აღნიშნული შეხვედრებისთვის;
- ესაუბრეთ კვლევის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე, პრობლემებსა და ამ პრობლემების მოგვარების გზებზე. მოუსმინეთ და შეეცადეთ გაითვალისწინოთ მათი უკუკავშირი;
- ესაუბრეთ თანამშრომლებს იმის შესახებ, რომ ოჯახში კორონავირუსის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ისინი ვერ მოვლენ დაწესებულებაში და ასეთ დროს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ დაწესებულების ადმინისტრაციას;
- აუხსენით დაწესებულებაში მოსვლისა და წასვლის წესები და უსაფრთხოების ის წესები, რომელიც სამუშაო პროცესში უნდა დაიცვან;
- აუხსენით ბავშვების მიღების და გაშვების პროცედურები;
- ესაუბრეთ თანამშრომლებს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან მათი კომუნიკაციის მნიშვნელობა და ფორმებზე.

პარტნიორობა და კომუნიკაცია ზემდგომ სტრუქტურებთან:

- შეინარჩუნეთ რეგულარული კომუნიკაცია ზემდგომ სტრუქტურებთან;
- უზრუნველყავით ზემდგომი სტრუქტურების მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის დროული და ჯეროვანი გაავრცელება;

ხილვადობა

- COVID 19-ისგან დაცვის წესების შესახებ საინფორმაციო პოსტერები განათავსეთ როგორც ონლაინ სივრცეში, ისე გამოაკარით თვალსაჩინო ადგილებში;

- ინფორმაცია სკოლამდელი დაწესებულების ფარგლებში შემუშავებული პროტოკოლების (აღსაზრდელთა მიღების და გაშვების წესი, შენობაში შემოსვლის წესი და ა.შ.) შესახებ განათავსეთ როგორც ონლაინ სივრცეში, ისე გამოაკარით თვალსაჩინო ადგილებში;

რეკომენდაციები მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს

მშობელის/კანონიერი წარმომადგენელმა საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობისთვის მიზანშეწონილია:

- შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ბავშვის ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში;
- ითანამშრომლოს სკოლამდელ დაწესებულებასთან და დაეხმაროს ბავშვს ამ დაწესებულების მიერ დასახული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაში; საჭიროების შემთხვევაში, აღმზრდელის რეკომენდაციის გათვალისწინებით უზრუნველყოს დამატებითი მუშაობა ბავშვთან დასახული მიზნების და პროგრესის მიღწევის მიზნით.
- თვალყური ადევნოს ბავშვს და დროულად შეატყობინოს სკოლამდელ დაწესებულებას დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში რაიმე ფორმით ძალადობრივი ქმედების, მათ შორის, კიბერბულინგის დაფიქსირების შემთხვევა;
- გონივრულ ვადაში შეატყობინოს სკოლამდელ დაწესებულებას ბავშვის საგანმანათლებლო პროცესის გაცდენის მიზეზი; აცნობოს დაწესებულების შესაბამის წარმომადგენლებს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული დამატებითი რისკების თაობაზე და წარადგინოს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია (მაგ., მკურნალი ექიმის დასკვნა და რეკომენდაცია);
- შეატყობინოს სკოლამდელ დაწესებულებას დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით არსებული სირთულეების შესახებ და ითანამშრომლოს დაწესებულებასთან სირთულის დაძლევის რეალისტური გზის მოძიებაში და ჩაერთოს მათი მოგვარების პროცესში;
- მიზანშეწონილია შეავსოს აღნიშვნის ფურცელი მშობლებისათვის (იხილეთ დანართი №4: მშობლებისთვის შექმნილი აღნიშვნის ფურცლის ნიმუში).

რეკომენდაციები საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

ტელებაღი

2018 წელს ჩატარებული კვლევის (საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა) თანახმად ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი შეადგენდა 69,5%-ის. ამასთან, ჩარიცხვის მაჩვენებლები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებში 33% იყო, სოციალურად დაუცველ ბავშვებში – 39,7%, ხოლო სოფლად – 46,8%. აღნიშნული სტატისტიკის გათვალისწინებით, ტელებაღის შექმნა პრინციპულად მნიშვნელოვანია იმ ბავშვების საგანმანათლებლო სივრცეში შემოსაყვანად, ვინც, სამწუხაროდ, COVID 19-ის ინფექციის გავრცელებამდეც ვერ ახერხებდა სკოლამდელ დაწესებულებაში სიარულს, ხოლო არსებულ სიტუაციაში ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ტელებაღი რეკომენდებულია გავიდეს საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის არხზე და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შესთავაზებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ტელეაქტივობებს. ტელებაღი, სკოლამდელი საგანმანათლებლო პროცესის ამა თუ იმ ფორმით განხორციელების მიუხედავად, დისტანციური მხარდაჭერის ერთ-ერთი ფორმატი იქნება, რომელიც სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვზე იქნება მორგებული და საქართველოს მასშტაბით იქნება მისაწვდომი. განურჩევლად იმისა, აქვთ თუ არა წვდომა ინტერნეტთან, ბავშვებს მიეცემათ წვდომა საინტერესო განმავითარებელ აქტივობებთან.

საეთერო ბადე ყველა ასაკობრივი ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით იქნება გაჯერებული. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ტელეაქტივობებს დარგის სპეციალისტები დაგეგმავენ და ჩაატარებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ტელებალის აქტივობების თარგმნას შესტური ენის თარჯიმანი უზრუნველყოფს. ეთნიკური უმცირესობებისათვის გაკეთდება აზერბაიჯანული და სომხური ენების ტელეაქტივობებიც.

აქტივობები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ჩატარდება. ტელებალს შაბათსა და კვირას სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამებიც დაემატება. ტელებალის აქტივობების განრიგი და სხვა დეტალური ინფორმაცია განთავსდება შემდეგ ვებგვერდებზე: www.mes.gov.ge, www.inclusion.ge, www.el.ge და სხვა.

ტელებალისთვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა მედიაპლატფორმაც – ვებპორტალი 1tv.ge, საქართველოს პირველი არხის Youtube და Facebook გვერდები. ტელებალი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გრძელვადიანი იქნება და კორონავირუსის საფრთხის დაძლევის შემდეგაც შესაძლოა გაგრძელდეს.

ტელებალი თავისი სტრუქტურითა და შინაარსით იქნება მხარდაჭერის ინსტრუმენტი სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის. აღნიშნული რესურსი დაეხმარება მათ, ტელეაქტივობების მიხედვით სწორად დაგეგმონ და განახორციელონ სტანდარტებზე დაფუძნებული და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მრავალფეროვანი აქტივობები.

- ტელებალი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მშობლების განათლების და ცნობიერების ამაღლების პროცესშიც. ხელს შეუწყობს მშობელს სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის გააზრებაში, ბავშვთან ურთიერთობის პროცესში სწორი მიდგომების გამოყენებასა და კომუნიკაციის გზების ფორმირებაში.

სკოლამდელი განათლების ონლაინ პლატფორმა

დღესდღეობით ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი ონლაინ სივრცე, სადაც თავმოყრილია საგანმანათლებლო მასალა როგორც სკოლამდელი განათლების სფეროში ჩართული სპეციალისტების, ისე მშობლებისთვის. კორონავირუსის საფრთხის მინიმიზაციის, სკოლამდელ განათლებაში საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების ონლაინ პლატფორმის, მაგალითად, უკვე არსებული ვებგვერდების www.mes.gov.ge, www.inclusion.ge, www.el.ge და სხვა. გააქტიურება, გამდიდრება, მასზე სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული რესურსების მობილიზება. აღნიშნულ პლატფორმაზე თავს მოიყრის საგანმანათლებლო და დამხმარე მასალები როგორც სკოლამდელი განათლების მენეჯერებისა და თანამშრომლებისთვის, ისე ბავშვებისა და მშობლებისთვის. უფრო მეტიც, აღნიშნულ სივრცეში განთავსდება ტრენინგები, ტუტორიალები და ვებინარები. აქვე მოხდება წარმატებული და წარუმატებელი სიტუაციური მაგალითების განხილვა. სკოლამდელი განათლების ონლაინ პლატფორმა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კორონავირუსის საფრთხის დაძლევის შემდეგაც გააგრძელებს ფუნქციონირებას.

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმების მიწოდების ფორმები COVID 19-ის პირობების გათვალისწინებით

მოცემულ თავში აღწერილია სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმები და სტრატეგიები. მათი შერჩევა და დანერგვა დაწესებულებებს თავად შეუძლიათ ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად. სასურველია, რომ ს სკოლამდელმა დაწესებულებამ მშობლებთან კონსულტაციის საფუძველზე თავად შეარჩიოს ოპტიმალური ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და სტრატეგიებიდან.

ქვემოთ შემოთავაზებულია სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების სამი ფორმა: კონტაქტური, დისტანციური და ჰიბრიდული. აღნიშნული ფორმების ფარგლებში გთავაზობთ შესაბამის სტრატეგიებს.

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების კონტაქტური ფორმა

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების კონტაქტური ფორმა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესს, რომლის დროსაც ბავშვი და აღმზრდელი იმყოფებიან ერთ სივრცეში, სკოლამდელი განათლების დაწესებულების გარემოში, სადაც შენარჩუნებულია საგანმანათლებლო პროცესის ჩვეული სტილი პანდემიის პირობებით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად.

კონტაქტური ფორმით სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება შესაძლებელია სრული (ორშაბათიდან – პარასკევის ჩათვლით, 9-საათიანი საგანმანათლებლო პროცესი) ან ნახევარი განაკვეთით (ყოველდღე ორ განაკვეთად, ორშაბათი-პარასკევი, თითო განაკვეთი – 5 საათი). სკოლამდელი დაწესებულების მიერ განაკვეთის მორგება დამოკიდებულია მის ფიზიკურ გარემოზე, ადამიანურ რესურსზე, ბავშვების რაოდენობასა და იმაზე, რამდენად შეუძლია მას დადგენილი რეგულაციების შესრულება.

კვირის განრიგის შემუშავება და მიწოდება

ყოველი კვირის პარასკევი დღეს, 18:00 საათამდე, სკოლამდელი დაწესებულება ვალდებულია მშობელს მიაწოდოს ბავშვის ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე) მიერ განერილი მომდევნო კვირის დღის აქტივობების განრიგი. კვირის განრიგის გაცნობა მშობელს და ბავშვს აძლევს საშუალებას, წინასწარ მოემზადონ და განეწყონ იმ საგანმანათლებლო აქტივობებისთვის, რომელიც მორგებულია ბავშვის ასაკობრივ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. ინფორმაცია კვირის განრიგის შესახებ ეხმარება მშობელს, რომ, ერთი მხრივ, გაეცნოს, რომელ აქტივობებშია მისი ბავშვი ჩართული, ყოველი დღის ბოლოს მოისმინოს მისგან დღის შთაბეჭდილებები (ამ დროს იზრდება მშობლის ჩართულობა და ინტერესი), ხოლო მეორე მხრივ, წაახალისოს ბავშვის მოტივაცია, შეუქმნას მზაობა მომდევნო დღის გეგმის შესახებ.

კვირის განრიგს სკოლამდელი დაწესებულება ადგენს კურიკულუმის გამოყენებით (თემატური კურიკულუმი, თამაში) ან იმ პროგრამებზე დაყრდნობით, რომლებითაც ჩვეულ კონტექსტში ხელმძღვანელობდა.

კვირის განრიგის შექმნისას აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთან დამატებითი შეხვედრის საჭიროება, შესაბამისად, ასახოს ის თავის და მშობლისთვის განსაზღვრულ განრიგში.

ონლაინ ინდივიდუალური შეხვედრები მშობელთან

სკოლამდელი საგანმანათლებლო პროცესის კონტაქტური ფორმით წარმართვის დროს საგანმანათლებლო პერსონალს აქვს კომუნიკაცია მშობელთან და საჭიროების შემთხვევაში გეგმავს მასთან ონლაინ ან სატელეფონო შეხვედრას. შეხვედრის დროს აღმზრდელი ამცნობს მშობელს მისი შვილის განვითარების დინამიკას, საუბრობენ ბავშვის ძლიერ მხარეებსა და იმ საჭიროებებზე, რომლებშიც სჭირდება მას გაძლიერება და მხარდაჭერა. აღმზრდელი ვალდებულია, საჭიროებისამებრ დაუკავშირდეს მშობელს და გაუზიაროს ბავშვის მიღწევები. აღნიშნული კომუნიკაცია მიზნად ისახავს მის ინფორმირებულობას, ჩართულობის გაზრდას სკოლამდელი განათლების მომსახურების პროცესში და ხელს უწყობს მას პოზიტიურ მშობლობაში.

ონლაინ გაერთიანებული შეხვედრები მშობლებთან

ონლაინ გაერთიანებული შეხვედრების დროს საგანმანათლებლო პერსონალი (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, სხვა ბავშვთან მომუშავე პირი) იღებს უკუკავშირს მშობლებისგან საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. აღმზრდელი ადგენს მშობლების კმაყოფილების ხარისხს, ზრუნავს მათი ჩართულობის გაზრდაზე და მშობელთა მომართვის საფუძველზე ახორციელებს სათანადო ცვლილებებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ან განხორციელების მხრივ. ონლაინ გაერთიანებული შეხვედრის ფარგლებში აღმზრდელი ხელს უწყობს მშობლებს შორის კომუნიკაციას, გამოცდილებების, განცდების, შეთავაზებების ან შთაბეჭდილებების გაზიარებას.

მიზანშეწონილია, რომ საგანმანათლებლო წლის სემესტრის დაწყებამდე, არაუგვიანეს 1 კვირით ადრე, სკოლამდელმა დანესებულებამ ორგანიზება გაუწიოს ორსესიიან საორიენტაციო შეხვედრას მშობლებთან. შეხვედრის მიზანია მშობლების მომზადება ახალი საგანმანათლებლო წლისთვის, სადაც ისინი გაეცნობიან სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ადმინისტრაციულ საკითხებს, ყველა იმ ვალდებულებას, პასუხისმგებლობასა და უფლებამოსილებას, რაც დანესებულების ფუნქციონირებას ეხება (განსაკუთრებით პანდემიის პირობებში). მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, სკოლამდელი დანესებულება დარწმუნდეს, რომ მშობლები დეტალურად არიან ინფორმირებულნი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმებისა და სტრატეგიების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში სკოლამდელმა დანესებულებამ შესაძლებელია დამატებით ინდივიდუალური შეხვედრა დაგეგმოს შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მშობლებთან მათი შვილის მდგომარეობით განსაზღვრული საჭიროებების სპეციფიკურად განხილვის და კონკრეტული ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების დისტანციური ფორმა

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების დისტანციური ფორმა წარმოადგენს სიახლეს, რომელიც პანდემიით გამოწვეულმა მდგომარეობამ განაპირობა. შესაბამისად, ის როგორც საგანმანათლებლო პროცესის ახალი ფორმა, ბევრ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. თუმცა, დისტანციური ფორმა რიგი საკითხების გათვალისწინებისა და საქმიანობის სწორად წარმართვის შემთხვევაში, ხელს უწყობს ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობის პროცესის შენარჩუნებას.

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების დისტანციური ფორმა წარმოადგენს ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებისა და მისი მშობლების მხარდაჭერის საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც ინტერნეტის და სხვადასხვა ელექტრონული რესურსის გამოყენებით მიმდინარეობს. დისტანციური ფორმის დროს ბავშვი სახლის გარემოში მშობლის მაღალი ჩართულობითა და სკოლამდელი განათლების მომსახურების მიმწოდებლის მხარდაჭერით მონაწილეობს სკოლამდელი დანესებულების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში (მცირე ჯგუფები, ინდივიდუალური შეხვედრები). ამავდროულად, აღმზრდელი თანმიმდევრული პერიოდულობით აწვდის მშობლებს ასაკისა და განვითარებისთვის შესაბამის აქტივობებს/რეკომენდაციებს.

დისტანციური ფორმის განხორციელებისას საგანმანათლებლო პერსონალი მიჰყვება კურიკულუმით/პროგრამით შეთავაზებულ აქტივობებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შემთხვევაში კი მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრულ გეგმას (მიზნებს და აქტივობებს), ორგანიზებას უწევს შეხვედრებს რაც გეგმაზომიერი და თანმიმდევრული პროცესია. აღნიშნული პროცესი ემსახურება ბავშვ(ებ)ის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო პროცესის და სკოლამდელი განათლების მომსახურების და მასთან კავშირის უწყვეტობას. ამავდროულად, დისტანციური ფორმა ხელს უწყობს მშობლის მონაწილეობას საგანმანათლებლო აქტივობებში, რაც, თავის მხრივ, დადებით გავლენას ახდენს ბავშვსა და მშობელს შორის ინტერპერსონალური ურთიერთობების განვითარებაზე, მშობლების მიერ სკოლამდელი დანესებულების მხრიდან შეთავაზებული კვირის განრიგის მიხედვით აქტივობების განხორციელებაზე და სხვა. ამ გზით ბავშვი ეცნობა კომუნიკაციის ალტერნატიულ გზებს და ინარჩუნებს ურთიერთობას აღმზრდელთან და თავისი ასაკის ბავშვებთან.

კვირის განრიგის შემუშავება და მიწოდება

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მშობელს წინასწარ მიეწოდოს ყოველი კვირის განრიგი, რომელშიც წარმოდგენილია დღის დაბალანსებული განრიგი და შეთავაზებული აქტივობები.

სკოლამდელი განათლების მომსახურების დისტანციური ფორმით მიწოდების დროს აღმზრდელი ვალდებულია, ყოველი კვირის პარასკევს დღეს, 18:00 საათამდე, მიანოდოს მშობელს მომავალი კვირის დღის აქტივობების განრიგი წერილობითი ფორმით. აღნიშნული აქტივობა უზრუნველყოფს მშობლისა და ბავშვის ინფორმირებულობას, მათი მზაობისა და ჩართულობის გაზრდას საგანმანათლებლო პროცესში. მომდევნო კვირის აქტივობების შემუშავებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, აღმზრდელი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისთვის სათანადოდ მოდიფიცირებულ აქტივობებს და უზიარებს მას მშობელს.

ონლაინ შეხვედრები ბავშვების მცირე ჯგუფებთან

ამ ტიპის ჯგუფური შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ ემოციური და სოციალური კავშირის შენარჩუნება, რომელიც უმნიშვნელოვანესია ბავშვებისთვის. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში აღმზრდელი ცდილობს წაახალისოს ბავშვებს შორის კომუნიკაცია, ერთმანეთთან სიახლეების, გამოცდილებისა და ემოციების გაცვლა. აღმზრდელი თამამის ფორმით სთავაზობს ბავშვებს ჯგუფურ აქტივობას, რომელიც დაფუძნებულია სკოლამდელი განათლების მომსახურების კურიკულუმზე/პროგრამაზე. ამ გზით ის ხელს უწყობს ბავშვებში ინფორმაციისა და კომპეტენციის გაზიარებას, იღებს ინფორმაციას ბავშვის ჩართულობის ხარისხზე მისთვის შეთავაზებულ პროგრამაში. ბავშვებთან შეხვედრა ხორციელდება მშობლების მაღალი ჩართულობით.

ონლაინ მცირე ჯგუფების შეხვედრების დაგეგმვის დროს აუცილებელია აღმზრდელმა ისე დააკომპლექტოს ჯგუფები და ცვალოს მათი შემადგენლობა, რომ თითოეულმა ბავშვმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეძლოს კომუნიკაცია მისი ჯგუფის ყველა წევრთან (მაგალითად, ჯგუფის დაკომპლექტება შეიძლება შეიცვალოს ყოველკვირეულად).

მცირე ჯგუფური აქტივობების დაგეგმვისას და შეხვედრების განხორციელებისას აღმზრდელს არ უნდა გამოორჩეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების / შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მათი მშობლების საჭიროებები.

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ბავშვის შესაძლებლობის გათვალისწინებით ვერ ხერხდება მისი აქტიური მონაწილეობა დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში, შესაძლებელია ის თუნდაც პასიურად, ესწრებოდეს ონლაინ მცირე ჯგუფში დაგეგმილ აქტივობებს. ეს პოზიტიურ გავლენას მოხდენს მის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, სოციალური კავშირების უწყვეტობისა და მიკუთვნებულობის განცდაზე. ამავდროულად, ჯგუფურ აქტივობებში ბავშვის მონაწილეობის შეფასების საფუძველზე აღმზრდელმა შესაძლებელია უპირატესად განსაზღვროს ბავშვთან დამატებითი ინდივიდუალური შეხვედრების საჭიროება ან მშობლის მიერ ინდივიდუალური მუშაობის განხორციელება.

აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 15-20 წუთი. ბავშვების რაოდენობა ონლაინ მცირე ჯგუფში არ უნდა აღემატებოდეს ხუთს.

სიტუაციური მაგალითი

აღმზრდელი უკავშირდება ბავშვებს, ესალმება მათ, მოიკითხავს, წარუდგენს დღის თემატიკას და აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა ფორმით (პრეზენტაცია, საჩვენებელი შემოქმედებითი აქტივობა და ა.შ.). ამის შემდეგ აღმზრდელი ბავშვებს სთავაზობს თამაშს „ასოციაციობანა“ და უსვამს წინასწარ მომზადებულ ორ ან სამ შეკითხვას/ასოციაციას დღის თემატიკიდან (მაგალითად, დამისახელეთ ცხოველი, რომელსაც აქვს ეკლები და უყვარს ვაშლი).

აღმზრდელმა შესაძლებლობა უნდა მისცეს მცირე ჯგუფის წევრებს, ერთმანეთში იმსჯელონ, შეთანხმდნენ საბოლოო პასუხზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნონ პასუხი აღმზრდელს დასმულ შეკითხვაზე.

ეს აქტივობა აღმზრდელს საშუალებას აძლევს განსაზღვროს: რამდენად ახორციელებს სახლის გარემოში ბავშვი მის მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, რაში სჭირდება ბავშვს გაძლიერება და მხარდაჭერა, როგორ თანამშრომლობს და ურთიერთობს თავისი ასაკის ადამიანებთან, შეუძლია თუ არა მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოხატვა და გაზიარება, რამდენად მგრძობიარეა წარმატებისა და წარუმატებლობის მიმართ. აღმზრდელი შეხვედრის ბოლოს მადლობას უხდის ბავშვებს ჩართულობისა და მონაწილეობისთვის, ემშვიდობება მათ.

ონლაინ ინდივიდუალური შეხვედრა ბავშვთან მშობლის მხარდაჭერით და ჩართულობით

მნიშვნელოვანია, რომ დისტანციური ფორმის დროს აღმზრდელმა ბავშვების ინტერესისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით გაითვალისწინოს მათი ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესები. აღმზრდელი ვალდებულია მშობელთან ერთად ორგანიზება გაუწიოს ონლაინ ინდივიდუალურ შეხვედრას ბავშვთან კვირაში ერთხელ მაინც და შესთავაზოს მცირე პროექტის მომზადება თვის თემატიკაზე დაყრდნობით, რომელსაც წარმოაჩენს ჯგუფის საერთო ონლაინ შეხვედრაზე.

➤ **აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 10-20 წუთი.**

ონლაინ შეხვედრები ბავშვების დიდ ჯგუფებთან

ამ ტიპის ჯგუფური შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბავშვებსა და აღმზრდელს შორის ემოციური კავშირის შენარჩუნება, სადღესასწაულო განწყობის შექმნა, დადებითი ემოციების გაზიარება, საკუთარი თავის გამოხატვა, შემოქმედებითი უნარების განვითარება, გუნდურობის განცდა, თვის თემატიკის შეჯამება და კურიკულუმის გამრავალფეროვნება. აღმზრდელმა თვეში ერთხელ უნდა მოიფიქროს თვის თემატიკის შესაბამისი საპრეზენტაციო აქტივობა.

➤ **აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 20-30 წუთი თვეში ერთხელ.**

სიტუაციური მაგალითი

აღმზრდელმა დაგვემა შემოდგომის თემაზე აქტივობა „საყვარელი ხილი“.

აღმზრდელი შესაძლებლობას აძლევს ჯგუფის წევრებს, შეარჩიონ რომელიმე ერთი ხილი და მათთვის სასურველი ფორმით (კოსტიუმი, აქსესუარი, სახის მოხატვა, აპლიკაცია და ა.შ.) წარუდგინოს ჯგუფის წევრებსა და აღმზრდელს. აღმზრდელმა თითოეულ ბავშვს უნდა მისცეს საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება; ის სვამს შეკითხვებს: რატომ უყვარს მის მიერ შერჩეული ხილი? რა სასარგებლო თვისებები აქვს და რა მასალა გამოოყენა მის შესაქმნელად? რეკომენდებულია აღნიშნული აქტივობისთვის აღმზრდელი თავადაც მოემზადოს, დაასახელოს თავისი საყვარელი ხილი, შექმნას მასზე პრეზენტაცია.

ონლაინ ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან

დისტანციური ფორმის დროს მნიშვნელოვანია რეგულარული ინდივიდუალური კომუნიკაცია აღმზრდელსა და მშობელს შორის, რომლის მიზანია მშობლის მხარდაჭერა და ნახალისება. აღნიშნული ტიპის შეხვედრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების / შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლებთან. აღმზრდელი მშობელს აწვდის ინფორმაციას ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ, სთავაზობს მას შესაბამის განმავითარებელ აქტივობებს და რეკომენდაციებს, რაც სამომავლოდ უზრუნველყოფს ბავშვის მომზადებას სკოლისათვის. შეხვედრა ხდება ასეთი სიხშირით: თვეში არანაკლებ 2 შეხვედრისა, დამატებითი შეხვედრა შესაძლებელია საჭიროებისამებრ (განსაკუთრებით სსმ ბავშვების შემთხვევაში).

➤ **აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 10 წუთი.**

თუ მშობელი უზიარებს აღმზრდელს ნუხილს ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის ემოციურ სფეროსთან, ქცევასთან, მეტყველებასთან, აღმზრდელი ვალდებულია აუცილებლად გადაამისამართოს მშობელი ფსიქოლოგთან/პედიატრთან/სპეციალურ პედაგოგთან (თუ დანესებულებას არ ჰყავს ასეთი სპეციალისტი მოიძიოს და გადაამისამართოს გარე სპეციალისტებთან).

ონლაინ გაერთიანებული შეხვედრები მშობლებთან

მშობლების მხარდაჭერის და გაძლიერების მიზნით სკოლამდელი განათლების მომსახურების მიმწოდებელი დანესებულება ვალდებულია სამ თვეში ერთხელ მოაწყოს საგანმანათლებლო, ინფორმაციული ტიპის ონლაინ გაერთიანებული შეხვედრები მშობლებთან.

სკოლამდელი დანესებულების საგანმანათლებლო პერსონალი და ადმინისტრაციის წამომადგენელი გეგმავენ შეხვედრას და ხვდებიან მშობლებს, აცნობენ მათ საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ ცვლილებებსა თუ სიახლეებს. ასევე, აღმზრდელი, სკოლამდელი დანესებულების ფსიქოლოგი, პედიატრი ან სპეციალური პედაგოგი აწყობენ საგანმანათლებლო სესიას მშობლების გასაძლიერებლად (როგორცაა, მაგ.: მოტორული აქტივობები სახლის პირობებში, სტრესის მართვა, ქცევის მართვა, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის იდენტიფიკაცია და ა.შ.).

ონლაინ გაერთიანებული შეხვედრების დროს აღმზრდელი იღებს უკუკავშირს მშობლებისგან საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, შემდეგ ის განსაზღვრავს მშობლების კმაყოფილების ხარისხს, ზრუნავს მათი ჩართულობის გაზრდაზე და მომართვის საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს პროგრამულ ნაწილში.

ონლაინ გაერთიანებული შეხვედრის ფარგლებში აღმზრდელი ხელს უწყობს მშობლებს შორის კომუნიკაციას და ემოციების გაზიარებას.

➤ **აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 60-90 წუთი.**

სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირით ადრე სკოლამდელი განათლების მომსახურების პროგრამა ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს ორსესიიან საორიენტაციო შეხვედრას მშობლებთან, რომლის მიზანია მშობლების მომზადება ახალი სასწავლო წლისთვის; დღის წესრიგი ასეთია:

- ა) სკოლამდელი განათლების მომსახურების ადმინისტრაციული ნაწილის გაცნობა – 90 წუთი;
- ბ) პროგრამული ნაწილის გაცნობა – 90 წუთი.

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ჰიბრიდული ფორმა

სკოლამდელი განათლების მომსახურების ჰიბრიდული ფორმით მიწოდებისას ნაწილობრივ შენარჩუნებულია კონტაქტური ფორმა, ამავდროულად, მომსახურება უზრუნველყოფილია დისტანციური ფორმითაც.

აქ შემოთავაზებულია ჰიბრიდული ფორმის ორი ვარიანტი, რომელიც გულისხმობს ბავშვების გადანაწილებას კვირის დღეების ან დღის განაკვეთების მიხედვით. სკოლამდელი დაწესებულების მიერ ჰიბრიდული ფორმის მისაღები ვარიანტის შერჩევა დამოკიდებულია ფიზიკურ გარემოზე, ადამიანურ რესურსზე, ბავშვების რაოდენობასა და იმაზე, რამდენად შეუძლია მას დადგენილი რეგულაციების შესრულება.

ქვემოთ აღწერილია ჰიბრიდული ფორმის ორი ვარიანტი:

I ვარიანტი: ბავშვები კვირაში 5 დღე ჩართულები არიან სკოლამდელი განათლების კონტაქტური ფორმის მომსახურებაში ნახევარგანაკვეთიანი განრიგით. თითოეული განაკვეთის ხანგრძლივობაა დღეში 5 საათი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით;

II ვარიანტი: ბავშვები კვირაში 2 დღე იღებენ სკოლამდელი განათლების კონტაქტური ფორმის მომსახურებას სრულგანაკვეთიანი განრიგით, ხოლო დანარჩენი 3 დღე ჩართულები არიან დისტანციურ აქტივობებში (მცირე ჯგუფები, ინდივიდუალური შეხვედრები).

რეკომენდებულია კვირის დღეებზე სრული განაკვეთით ბავშვების გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში სკოლამდელმა დაწესებულებამ უნდა დატვირთოს შაბათი დღეც. იხილეთ ქვემოთ სანიმუშო ცხრილი:

ჯგუფი	ჰიბრიდული ფორმის კონტაქტური ნაწილი	ჰიბრიდული ფორმის დისტანციური ნაწილი
	კვირის დღეები	კვირის დღეები
2-3წლიანების ჯგუფი 3-4წლიანების ჯგუფი	ორშაბათი, სამშაბათი	ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი
4-5წლიანების ჯგუფი	ოთხშაბათი, ხუთშაბათი	ორშაბათი, სამშაბათი, პარასკევი
5-6წლიანების ჯგუფი	პარასკევი, შაბათი	სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი

კვირის განრიგის შემუშავება და მინოდება

ჰიბრიდული საგანმანათლებლო პროცესის ნებისმიერი ვარიანტის ყოველი კვირის პარასკევს დღეს, 18:00 საათამდე, სკოლამდელი დაწესებულება ვალდებულია მშობელს მიანოდოს ბავშვის ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე) მიერ განერილი მომდევნო კვირის დღის აქტივობების განრიგი წერილობითი ფორმით. კვირის განრიგის გაცნობა მშობელს და ბავშვს საშუალებას აძლევს, წინასწარ მოემზადონ და განეწყონ იმ საგანმანათლებლო აქტივობებისთვის, რომლებიც მორგებულია ბავშვის ასაკობრივ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. კვირის განრიგის შესახებ მშობლის ინფორმირება ეხმარება მას, ერთი მხრივ გაეცნოს, რა აქტივობებშია ჩართული ბავშვი სკოლამდელ დაწესებულებაში, ყოველი დღის ბოლოს მოისმონის მისგან დღის შთაბეჭდილებები, გაიზარდოს მშობლის ჩართულობა და ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, წაახალისოს ბავშვის მოტივაცია, შეუქმნას მზაობა მომდევნო დღის გეგმასთან დაკავშირებით.

ამ შემთხვევაშიც კვირის განრიგს სკოლამდელი დაწესებულება ადგენს კურიკულუმის გამოყენებით (თემატური კურიკულუმი, თამაში) ან იმ პროგრამებზე დაყრდნობით, რომლებიცაა ჩვეულ კონტექსტში ხელმძღვანელობდა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში კვირის აქტივობები იქმნება მისი საჭიროების და განვითარების ინდივიდუალური გეგმის გათვალისწინებით.

ჰიბრიდული ფორმის პირველი ვარიანტის მიხედვით, აღმზრდელი თვეში ორჯერ მშობლის მაღალი ჩართულობით ახორციელებს ონლაინ ინდივიდუალურ შეხვედრას ჯგუფის თითოეულ წევრთან და ეხმარება მას მოამზადოს პროექტი თვის თემატიკაზე, რომელიც კურიკულუმით აქვს გათვალისწინებული. პრეზენტაციას ბავშვი ჩაატარებს სკოლამდელ დაწესებულებაში, ჯგუფში (კონტაქტური ნაწილის დროს).

➤ **აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 10-20 წუთი.**

ონლაინ ინდივიდუალური (ჰიბრიდული, 1-ლი ვარიანტი) ან ონლაინ მცირე ჯგუფებში შეხვედრა ბავშვებთან (ჰიბრიდული, მე-2 ვარიანტი), მშობლების მხარდაჭერით და ჩართულობით

ჰიბრიდული ფორმის მეორე ვარიანტის მიხედვით აღმზრდელი კვირაში 3 დღე დისტანციური ნაწილის განხორციელებისას მშობლის მაღალი ჩართულობით ხვდება ბავშვებს მცირე ჯგუფებში (თითო ჯგუფში მონაწილეების რაოდენობა შეადგენს 2-5 მონაწილეს). ონლაინ მცირე ჯგუფებში ბავშვების ჩართულობა ხელს უწყობს აღმზრდელსა და ბავშვს შორის, ასევე, ბავშვსა და მისი ასაკობრივი ჯგუფის წევრებს შორის ემოციური კავშირის შენარჩუნებას და წინარე აკადემიური უნარების განვითარებას.

ონლაინ მცირე ჯგუფებში ჩართვების დროს აღმზრდელმა უნდა შესთავაზოს ბავშვებს კონკრეტული აქტივობა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით/გეგმით, კურიკულუმით არის გათვალისწინებული და შეესაბამება თვის თემატიკას.

➤ **აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 10-20 წუთი.**

ონლაინ ინდივიდუალური შეხვედრები მშობელთან

სკოლამდელი საგანმანათლებლო პროცესის ჰიბრიდული პირველი ვარიანტის ფორმით წარმართვის დროს საგანმანათლებლო პერსონალს აქვს კომუნიკაციას მშობელთან და საჭიროების შემთხვევაში გეგმავს მათთან ონლაინ ან სატელეფონო ინდივიდუალურ შეხვედრას. შეხვედრის დროს აღმზრდელი ამცნობს მშობელს მისი შვილის განვითარების დინამიკას, საუბრობენ ბავშვის ძლიერ მხარეებსა და იმ საჭიროებებზე, რომლებშიც სჭირდება მას გაძლიერება და მხარდაჭერა. საჭიროებისამებრ, აღმზრდელი ვალდებულია, დაუკავშირდეს მშობელს და გაუზიაროს ბავშვის მიღწევები. აღნიშნული კომუნიკაცია მიზნად ისახავს მის ინფორმირებულობას, ჩართულობის გაზრდას სკოლამდელი განათლების მომსახურების პროცესში და ხელს უწყობს მას პოზიტიურ მშობლობაში.

➤ **აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 10-20 წუთი.**

ჰიბრიდული ფორმის მეორე ვარიანტის მიხედვით მნიშვნელოვანია, აღმზრდელს ჰქონდეს მშობელთან რეგულარული, ინდივიდუალური კომუნიკაცია, რომლის მიზანია მშობლის მხარდაჭერა და წახალისება. აღმზრდელი მშობელს აწვდის ინფორმაციას ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ, სთავაზობს მას შესაბამის განმავითარებელ აქტივობასა და რეკომენდაციებს, რომლებიც სამომავლოდ უზრუნველყოფენ ბავშვის მომზადებას სკოლისათვის შემდეგი სიხშირით: თვეში არანაკლებ 2 შეხვედრისა (დამატებით კი საჭიროებისამებრ).

ონლაინ გაერთიანებული შეხვედრები მშობლებთან

ჰიბრიდული ფორმის ნებისმიერი ვარიანტის დანერგვის შემთხვევაში მშობლების მხარდაჭერის და გაძლიერების მიზნით სკოლამდელი დანესებულება ვალდებულია სამ თვეში ერთხელ მოაწყოს საგანმანათლებლო, ინფორმაციული ტიპის ონლაინ გაერთიანებული შეხვედრები მშობლებთან.

სკოლამდელი დანესებულების წამომადგენლები (აღმზრდელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი) გეგმავენ შეხვედრას და ხვდებიან მშობლებს, აცნობენ მათ საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ ცვლილებებსა თუ სიახლეებს. ასევე, აღმზრდელი, დანესებულების ფსიქოლოგი, პედაგოგი ან სპეციალური პედაგოგი აწყობენ საგანმანათლებლო სესიას მშობლების გასაძლიერებლად (როგორცაა, მაგ.: მოტორული აქტივობები სახლის პირობებში, სტრესის მართვა, ქცევის მართვა, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის იდენტიფიკაცია და ა.შ.).

ონლაინ გაერთიანებული შეხვედრების დროს აღმზრდელი იღებს უკუკავშირს მშობლებისგან საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. აღმზრდელი განსაზღვრავს მშობლების კმაყოფილების ხარისხს, ზრუნავს მათი ჩართულობის გაზრდაზე და მომართვის საფუძველზე ცვლილება შეაქვს პროგრამულ ნაწილში. ონლაინ გაერთიანებული შეხვედრის ფარგლებში აღმზრდელი ხელს უწყობს მშობლებს შორის კომუნიკაციას და ემოციების გაზიარებას.

➤ **აღნიშნული შეხვედრის სარეკომენდაციო დრო არის 60-90 წუთი.**

საგანმანათლებლო წლის სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირით ადრე სკოლამდელი განათლების მომსახურების პროგრამა ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს ორსესიიან საორიენტაციო შეხვედრას მშობლებთან, რომლის მიზანია მათი მომზადება ახალი სასწავლო წლისთვის. დღის წესრიგი ასეთია:

- ა) სკოლამდელი განათლების მომსახურების ადმინისტრაციული ნაწილის გაცნობა – 90 წუთი;
- ბ) პროგრამული ნაწილის გაცნობა – 90 წუთი.

ბავშვებისა ემოციური კეთილდღეობა COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში

საგანმანათლებლო პროცესის დასაწყისი, მასთან დაკავშირებული ცვლილებები, მშობელთან განშორება, უცხო ადამიანების გაცნობა, უცხო გარემოში დარჩენა, ახალ წესებთან შეგუება – ეს მცირე ჩამონათვალია იმისა, რასთან გამკლავებაც უწევს ბავშვს საგანმანათლებლო დანესებულებაში პირველად წასვლის შემთხვევაში. COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში აღნიშნულ სიახლეებს ემატება დამატებითი სტრესორები, როგორცაა გამძაფრებული ყურადღება გარკვეული საკითხებისადმი (სიცხის გაზომვა, სადებიზინფექციო ხსნარის გამოყენება), მშობლის მომატებული შფოთვა, აღმზრდელების მომატებული შფოთვა, რიგ შემთხვევაში უკვე არსებული რუტინის დარღვევა (მათთვის ვინც დადიოდა ბაღში) და ა.შ. შედეგად, ბავშვისთვის საგანმანათლებლო პროცესი კიდევ უფრო მეტად სტრესულია, ვიდრე ეს სხვა დროს იყო.

ასევე მშობელთა უმრავლესობას აქვს შფოთვა საგანმანათლებლო დანესებულებაში (სკოლამდელი, სკოლა) ბავშვის წასვლის წინ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვი აღნიშნულ დანესებულებაში პირველად მიდის. ნაკლები შფოთვა ახასიათებს მშობლებს, რომელთა შვილები უკვე დადიოდნენ სკოლამდელ დანესებულებაში თუ სკოლაში. COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო ის ბავშვებიც, რომლებიც დადიოდნენ და შეჩვეულები იყვნენ სკოლამდელი დანესებულების დღის რუტინას, რამდენიმე თვით გამოეთიშნენ მათთვის ჩვეულ გარემოს, აქტივობებს, რუტინას, რაც თითქმის უტოლდება მათთვის სკოლამდელ დანესებულებაში პირველად წასვლას, შესაბამისად, მშობლებიც თავიდან ღელავენ და შფოთავენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარემო, რომელშიც ბავშვებს მოუწევთ დაბრუნება, გარკვეულწილად განსხვავდება მათთვის ჩვეულისგან, ნაცნობი წესებისგან. შესაბამისად, თითოეულ მშობელს და ბავშვს, რომელიც ახალი საგანმანათლებლო წლისთვის ემზადება, გარკვეული მხარდაჭერა სჭირდება, რათა წინასწარ გაეცნონ რიგ საკითხებს, შეიქმნან სათანადო მოლოდინი საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით და ჰქონდეთ მზაობა პანდემიის გამო შექმნილი უჩვეულო წესებისა და რეგულაციების ფარგლებში ფუნქციონირების მხრივ.

მშობლის მომზადება საგანმანათლებლო პროცესისთვის

სკოლამდელმა დანესებულებამ მშობელს წინასწარ უნდა გააცნოს ინფორმაცია სკოლამდელი დანესებულების მიერ შეთავაზებული სკოლამდელი განათლების მომსახურების ფორმისა და სტრატეგიების შესახებ (იხილეთ თავი: „სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმები COVID 19-ის პირობების გათვალისწინებით“), ასევე ის ზოგადი წესები, შეცვლილი რუტინა, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და რეგულაციებს ეფუძნება.

COVID 19-ით გამოწვეული ვითარების გათვალისწინებით, სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმა შესაძლოა წლის განმავლობაში სხვადასხვა იყოს და უჩვეულო ფორმითაც განხორციელდეს (მაგალითად, თუ დანესებულებას მოუწია სკოლამდელი განათლების მომსახურება დისტანციური ფორმით, არასრუ-

ლი კონტაქტური განაკვეთით ან ჰიბრიდული ფორმით); არსებითია, რომ ბავშვი და მასზე მზრუნველი პირები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულები მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რაც მეტად პროგნოზირებადს ხდის ყოველდღიურობას და აყალიბებს, როგორც ბავშვის ოჯახის წევრების, ასევე სკოლამდელი დანესებულების საგანმანათლებლო პერსონალის სათანადო მზაობასა და მობილიზებას. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს, რომ ადრეული ასაკის ბავშვებისათვის უზრუნველყოფილი იყოს სოციალურ-ემოციურად დაცული და პროგნოზირებადი ფიზიკური, ვირტუალური და სოციალური სივრცეები/გარემო.

საგანმანათლებლო პროცესის დასაწყისის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ წარმართვისთვის მნიშვნელოვანია სკოლამდელმა დანესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

- გააცანით მშობელს სკოლამდელი დანესებულების ის ზოგადი წესები, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არის მითითებული;
- მიაწოდეთ მშობელს ინფორმაცია სკოლამდელი განათლების მომსახურების სხვადასხვა (კონტაქტური, ჰიბრიდული, დისტანციური) ფორმებით მიწოდების შესახებ. განუმარტეთ, თუ რატომ აირჩა თქვენი დანესებულებისთვის ეს კონკრეტული ფორმა და დეტალურად გააცანით საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების იმ ფორმის შესახებ, რომელსაც იყენებს სკოლამდელი დანესებულება;
- გააცანით მშობელს დღის შეცვლილი რუტინა/რეჟიმი სკოლამდელი საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების ფორმების (კონტაქტური, ჰიბრიდული, დისტანციური) მიხედვით;
- გააცანით მშობელს წინასწარ გარემო, რომელშიც ბავშვი გაატარებს დროს ძირითად ნაწილს. თუ მშობელი არსებული რეგულაციების ფონზე ვერ შეგყავთ შენობაში, შეგიძლიათ გარემოს შესახებ ინფორმაცია მიიწოდოთ ფოტო- ან ვიდეომასალის გამოყენებით. ვინაიდან პანდემიასთან დაკავშირებული ვითარების გამო საგანმანათლებლო პროცესის დასაწყისშიც და შემდგომაც შეზღუდული იქნება დანესებულებაში მშობლის შესვლა, შესაძლებელია აღნიშნული საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე განახორციელოთ ეს. რიგ შემთხვევაში შესაძლებელია ინტერნეტის დახმარებით უზრუნველყოთ მშობლისათვის ჯგუფის სივრცეების, აგრეთვე იზოლაციის ოთახის გაცნობა.
- გაუზიარეთ მშობელს, თუ რა სტრატეგიების გამოყენებით მოხდება ბავშვების უსაფრთხოების დაცვა;
- გააცანით, თუ როგორ მოხდება არსებული ცვლილებების ფონზე ბავშვისთვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა და როგორ წარიმართება საგანმანათლებლო პროცესი;
- მიაწოდეთ ინფორმაცია სკოლამდელი განათლების კურიკულუმში არსებული ცვლილებების შესახებ, მაგალითად, ჰიგიენაზე საუბრის დროს ჯგუფში განიხილავთ ბაქტერიებისა და ვირუსებისგან თავის დაცვის საშუალებებს.
- გააცანით წინასწარ, თუ რა შემთხვევებში შეიძლება შეიცვალოს სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ერთი ფორმა მეორით (მაგალითად, კონტაქტურიდან გადახვიდეთ ჰიბრიდულზე და მსგავსი).
- სკოლამდელი განათლების მომსახურების დისტანციური ან ჰიბრიდული ფორმით დაგეგმვის ან განხორციელების შემთხვევაში მიაწოდეთ მშობელს ინფორმაცია სათანადო განრიგის შესახებ. სკოლამდელი განათლების მომსახურების დისტანციური ან ჰიბრიდული ფორმით უზრუნველყოფის შემთხვევაში სკოლამდელი დანესებულება დეტალურად აცნობს მშობელს სტრატეგიებს და სათანადო მზაობას უქმნის მას თავისი როლისა და ჩართულობის ინტენსივობასთან დაკავშირებით.
- საგანმანათლებლო პროცესის დისტანციური ან ჰიბრიდული ფორმით განხორციელების შემთხვევაში დარწმუნდით, რომ მშობელმა იცის, თუ როგორ უნდა ჩაერთოს თავად მიმდინარე პროცესში და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ ტექნოლოგიური საშუალებების ათვისებაში (მიუთითეთ კონკრეტული აპლიკაციები, ბმულები, ვებგვერდები, მიაწოდეთ ზეპირი ან წერილობითი ინსტრუქციები და რეკომენდაციები).
- დარწმუნდით, რომ მშობელმა მიიღო ინფორმაცია მისთვის საჭირო ყველა შეკითხვაზე.

სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმებისა და სტრატეგიების შეთავაზებისას (თუ სკოლამდელი დანესებულება ვერ ირჩევს გარკვეული მიზეზების გამო ჩვეულ სრულგანაკვეთიან კონტაქტურ ფორმას), სასურველია ჩატარდეს მშობელთა გამოკითხვა და თანამშრომლობით აირჩეს საგანმანათლებლო პროცესის საბოლოო ფორმა (იხილეთ თავი: „სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმები COVID 19-ის პირობების გათვალისწინებით“; აგრეთვე იხილეთ: დანართი №4: მშობლებისთვის შექმნილი აღნიშვნის ფურცლის ნიმუში).

მშობლის ემოციური კეთილდღეობისთვის უმჯობესია მან წინასწარ გაიცნოს ბავშვის აღმზრდელი, რომელიც მიაწვდის მას ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცესის ფორმებისა და სტრატეგიების შესახებ. სასურველია აღმზრდელმა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისათვის რუტინის და დაბალანსებული დღის წესრიგის დაგეგმვა და მიყოლა/ჩართვა.

საგანმანათლებლო პროცესის დისტანციური ფორმით განხორციელების შემთხვევაში მიზანშეწონილია, რომ მშობელი კარგად იყოს ინფორმირებული და გააზრებული ჰქონდეს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი რომ მიწოდებული კვირის განრიგის მიხედვით შეუნარჩუნოს ბავშვს რუტინა. არსებითია, ასევე, რომ სკოლამდელმა დანესებულებამ კარგად აუხსნას მშობელს, თუ რას გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დისტანციური ფორმა, როგორია მისი ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხი, როგორც ონლაინ მცირე ჯგუფებში, ასევე ონლაინ ინდივიდუალურ შეხვედრებში. მშობელს უნდა დარჩეს განცდა, რომ ეკრანთან ბავშვი რეკომენდებულ დროზე მეტს არ ატარებს და რომ ამ პროცესში აუცილებელია, ბავშვთან ერთად მშობელი/მზრუნველი პირი იყოს ჩართული.

რეკომენდებულია სკოლამდელმა დანესებულებამ ურჩიოს მშობელს, რომ ბავშვისათვის გამოყოფილი იყოს კონცენტრირებული სივრცე, რომ შეძლებისდაგვარად ერთი ადგილიდან ჩაერთონ მშობელი და ბავშვი ონლაინ აქტივობებში, – ეს თავის წვლილს შეიტანს რუტინისთვის ბავშვის მომზადებისა და მზაობის გამოუმუშავებაში.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი დანესებულების წარმომადგენელმა (განსაკუთრებით აღმზრდელმა) იცოდეს ბავშვის თავისებურებების, ინტერესების შესახებ; აღნიშნული განსაკუთრებით არსებითია COVID 19-ით გამონვეული ვითარების ფონზე, რადგან ზოგიერთ ბავშვს (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს) შფოთვის ფონზე შესაძლოა შეეცვალოს სოციალურ-ემოციური მდგომარეობა. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ზოგადი რეკომენდაციები ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც დაეხმარება როგორც აღმზრდელს, ასევე მშობელს საყურადღებო ნიშნების იდენტიფიცირებასა და სათანადო რეაგირებაში.

სასურველია სკოლამდელმა დანესებულებამ, კერძოდ, ბავშვის აღმზრდელმა მისცეს მშობელს რეკომენდაციები ბავშვის მომზადებასთან დაკავშირებით.

ცხრილში აღწერილია 1-18 წლამდე ბავშვებისა და მოზარდების რეაქციები სტრესულ სიტუაციაზე და მათთან გამკლავების სხვადასხვა სტრატეგიები. ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება კოლუმბიის უნივერსიტეტისა და SAVE THE CHILDREN-ის მიერ გამოცემულ დოკუმენტს – „ბავშვების (1-18) მიერ განცდილ სტრესზე რეაგირების ჩვეული რეაქციები სტრესის/კრიზისული სიტუაციის შემდეგ და ტრავმის დროს გამოყენებადი გამკლავების სტრატეგიები.“

ასაკი	რეაქცია სტრესზე	მხარდაჭერის სტრატეგიები
<p>1-5 წელი</p>	<ul style="list-style-type: none"> რეგრესული რეაქცია: ღამის ენურეზი (ძილში შარდის შეუკავებლობა), თითის წოვა, სიბნელის შიში, ცხოველების შიში, „მონსტრების“, შიში, უცხო ადამიანების შიში. ფიზიოლოგიური რეაქციები: მადის დაკარგვა, ჭარბი კვება, საჭმლის მომწელებელი სისტემის და შარდვის სირთულეები (დიარეა, შარდვის პრობლემები), გულის რევა, ძილის სირთულეები და ღამის კოშმარები ემოციურ/ქცევითი რეაქციები: ნერვიულობა, გაღიზიანებადობა, ჭირვეულობა, დაუმორჩილებლობა, ჰიპერაქტიურობა, ტიკები, მეტყველების სირთულეები, შფოთვა მშობელთან განშორების გამო, ყურადღების კონცენტრირების სირთულეები, აგრესიული ქცევა, ტრავმული სიტუაციის და გამოცდილების გაზიარება ან დამახინჯება, ტრავმული/კრიზისული სიტუაციის გამოცდილების შესახებ განმეორებითი საუბარი (მაგ.: მე შემეშინდა, ექიმი რომ მოვიდა, ექიმი რომ მოვიდა, ადრე შემეშინდა ა.შ) 	<ul style="list-style-type: none"> მიეცით დამატებითი სიტყვიერი მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყავით ფიზიკური კომფორტი (მაგ.: ხელში აყვანა, ჩახუტება) უზრუნველყავით ბავშვი კომფორტულ ძილთან დაკავშირებული რუტინით (ძილის დროს, ძილისწინა აქტივობები და ა.შ.) მიეცით საშუალება და წაახალისეთ, რომ გამოხატოს ემოციები თამაშისა და ისეთი აქტივობების სახით, როგორცაა: ხატვა, როლური თამაში, თოჯინებით თამაში, გამოცდილების შესახებ ისტორიების მოყოლა მიეცით ბავშვებს უფლება, საჭიროების შემთხვევაში დროებით შეცვალონ ქცევა მაგ.: ისხდნენ აღმზრდელის გვერდით ჯგუფში, დაწვნიან მშობლების ოთახში აღადგინეთ ბავშვისთვის ჩვეული რუტინა მაქსიმალურად სწრაფად საჭიროების შემთხვევაში გაუზიარეთ მშობელს თქვენი წუხილი ბავშვის ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და რეკომენდაცია გაუწიეთ მიმართოს სპეციალისტს.
<p>5-11 წელი</p>	<ul style="list-style-type: none"> რეგრესიული რეაქციები: დედამამიშვილთან კონკურენციის ან სხვა ბავშვთან მშობლის ან სხვა ზრდასრულის ყურადღების მიქცევის მიზნით გადაჭარბებული ჩაბლაქუტება, ხშირი ტირილი და წუნუნა; ითხოვს ზრდასრულის დახმარებასა და ჩართულობას იმაში, რასაც დამოუკიდებლად ასრულებდა, მაგ.: ითხოვს, რომ ჩააცვან და აჭამონ ფიზიოლოგიური რეაქციები: თავის ტკივილი, სმენასა და მხედველობასთან დაკავშირებული ჩივილი, ხშირი ქავილი, გულისრევის შეგრძნება, ძილის დარღვევა, ღამის კოშმარები, ემოციური/ქცევითი რეაქციები: სკოლის ფობია, მეგობრებიდან და მცირე ჯგუფებიდან გარიყვა, ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის შემცირება, გაღიზიანება, წესების დაუცველობა სხვადასხვა ტიპის შიში (მაგ.: რომ რომელიმე ოჯახის წევრი ავად გახდება, რომ თავად ავად გახდება), აგრესიული ქცევა, განმეორებითი საუბარი მისთვის მატრავმირებელ მოვლენაზე, ფაქტზე, გამოცდილებაზე, დანაკარგზე ან ემოციებზე. 	<ul style="list-style-type: none"> მიაქციეთ დამატებითი ყურადღება და უზრუნველყავით მისი ფიზიკური კომფორტი პოზიტიურად განამტკიცეთ ბავშვისთვის ასაკობრივად შესაბამისი ქცევა დროებით შეარბილეთ ან შემაციერეთ მოსწრებასა და სხვა აქტივობებთან დაკავშირებული მოთხოვნები სკოლაში დაარწმუნეთ ბავშვი, რომ კომპეტენცია და შესრულების ხარისხი დაუბრუნდება (მაგ.: თუ შფოთვის ფონზე მას უჭირს ყურადღების კონცენტრირება და დასწავლა, შეაქეთ და უთხარით, რომ ყოველთვის კარგად გამოსდიოდა ეს კონკრეტული აქტივობა და დარწმუნებული ხართ, მალე კვლავ კარგად გაართმევს თავს). უზრუნველყავით სტრუქტურირებული, მაგრამ არა მკაცრი მოთხოვნითი რუტინა და პასუხისმგებლობები წაახალისეთ ბავშვი ფიზიკური აქტივობებისკენ განიხილეთ ჯგუფში სხვადასხვა ტიპის ემოციები და მათთან გამკლავების სტრატეგიები (მაგ.: განიხილეთ ჯგუფში შიში და ბავშვების ჩართულობით და დისკუსიით იმსჯელეთ მასთან გამკლავების სტრატეგიებზე). უზრუნველყავით თამაშის სესიები თანატოლებთან ან ზრდასრულებთან როლური თამაშის დროს გაითამაშეთ ჰიგიენის დაცვის და უსაფრთხოების წესები საჭიროების შემთხვევაში გაუზიარეთ მშობელს თქვენი წუხილი ბავშვის ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და რეკომენდაცია გაუწიეთ მიმართოს სპეციალისტს.

ასაკი	რეაქცია სტრესზე	მხარდაჭერის სტრატეგიები
<p>11-14 წელი</p>	<ul style="list-style-type: none"> რეგრესიული რეაქცია: გაზრდილი კონკურენცია დედამამიშვილთან ან სხვა ბავშვთან მიმართებით, მშობლის ან სხვა ზრდასრულის ყურადღების მიქცევის მიზნით რუტინის მიყოლის და პასუხისმგებლობების შესრულების სირთულე ფიზიოლოგიური რეაქციები: თავის ტკივილი, ჩივილი გაურკვეველ ტკივილებზე, ჭარბი ჭამა ან მადის დაკარგვა, კუნ-ნაწლავის სისტემის სირთულეები, კანის დარღვევები, ძილის დარღვევები ემოციურ/ქცევითი რეაქციები: თანატოლებთან ერთად აქტივობებში ჩართვის სირთულეები, სწავლის მიღწევის დონის დაქვეითება, დესტრუქციული ქცევა, პოზისა და დასვენების მიმართ ინტერესის დაკარგვა (არ იცავს კანონებს და წესებს); სირთულეები თანატოლებთან, დედამამიშვილებსა და მშობლებთან ურთიერთობის პროცესში, მონყენილობა, დეპრესია, ანტი-სოციალური ქცევა (მაგ.: ქურდობა, ტყუილი და ა.შ.) 	<ul style="list-style-type: none"> გამოავლინეთ დამატებითი ყურადღება, რომელიც გამოიხატება პოზიტიურ კომუნიკაციასა და განწყობაში და არა კონტროლში სწავლაში შეფერხების შემთხვევაში დაარწმუნეთ ბავშვი, რომ კომპეტენცია და შესრულების ხარისხი დაუბრუნდება დროებით შეარბილეთ ანდ შეამცირეთ ან შეცვალეთ მოთხოვნები სკოლასა და სახლში უმრუნველყავით სტრუქტურირებული, მაგრამ არა მკაცრი რუტინა და პასუხისმგებლობები ნაახალისეთ ბავშვის ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობა ნაახალისეთ სიტყვიერი და წერილობითი ფორმით ბავშვის ემოციების გამოხატვა ნაახალისეთ ბავშვი, მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა ჯგუფურ ან სასკოლო აქტივობაში, რაც წაადგება მის ემოციურ კეთილდღეობას ნაახალისეთ ბავშვის სოციალური ინტერაქცია თანატოლებთან ან ზრდასრულებთან გაითამაშეთ პირადი ჰიგიენის და უსაფრთხოების წესები (ბავშვების ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი თამაშებით). საჭიროების შემთხვევაში გაუზიარეთ მშობელს თქვენი წუხილი ბავშვის ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და რეკომენდაცია გაუწიეთ მიმართოს სპეციალისტს.
<p>14-18 წელი</p>	<ul style="list-style-type: none"> რეგრესული რეაქცია: პასუხისმგებლობიანი ქცევის შემცირება, ასაკის შესაბამისი მშობლის კონტროლის წინააღმდეგ ბრძოლის შემცირება, სოციალური ინტერესების და აქტივობების შემცირება ფიზიოლოგიური რეაქციები: ჩივილი მომწელებელი სისტემის და შარდის ბუშტის მოქმედებაზე, თავის ტკივილი, კანზე გამონაყარი, ძილის დარღვევები, აუხსნელი ფიზიკური ჩივილები ან ფიზიკური პრობლემების შესაძლო არსებობის გაზვიადებული შიში ემოციურ/ქცევითი რეაქცია: შესამჩნევი ცვლილება ფიზიკურ აქტივობაში მაგ.: მკვეთრად გაზრდილი და შემცირებული აქტივობა. არასრულფასოვნების და დაუცველობის შეგრძნება, უმწეობის შეგრძნება, ანტი-სოციალური ქცევა (ქურდობა ან ვანდალიზმი), დაგეგმილი აქტივობების მიმართ დაქვეითებული ყურადღების კონცენტრაცია, დეპრესია, იზოლაცია. 	<ul style="list-style-type: none"> ნაახალისეთ ბავშვი, საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბროს მშობლებთან დროებით შეამცირეთ მიღწევის მოლოდინი სკოლასა და სახლში ნაახალისეთ სოციალურ აქტივობებში ჩართულობა/დაბრუნება ნაახალისეთ ბავშვის სოციალური ინტერაქცია თანატოლებთან ან ზრდასრულებთან ნაახალისეთ ბავშვი, მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა ჯგუფურ ან სასკოლო აქტივობაში, რომელიც წაადგება მის ემოციურ კეთილდღეობას საჭიროების შემთხვევაში გაუზიარეთ მშობელს თქვენი წუხილი ბავშვის ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და რეკომენდაცია გაუწიეთ მიმართოს სპეციალისტს.

თითოეული ბავშვი ინდივიდუალურია, ამდენად, აღნიშნული ქცევების მიღმა შესაძლებელია გამოვლინდეს სხვა ტიპის ქცევა, რომელიც არ არის ჩამონათვალში. შესაბამისად, აღმზრდელი მუდმივად ყურადღებით უნდა იყოს, რომ არ გამოეპაროს მცირე ცვლილებაც კი ბავშვში.

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ! ზემოაღნიშნული ან სხვა ქცევის გამოვლენის დროს არ ეჩხუბებით ბავშვს, დიალოგის, საუბრის, თამაშის მეშვეობით ცდილობთ გაარკვიოთ მისი ემოციური მდგომარეობა და ქცევის პოზიტიური მართვის და/ან ემოციების რეგულაციის სტრატეგიების გამოყენებით გაუწიოთ დახმარება.

სასურველია, რომ აღმზრდელმა მშობელს მიაწოდოს ინფორმაცია ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით:

კონტაქტური ფორმა

- ✓ დილით სკოლამდელ დანესებულებაში მისვლის დრო;
- ✓ სკოლამდელ დანესებულებაში შესვლის დროს განხორციელებული რუტინა და პროცედურები (სად შორდებიან ბავშვი და მშობელი ერთმანეთს და ა.შ.);
- ✓ ვინ იქნება აღმზრდელი (სასურველია განხორციელდეს წინასწარი შეხვედრა მშობლებთან კონტაქტური გზით ან ინტერნეტის გამოყენებით)?
- ✓ დაახლოებით რამდენი ბავშვი იქნება ჯგუფში?
- ✓ როგორი იქნება ჯგუფის რუტინა და აქტივობები?
- ✓ ეზოში გასვლის პროცედურები;
- ✓ სად და რა ფორმით ექნებათ კვება? კვების რუტინა და პროცედურები;
- ✓ ხელების დაბანასთან დაკავშირებული პროცედურები;
- ✓ წასვლის დრო და პროცედურები.

დისტანციური ფორმა

- ✓ რა ტიპის ონლაინ შეხვედრები იქნება (ინდივიდუალური, მცირე ჯგუფებში, გაერთიანებულ ჯგუფებში)?
- ✓ ინსტრუქციები ონლაინ ჩართვების შესახებ;
- ✓ რომელ პლატფორმას იყენებს კონკრეტული სკოლამდელი დანესებულება ონლაინ შეხვედრებისთვის?
- ✓ რომელი ონლაინ შეხვედრის დროს რა ტიპის აქტივობებს მიაწოდებენ?
- ✓ როგორ უნდა ჩაერთოს ბავშვი ონლაინ აქტივობებში და რა როლი აქვს მშობელს ამ პროცესში?
- ✓ როგორი იქნება ონლაინ შეხვედრების რუტინა და აქტივობები?

პიბრიდული ფორმა

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის კონტაქტური და დისტანციური ფორმებით განხორციელების გადანაწილების ცხრილი (კვირის დღეების თუ დღის მონაკვეთების);
- ✓ კონტაქტური ფორმის დღეების ინფორმაცია სათანადო ცხრილიდან;
- ✓ დისტანციური ფორმის დღეების ინფორმაცია სათანადო ცხრილიდან.

მიზანშეწონილია სკოლამდელი დანესებულება ფლობდეს საჭირო ინფორმაციას სხვადასხვა მომსახურებების შესახებ, რათა გარკვეული საჭიროებების ან მაღალი დისტრესის შემთხვევაში ინფორმირებული მშობელი გადაამისამართოს შესაბამის კვალიფიცირებულ სპეციალისტთან ან უწყებასთან დამატებითი მხარდაჭერის მიღების მიზნით.

როგორ ემზადება აღმზრდელი საგანმანათლებლო დაწყებისთვის

მნიშვნელოვანია სკოლამდელი დანესებულების მომსახურების წარმომადგენელმა და განსაკუთრებით აღმზრდელმა იცოდეს ბავშვის თავისებურებები და ინტერესები. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია COVID 19-ის ფონზე, რადგან ბავშვების გარკვეულ ნაწილს მაღალი სტრესის ფონზე შესაძლებელია სჭირდებოდეს ემოციური მხარდაჭერა. ბავშვს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული შიში, შფოთვა, რაც აღმზრდელმა უნდა იცოდეს, რათა გაითვალისწინოს ის საგანმანათლებლო პროცესში.

რეკომენდებულია:

- აღმზრდელი სასწავლო წლის დაწყებამდე გაეცნოს სხვადასხვა ლიტერატურას, აუდიო- და ვიდეომასალას, საიდანაც ბავშვებში გამოვლენილ სტრესზე მიიღებს ინფორმაციას.
- აღმზრდელი გაეცნოს ბავშვებში სტრესის მართვას, მათ ემოციურ მხარდაჭერას და მედეგობის გაზრდის სტრატეგიებს (გაეცანით სტატიებს მითითებულ ბმულებზე*).
- სკოლამდელი საგანმანათლებლო დანესებულების წარმომადგენლები და აღმზრდელი შეხვდნენ მშობლებს მცირე ჯგუფებში (საჭიროებების შემთხვევაში ინდივიდუალურად), რათა მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ბავშვის შესახებ
- აღმზრდელმა მოიპოვოს ინფორმაცია ბავშვის საჭიროების, ინტერესების, თავისებურებების შესახებ და გაითვალისწინოს ის საგანმანათლებლო პროცესში.
- აღმზრდელმა მოიძიოს და შექმნას თამაშები, რომელიც ეხება: ხელების დაბანის პროცედურებს, სახესთან ხელების არმიტანას, დახველების წესს (თუ როგორ უნდა დაახველონ ბავშვებმა ისე, რომ არ შეუქმნან სხვას დისკომფორტი და საფრთხე). აღნიშნული თამაშები უნდა იყოს სახალისო და საინტერესო.

სიტუაციური მაგალითი

მშობელი აწვდის აღმზრდელს ინფორმაციას, რომ 3 წლის ნინის ძალიან უყვარს თავისი რბილი „დათუნია“, მუდმივად თან დაატარებს და ღამეც მასთან სძინავს. ბაღში წასვლის შეთავაზებისთანავე ნინი იწყებს საუბარს იმაზე, რომ ის და „დათუნია“ ერთად ივლიან ბაღში. ვინაიდან COVID 19-ით გამოწვეული მდგომარეობის გამო რბილი სათამაშოების მოტანა ბაღში დაუშვებელია, მშობელი შეფოთავს, რომ ბავშვის ბაღში მიყვანა და შემდეგ ჯგუფში დატოვება ძალიან რთული იქნება. აღმზრდელი ითვალისწინებს ამას და ბავშვის მშობელთან ერთად განიხილავს სხვადასხვა ალტერნატივას, თუ როგორ შეიძლება ჩაანაცვლონ „დათუნია“. მუშავდება ვერსიები.

ალტერნატივა 1. აღმზრდელი სთავაზობს მშობელს, რომ ბაღში მოსვლამდე მშობელმა განიხილოს და გაითამაშოს ბავშვთან ერთად ბაღში დათუნის გარეშე წასვლის სხვადასხვა სცენარი, სადაც დათუნია აცილებს ბავშვს სახლის კარამდე ან დათუნია მიჰყვება ნინის ბაღამდე, შემდეგ ხელს უქნევს და დედასთან ერთად ბრუნდება სახლში.

ალტერნატივა 2. სახლის პირობებში გაკეთდეს ბაღი, რომელშიც ივლის დათუნია, ნინი მიიყვანს ხოლმე და ცოტა ხნით დატოვებს (ბაღი შეიძლება მოეწყოს კარვის ტიპის სივრცეში ცალკე ოთახში სათამაშოებით ან გაკეთდეს სპეციალური კუთხე.) ამით მშობელი დაეხმარება ნინის მისი და დათუნის ბაღის გამიჯვნასა და ასევე დათუნისთან დროებით განშორებაში.

ალტერნატივა 3. აღმზრდელი სთავაზობს მშობელს, რომ მან გადაიღოს და ამოეჭდოს დათუნის ფოტო და მშობელმა სახლში ბავშვთან ერთად ხორცი შეასხას სცენარს, გაითამაშოს როლი, რომლის მიხედვითაც ნინის ბაღში მიაქვს დათუნის ფოტო.

ალტერნატივა 4. აღმზრდელი და მშობელი უთანხმდებიან ნინის, რომ ვიდეოს ზარის მეშვეობით დათუნისც დაათვალიერებს ბაღის გარემოს.

როგორ ემზადება ბავშვი სკოლამდელი დანესებულებისათვის მშობლის მხარდაჭერით

ცხოვრების ყველა ეტაპზე ბავშვის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ემოციური კეთილდღეობა. მხარდაჭერის, უსაფრთხოების, ბედნიერების განცდის არსებობის შემთხვევაში ბავშვის მოტივაციაა, ჩაერთოს ამა თუ იმ აქტივობაში, უსაფრთხოდ იგრძნოს თავი სხვადასხვა გარემოში, ჩაატაროს ექს-

* https://drive.google.com/file/d/1i2yCZxo0dzguvNPYIsPO2pcD-xZd3_nz/view?usp=sharing

პერიმენტები, იყოს ცნობისმოყვარე და ინტერესიანი სიახლის დასწავლის მიმართ. თუ ბავშვს აქვს უსაფრთხოების და ახალ გარემოში მიკუთვნებულობის განცდა, თუ თავს გრძნობს კომფორტულად და აქვს კეთილდღეობის შეგრძნება, იგი ავლენს კეთილგანწყობას როგორც აღმზრდელების, ასევე თანატოლების მიმართ და ავლენს მზაობას, ჩაერთოს შეთავაზებულ აქტივობებში.

ემოციური კეთილდღეობის, უსაფრთხოების და მიკუთვნებულობის განცდის შექმნისთვის ზრუნვა სკოლამდელ დანესებულაში წასვლამდე უნდა დაიწყოს. სკოლამდელი დანესებულებისადმი არსებული წინასწარი განწყობა და მზაობა საგანმანათლებლო დანესებულებისა და მისი რუტინის მიმართ არა მხოლოდ ხელს უწყობს ბავშვის ემოციურ კეთილდღეობას, არამედ პირდაპირ აისახება საგანმანათლებლო პროცესში მის ჩართულობაზე. რაც მეტად მომზადებულია ბავშვი, იცის რუტინა, მოსალოდნელი აქტივობები, იცის თუ ვინ იქნებიან პროცესში ჩართული პირები და რა მოლოდინები არსებობს გარემოს მიმართ, მით მეტად სწრაფად და უშტაკინელოდ ეგუება ის ახალ გარემოს, მცირდება სიახლით (გარემო, ადამიანები) გამონეული სტრესი და ხალისით ერთვება საგანმანათლებლო პროცესში. COVID 19-ის პირობებში კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის ინფორმირება, თუ რა გარემო, აქტივობები, რუტინა და პროცედურები ელის მას საგანმანათლებლო დანესებულებაში. ამისათვის სკოლამდელი დანესებულების მომსახურების წარმომადგენელმა დანვრილებითი ინფორმაცია უნდა მიანოდოს მშობელს და დაეხმაროს მას ბავშვის მომზადებაში.

ბავშვისთვის გარკვეული რუტინის არსებობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანია. მცირე ასაკის ბავშვები საკმაოდ რიგიდულები არიან და მომზადება სჭირდებათ. სიახლისთვის წინასწარ მიწოდებული განრიგი ეხმარება მათ განწყობის შექმნაში, მოტივაციის გაზრდასა და ინტერესის გაღვივებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის და კვირის აქტივობების განრიგის და რუტინის წინასწარ გაცნობა ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის საგანმანათლებლო ჩართულობის პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია განრიგის გაცნობის დროს ბავშვის მოსმენა და მისგან უკუკავშირის მიღება, მაგალითად, თუ აღმზრდელი მას სთავაზობს, რომ კვირის განმავლობაში ისინი ისაუბრებენ ცხოველებზე, ხოლო ბავშვი პასუხობს, რომ მას სურს ისაუბროს დინოზავრებზე, აღმზრდელი ითვალისწინებს მის ინტერესს, აფრთხილებს ბავშვს, რომ მისი ინტერესიც გათვალისწინებული იქნება და ცხოველებთან ერთად დაგეგმილ აქტივობაში ისაუბროს დინოზავრებზე, როგორ გიგანტურ ცხოველებზე, რომლებიც დღეს აღარ არსებობენ. შედეგად ბავშვმა იცის, რომ აღმზრდელმა გაითვალისწინა მისი თხოვნა, იცის თუ რა თემებზე და რა ტიპის ექნება აქტივობები ამ კვირაში, ელოდება, მოტივირებულია და ემზადება ყოველდღიური შეხვედრებისთვის, რის ფონზეც საგანმანათლებლო პროცესი სახალისოდ და საინტერესოდ მიმდინარეობს ბავშვისთვისაც და აღმზრდელისთვისაც.

როგორ ამზადებს მშობელი ბავშვს სკოლამდელი დანესებულებისათვის?

რეკომენდაციები აღმზრდელებისათვის

- აღმზრდელი ურჩევს მშობელს, აწარმოოს ბავშვთან დიალოგი, დაუსვას მას შეკითხვები სკოლამდელ დანესებულებასთან მიმართებით, გაარკვიოს, რა მოლოდინი აქვს ბავშვს, შეუქმნას წინასწარი განწყობა სხვადასხვა აქტივობებში ჩართვით. რეკომენდებულია ქვემოთ მოცემული აქტივობები, შეთავაზება.
 - ▶ მშობელი სთხოვს ბავშვს, ერთად დახატონ ბალი და შემდეგ განიხილავენ ნახატს; მშობელი ეკითხება ბავშვს, როგორია ბალი, რა უნდა გააკეთოს ბავშვმა ბაღში, ვინ დახვდება იქ, ვინ მიიყვანს, რამდენი ხნით იქნება ბავშვი, ვინ გამოიყვანს იქიდან და ა.შ.
 - ▶ მშობელი უყვება ბავშვს მოთხრობას, რომლის მთავარი მოქმედი პირი მიდის ბაღში. მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ გამოიყურება ბალი, რა აქტივობები არის იქ, როგორი წესებია და ა.შ.
 - ▶ მშობელი და ბავშვი ერთად უყურებენ მულტფილმს და შემდეგ განიხილავენ მასში მიმდინარე მოვლენებს.
 - ▶ ერთ-ერთ კარგ სტრატეგიას წარმოადგენს ასევე როლური თამაში: მშობელი ბავშვთან ერთად თამაშობს

„ბაღობანას“ თოჯინებით ან თავად არიან მოქმედი პირები. თამაშის პროცესში მოქმედებს იგივე წესები, რაც არის სკოლამდელ დანესებულებაში, გამოიყენება მსგავსი აქტივობები და ა.შ.

- აღმზრდელი აწვდის მშობელს სხვადასხვა სტრატეგიას, თუ როგორ შეიძლება ბავშვთან ვირუსების, ბაქტერიების და მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ მისი ასაკობრივი ჯგუფისთვის გასაგები ენით და საშუალებებით საუბარი. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ზემოაღნიშნული სტრატეგიების გამოყენება. სასურველია აღმზრდელმა მიანოდოს მშობელს საბავშვო ლიტერატურა აღნიშნულ თემაზე ან მიუთითოს ვებგვერდი, სადაც დევს მსგავსი მასალა (ნახატები, ელექტრონული წიგნი, ვიდეო და ა.შ.)
- მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი დანესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვას: ინფორმაცია, რომელსაც მშობელი აწვდის ბავშვს, უნდა იყოს რეალობასთან მაქსიმალურად მიხლოებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვის მოლოდინი იქნება განსხვავებული და სკოლამდელ დანესებულებაში მისვლის შემდეგ მას ექნება იმედგაცრუება, რაც, თავის მხრივ, აისახება ბავშვის ქცევაზე, პროცესში ჩართვის სირთულეებზე. სწორი მოლოდინი ხელს უწყობს ბავშვის ჩართულობას, პოზიტიურ ქცევას და წესებისა და რუტინის მიმართ გაზრდილ მიძღებლობას.
- სასურველია აღმზრდელის დახმარებით და ჩართულობით განხორციელდეს ბავშვების მცირე ჯგუფებში შეხვედრა (კონტაქტურის შემთხვევაში ფიზიკური შეხვედრა, ხოლო დისტანციური ფორმით განხორციელების შემთხვევაში – ონლაინ შეხვედრა). თანატოლების წინასწარ გაცნობა გაზრდის ბავშვის მიკუთვნებულობის განცდას ჯგუფისადმი, რაც გულისხმობს, რომ ბავშვი თავს იგრძნობს უსაფრთხოდ, ექნება აქტივობებში ჩართვის გაზრდილი მოტივაცია, პოზიტიური განწყობით წავა სკოლამდელ დანესებულებაში/ჩაერთვება დისტანციურ/ონლაინ შეხვედრებში.

სასურველია მშობელმა ბავშვი წინასწარ მოამზადოს და გააცნოს დღის რუტინა შემდეგი ცხრილის მიხედვით:

- ✓ დილით რა დროს უნდა ადგეს?
- ✓ დილის რუტინა სკოლამდელ დანესებულებაში მისვლამდე;
- ✓ რომელ საათზე მიდის სკოლამდელ დანესებულებაში?
- ✓ როგორია მიღების რუტინა და პროცედურები?
- ✓ ვინ იქნება აღმზრდელი (ფოტო-, სატელეფონო ან ონლაინ-შეხვედრა წინასწარ);
- ✓ დაახლოებით რამდენი ბავშვი იქნება კლასში (სასურველია წინასწარ გაიცნონ რამდენიმე მათგანმა ერთმანეთი და ბავშვმა იცოდეს რამდენიმე ბავშვი, ვინც ჯგუფში დახვდება)?
- ✓ როგორი იქნება ჯგუფის რუტინა და აქტივობები?
- ✓ ეზოში გასვლის პროცედურები;
- ✓ სად და რა ფორმით ექნებათ კვება და კვების რუტინა და პროცედურები?
- ✓ ხელების დაბანასთან გამოყენებული პროცედურები.

როგორ შევქმნათ მაქსიმალურად კეთილგანწყობილი ემოციური გარემო საგანმანათლებლო პროცესში?

პირველ რიგში, სკოლამდელი საგანმანათლებლო მომსახურების წარმომადგენელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვისთვის სკოლამდელი დანესებულება და განსაკუთრებით ამ ეტაპზე აქ არსებული რიტუალები დაკავშირებულია დიდ ცვლილებებთან და სიახლეებთან, ამიტომ მნიშვნელოვანია სასწავლო წლის დასაწყისში სხვადასხვა აქტივობების და თამაშების საშუალებით არაერთგზის აუხსნან ბავშვებს დღის რუტინა და წესები.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ სკოლამდელი განათლების მიზანი არა მხოლოდ კოგნიტური და წინააღმდეგობრივი უნარების განვითარების ხელშეწყობაა, არამედ, პირველ რიგში, ბავშვის ემოციური კეთილდღეობისა და სოციალური, კომუნიკაციური უნარების ხელშეწყობა. შესაბამისად, მიუხედავად არსებული მდგომარეობით გამოწვეული ფიზიკური დისტანციისა, სკოლამდელი დანესებულების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, შეინარჩუნოს და წაახალისოს ბავშვებს შორის სოციალური ინტერაქცია და კომუნიკაცია. ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნების გაზრდისათვის აუცილებელია ბავშვმა სოციალური ინტერაქცია დაამყაროს თანატოლებთან (მიკუთ-

ვნებულობის განცდა ერთ-ერთი ბაზისური და მთავარი განცდაა, რომელიც კონკრეტულ კონტექსტში ბავშვის ემოციურ კეთილდღეობას განაპირობებს).

რეკომენდაციები აღმზრდელებისთვის:

- გააკარით კედელზე დღის რუტინის და წესების ამსახველი თვალსაჩინოება (მაგ.: რომ შემოსვლის დროს სიცხეს იზომავენ, შემდეგ სადებინფექციო ხსნარს ისხამენ, კვების წინ და კვების შემდეგ ხელებს იბანენ და ა.შ.), რადგან ვიზუალური დამხმარე საშუალებები ეხმარება ბავშვს ინფორმაციის ათვისებაში. აღნიშნული მასალა მეტად დასამახსოვრებელი იქნება, თუ მას ბავშვთან ერთად შექმნით ფერადი ფურცლების, ფანქრებისა და ნახატების მეშვეობით. ამ გზით ბავშვი თავად იქნება წესების შექმნა-შემუშავების მონაწილე და მეტად გაითვალისწინებს მათ.
- ნაახალისეთ ბავშვები, რომ დაამყარონ ვერბალური კომუნიკაცია; შექმნით მცირე ჯგუფებში აქტივობები, სადაც მათ ექნებათ რიგის დაცვის, სხვისი პოზიციის გათვალისწინების, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, წესების დაცვის დასწავლის საშუალება.
- დისტანციური ფორმით საგანმანათლებლო პროცესის დროს განხორციელებული მცირე ჯგუფების ჩართვისას დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ერთმანეთთან და თქვენთან ემოციების, გამოცდილების, ინტერესების გაზიარების საშუალებას აძლევს ბავშვებს.

აღნიშნული ნებისმიერი ტიპის აქტივობების მიმდინარეობისას შეგიძლიათ განახორციელოთ რეფლექსიულ რეჟიმში.

- მიეცით ბავშვს ემოციების გამოხატვის საშუალება. თუ ის პერიოდულად სვამს შეკითხვას ხელების დაბანასა და, სიცხის გაზომვასთან დაკავშირებით, არ დატოვოთ მისი შეკითხვა პასუხგაუცემელი, ერთი და იმავე შეკითხვის ხშირად დასმა შესაძლებელია მაღალ შფოთვაზე მიუთითებდეს და თქვენი პასუხები, კეთილგანწყობა, ემოციური გაზიარება და ემპათიურობა ამ დროს დამამშვიდებლად მოქმედებს მასზე. შესაძლოა კონკრეტულ შეკითხვაზე კონკრეტულ სიტუაციაში არ გქონდეთ ზუსტი პასუხი, ამ დროს სჯობს უთხრათ ბავშვს, რომ არ იცით, მაგრამ აუცილებლად გაარკვევთ და დაუბრუნდებით პასუხით.

თუ ბავშვს ჯგუფში ყოფნის დროს დაუფიქსირდა მაღალი ტემპერატურა (37° ან მეტი)

ჯანდაცვის რეგულაციების შესაბამისად, თუ სკოლამდელ დანესებულებაში მყოფ ბავშვს დაუფიქსირდა სიცხე, აღმზრდელი ვალდებულია გადაიყვანოს იგი იზოლაციის ოთახში. ამ დროს გაითვალისწინეთ შემდეგი:

- გაიყვანეთ ბავშვი ოთახიდან მშვიდი ქმედებებითა და საუბრის მანერით
- სტრესისგან დაცვის მიზნით ბავშვს განუმარტეთ, რომ დროებით მასთან ერთად სხვა ოთახში უნდა გახვიდეთ და ითამაშოთ.
- შესაძლებელია ბავშვმა გარკვეული დროის შემდეგ ოთახიდან გასვლა მოგთხოვოთ, ამიტომ დაიჭირეთ თადარიგი და თან გქონდეთ სათამაშოების რამდენიმე ალტერნატივა (აღნიშნული სათამაშოები შესაძლებელია წინასწარ იყოს განლაგებული ოთახში). ამავდროულად გაითვალისწინებთ, რომ შესაძლოა ბავშვს დასჭირდეს საპირფარეოში გასვლა. ამ და მსგავს შემთხვევებში დარწმუნდით, რომ ბავშვი უსაფრთხოდ და მშვიდად გაგყავთ საპირფარეოში და იცავთ ყველა საჭირო წესს.
- გაიტანეთ თან ბავშვისთვის საყვარელი სათამაშოები და ეთამაშეთ იზოლაციის ოთახში;
- სასურველია იზოლაციის ოთახი ბავშვებს გააცნოთ წინასწარ და დაათვალიერებინოთ, რათა მათ გაუჩნდეთ ნაცნობობის და უსაფრთხოების განცდა.
- ეცადეთ ბავშვის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიაწოდოთ ბავშვის გარეშე
- მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს შეინარჩუნეთ სიმშვიდე და გაითვალისწინეთ მისი ემოციური ფონი;

- ბავშვთან ერთად მშვიდად დაელოდეთ მშობელს
- ზოგადად, რაც უფრო კარგად იცნობს ბავშვი ფიზიკურ გარემოს, მით უფრო მშვიდად და დაცულად გრძნობს თავს მასში. იქიდან გამომდინარე რომ ბუნებრივია ბავშვს გააცნოთ, სად არის მისი ჯგუფის ოთახი, სად არის საპირფარეო, ადგილი სადაც ისადილებს, მიზანშეწონილია ბავშვს საიზოლაციო ოთახიც გააცნოთ. შემოიფარგლოთ ახსნით, რომ ეს ადგილი შეუძლია მაშინ გამოიყენოს, როცა თავს შეუძლოდ იგრძნობს, ან საჭირო გახდება ტემპერატურის გაზომვა. არ არის აუცილებელი მეტი დეტალიზება, თუმცა თუ ბავშვი დასვამს შეკითხვებს, ეცადეთ შელამაზების, ამავდროულად დასტრესვის გარეშე, მშვიდად გასცეთ პასუხები.
- იზოლაციის ოთახის გარემო ბავშვზე უნდა იყოს ორიენტირებული; საჭიროებისას აქ მას შეეძლება ზრდასრულის მხარდაჭერით და საინტერესო რესურსების მობილიზებით სახალისო აქტივობებში ჩაერთოს.
- ეცადეთ არ დასტრესოთ და არ შეაშინოთ ბავშვი. თუ ტირის, შეშინებულია ან ჭირვეულობს, დაამშვიდეთ, უზრუნველყავით მისი ემოციური და საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური კომფორტი.
-

საგანმანათლებლო პერსონალის ემოციური კეთილდღეობა

ბავშვის და მშობლის ემოციური კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანია აღმზრდელების ემოციური კეთილდღეობა. COVID 19-ის პირობებში მუშაობა დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა სკოლამდელი დაწესებულებისთვის. სამუშაო განრიგის, გარემოს რუტინის ცვლილება სტრესულად აისახება როგორც აღმზრდელებზე, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე.

სკოლამდელი საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით წარმართვისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბავშვის, არამედ მასში ჩართული საგანმანათლებლო პერსონალის ემოციური კეთილდღეობა. სტრესი და მისი შედეგები აისახება როგორც ბავშვებზე, ასევე ზრდასრულებზე, ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს იმ გარემოზე, სადაც ზრდასრულები არიან, განსაკუთრებით ბავშვებზე, რადგან პატარები ხშირად უსიტყვოდ, ვერბალური მინიშნებების გარეშე გრძნობენ დიდების ემოციურ განწყობას.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის როლი ბავშვის ცხოვრებაში გულისხმობს არა მხოლოდ კოგნიტური (პრობლემის ანალიზი, გადაჭრა, ამოგონება და ა.შ.) და წინააკადემიური უნარების განვითარებაზე ზრუნვას (ხატვა, ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზი და ა.შ.), არამედ ბავშვის სოციალური უნარების განვითარების (გუნდური მუშაობა, ერთობლივი აქტივობები, რიგის დაცვა და ა.შ.) ხელშეწყობას და ბავშვის ემოციური კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

შესაბამისად, თითოეული ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი თავად უნდა განიცდიდეს და ინარჩუნებდეს ემოციურ კეთილდღეობას, შეეძლოს სტრესთან გამკლავება, ემოციების პოზიტიური მართვა და ა.შ. ეს საკმაოდ რთულია საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში და თავად პროცესი განსაკუთრებული გამოწვევაა COVID 19-ის პირობებში.

შეცვლილი დღის განრიგი, რუტინა, აქტივობები, გამკაცრებული უსაფრთხოების წესები, დისტანციური შეხვედრები პატარებთან, მშობლების გამრდილი შფოთვა, – ეს ნაწილია იმ ჩამონათვალისა, რომელიც სტრესის მაპროვოცირებელი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული სტრესის პირობებში აუცილებელია აღმზრდელებს ჰქონდეთ გარკვეული ხელშეწყობა საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისგან, რომელიც მათი ემოციური კეთილდღეობის შენარჩუნებისკენ იქნება მიმართული.

რეკომენდაციები საგანმანათლებლო პერსონალის ემოციური კეთილდღეობის შენარჩუნებისთვის

მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პერსონალმა იცოდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ მოუსმენენ. კონსტრუქციული დიალოგი საჭიროა როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალსა და მშობელს შორის, ასევე პერსონალსა და სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის. მაგალითად, აღმზრდელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გააზიაროს დაწესებულების სხვა წარმომადგენლებთან ინფორმაცია, თუ, მაგალითად, იგი ვერ უმკლავდება ამა თუ იმ სიტუაციას დამოუკიდებლად და ესაჭიროება დახმარება. დახმარება შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის, მაგალითად, სპეციალისტის მოწვევა რევისთვის, ტრენინგის ჩატარება, უბრალოდ, ამრებისა და შეთავაზებების გაცვლა და მსგავსი. აღნიშნული დახმარების ორგანიზება და ხელშეწყობა გეგმამომიერად უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციამ.

საგანმანათლებლო პერსონალმა უნდა იგრძნოს, რომ მისი ფიზიკური უსაფრთხოება, ფსიქოლოგიური და ემოციური კეთილდღეობა ისევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დანესებულებისთვის, როგორც ბავშვების უსაფრთხოება და კეთილდღეობა. პანდემიის პირობებში მუშაობამ შესაძლებელია პროფესიული გადაწვა გამოიწვიოს და ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საგანმანათლებლო დანესებულებამ შეძლოს ჯანსაღი ფსიქო-სოციალური გარემოს შექმნა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ტრენერი, რომელიც გააცნობს სტრატეგიებს ფსიქოლოგიური გადაწვის თავიდან არიდების შესახებ) მოწვევა.

აღმზრდელებისთვის ერთ-ერთ დიდ სიახლეს წარმოადგენს ონლაინ შეხვედრები ბავშვებთან, რადგან მსგავსი გამოცდილება მათ უმრავლესობას არა აქვს და ამ შეხვედრაში ჩართულობის სწორად ორგანიზება საკმაოდ დიდი გამოწვევაა. აუცილებელია განხორციელდეს გარკვეული ტიპის ინფორმაციის მიწოდება და აღმზრდელების გაძლიერება ამ კუთხით (მაგალითად, თუ როგორ უნდა გაიწეროს ონლაინ შეხვედრების გეგმა, რა ტიპის აქტივობების განხორციელებაა შესაძლებელი ონლაინ, რომელი ასაკობრივი ჯგუფისთვის რა ხანგრძლივობის და ტიპის შეხვედრაა მისაღები და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით მოცემულ გზამკვლევაში წარმოდგენილია რეკომენდებული ფორმები და სტრატეგიები, თუმცა შესაძლოა დანესებულებამ კიდევ იმსჯელოს და დანერგოს მის დანესებულებას მორგებული, რაც მთავარია, ბავშვზე ორიენტირებული ფორმატი).

დატვირთული დღის განრიგის მიუხედავად აუცილებელია საგანმანათლებლო დანესებულების პერსონალს დღის მანძილზე გამოყოფილი ჰქონდეს კუთვნილი შესვენების დრო.

მნიშვნელოვანია, პერიოდულად განხორციელდეს საგანმანათლებლო დანესებულების პერსონალის შეხვედრები მცირე ჯგუფებში (2 კვირაში ან 3 კვირაში ერთხელ), რომლის დროსაც საგანმანათლებლო პერსონალი ერთმანეთს გაუზიარებს სიახლეებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ამა თუ იმ მეთოდის შესახებ, ასევე გამოცდილებებს, ემოციებს. აღნიშნული შეხვედრები სასურველია ჩაითვალოს სამუშაო საათებში, რათა არ მოხდეს საგანმანათლებლო პერსონალისათვის დამატებითი აქტივობის შეთავაზება თავისუფალ დროს.

სასურველია საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე განხორციელდეს შეხვედრა ფსიქოლოგებთან, რომლებიც მიანოდებენ აღმზრდელებს გარკვეულ სტატეგიებს და შეუქმნიან სწორ მოლოდინს ბავშვების სტრესზე რეაგირების შესახებ. მაგალითად, შესაძლებელია ფსიქოლოგმა გაუწიოს რეკომენდაცია აღმზრდელს, თუ როგორ შეიძლება ვირუსის საკითხის და პიგიენის წესების განხილვა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვებისთვის გასაგები ენით ან როგორ შეიძლება ბავშვის და ზრდასრულის სტრესზე რეაგირების იდენტიფიცირება, ასევე პანდემიის პირობებში სკოლამდელი საგანმანათლებლო მომსახურების კონტაქტური თუ დისტანციური ფორმით განხორციელების დროს ზრუნვა ბავშვების ემოციური კეთილდღეობის შენარჩუნებაზე. თუ საგანმანათლებლო დანესებულებას არ ჰყავს ფსიქოლოგი, მას შეუძლია მიმართოს მსგავსი ტიპის ინფორმაციისთვის შესაბამის ორგანიზაციას ან კონკრეტულ ფსიქოლოგს.

საგანმანათლებლო პროცესის ცვლილებებთან დაკავშირებით, სასურველია აღმზრდელს ჰქონდეს გარკვეული დრო ადაპტირებისთვის. საგანმანათლებლო დანესებულების პერსონალის მოტივაციის გაზრდისთვის სასურველია ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ისინი პერიოდული პოზიტიური უკუკავშირით.

რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისთვის

გამკვლევის მოცემული ნაწილი განიხილავს დამატებით რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილია ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის პირობებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სასწავლო პროცესის ეფექტურად და უსაფრთხოდ ორგანიზებისთვის.

გამკვლევში გაანალიზებულია საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების და განხორციელების საკვანძო საკითხები:

- სკოლამდელი საგანმანათლებლო პროცესის კონტაქტური ფორმით განხორციელების შემთხვევაში;
- სკოლამდელი საგანმანათლებლო პროცესის დისტანციური ფორმით განხორციელების შემთხვევაში, იქნება ეს სრულად ონლაინ (საჭიროების შემთხვევაში სატელეფონო კონტაქტი), თუ ჰიბრიდული ფორმით წარმართული საგანმანათლებლო პროცესი*.

გადაწყვეტილება, განათლების რომელი ფორმა უნდა განხორციელდეს მოცემულ მომენტში, ეფუძნება ქვეყანაში არსებულ ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს.

სკოლამდელი განათლების კონტაქტური ფორმა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის

COVID 19-ით გამოწვეული ვითარების გამო, სკოლამდელი დაწესებულებები ვალდებული არიან საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესში ახალი რეგულაციები და წესები დაამკვიდრონ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე მოსამზადებელი ეტაპი.

აღნიშნული ეტაპის შემადგენელია საგანმანათლებლო დაწესებულებაში იდენტიფიცირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა საჭიროებების სიღრმისეული ანალიზი და საგანმანათლებლო პროცესის კონტაქტური ფორმით უზრუნველყოფის მიზნით, მათთვის ინდივიდუალურად დაგეგმვა/ორგანიზება.

თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის საკითხის ინდივიდუალურად განხილვის მიზნით მნიშვნელოვანია, სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციამ შეიმუშავოს განრიგი და საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე ორგანიზება გაუწიოს სამუშაო გუნდურ შეხვედრებს. აღნიშნულ შეხვედრებს უნდა ესწრებოდნენ: ბავშვის აღმზრდელი, სპეციალური პედაგოგი, ან ფსიქოლოგი (დაწესებულებაში ასეთი კადრის არსებობის შემთხვევაში) და მშობელი.

* საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი.

შეხვედრები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პირისპირ, ისე დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით, მაგ., იმ შემთხვევაში, თუკი მშობელი არ იმყოფება ადგილზე საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, რომლებიც პირველად მიდიან ბაღში. მშობლებთან ერთად მათ შესაძლებელია მეტი მხარდაჭერა და მომზადება დასჭირდეთ, განსაკუთრებით, პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო. საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე გამოცდილების არარსებობის გამო მშობლებს მეტი კითხვა ანუხებთ – როგორ შეძლებს ბავშვი ახალ გარემოსა და ცხოვრების ახალ ეტაპთან შეგუებას, რა მხარდაჭერას მიიღებს ის, ვინ იქნება მისი მხარდამჭერი, რამდენად უსაფრთხოა მისთვის სკოლამდელი დაწესებულება და ა.შ.

შეხვედრების მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების საკითხების, ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის, განვითარების პროგრესის განხილვა და მოქმედების შეთანხმებული გეგმის შემუშავება საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხოდ და ბავშვზე ორიენტირებულად დაწყების და განხორციელების მიზნით.

დისკუსია შეეხება შემდეგ საკითხებს:

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები

✓ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რეგულაციების გაცნობა მშობლებისთვის *

მიზანშეწონილია პირისპირ შეხვედრისას მშობლებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება ახალი დამატებითი რეგულაციების შესახებ და მათი დამუშავება დისკუსიის რეჟიმში.

იმისათვის, რომ მშობლებისთვის განსაზღვრული რეგულაციები მისაწვდომი იყოს, მნიშვნელოვანია სკოლამდელმა დაწესებულებამ დამატებით უზრუნველყოს აღნიშნული რეგულაციების ადაპტირება მშობლისთვის საინფორმაციო ბროშურის სახით. უპირატესობა ენიჭება ბროშურის ელექტრონული ვერსიის გავრცელებას. იმ შემთხვევაში, თუ მშობელს არა აქვს ელექტრონული ფოსტა, მას დაბეჭდილი ბროშურა გადაეცემა.

შეხვედრაზე სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენლები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემაზე, არამედ გადამოწმებაზე, რომ მშობლისთვის მიწოდებულ ინფორმაცია გასაგები და მისაღებია. აუცილებელია, მშობელს მიეცეს მისთვის აქტუალური შეკითხვების დასმისა და ამომწურავი პასუხების მიღების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუკი მშობლის მიერ დასმული შეკითხვები სცდება სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენელთა კომპეტენციას, მიზანშეწონილია დადგინდეს სკოლამდელი დაწესებულების ის თანამშრომელი, რომელიც პროაქტიურად დააბუხტებს მშობლისთვის საინტერესო საკითხებს და დათქმულ ვადაში წარმოადგენს პასუხებს.

✓ ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

მიზანშეწონილია სკოლამდელი დაწესებულების მიერ გადამოწმდეს, განეკუთვნება თუ არა ბავშვი მაღალი რისკის ჯგუფს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით; ხომ არ განსაზღვრულა უსაფრთხოების დაცვის საგანგებო რეკომენდაციები ბავშვის მკურნალი ექიმის მხრიდან, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს სკოლამდელი დაწესებულების მიერ; ხომ არ ანიჭებს მშობელი უპირატესობას საგანმანათლებლო პროცესზე ბავშვის დისტანციურ დასწრებას/მონაწილეობას, როგორ არის შესაძლებელი აღნიშნულის ორგანიზება, რა არის ამის მიზეზი და ა.შ.

* საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულაციები – ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.

✓ დამატებითი მხარდაჭერის განსაზღვრა ბავშვისთვის

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას მიზანშეწონილია სპეციალისტების და მშობლების მიერ მოხდეს ბავშვის შესაძლებლობების შეფასება და განსაზღვრა იმისა, რეგულაციების დაცვისას რამდენად საჭიროებს ბავშვი თანატოლებთან შედარებით მეტ ან განსხვავებულ მხარდაჭერას.

საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოხდეს იმ მექანიზმების იდენტიფიცირება, რომელთა საშუალებითაც მოხდება ბავშვის უსაფრთხო დისტანცირების, ჰიგიენური პროცედურების, ქცევის წესების დაცვის მხარდაჭერა. სკოლამდელ დანესებულებაში ამაზე პასუხისმგებლობა შეიძლება აიღონ ჯგუფში ჩართულმა პრაქტიკოსებმა (აღმზრდელმა, აღმზრდელმა ან სპეციალურმა პედაგოგმა), დანესებულებაში ასეთი კადრის არსებობის შემთხვევაში.

ამავდროულად, ჰიგიენური პროცედურების და მათი სიხშირის დაზუსტების მიზნით, გასათვალისწინებელია ბავშვის მიერ დამხმარე საშუალებების (ეტლი, სასიარულო ჩარჩო, სათვალე) გამოყენების საკითხი. დამატებით დეზინფიცირებას შესაძლოა საჭიროებდეს დამხმარე საშუალებებიც. შეიძლება ზოგიერთ ბავშვს ესაჭიროებოდეს უფრო ინტენსიური ფიზიკური კონტაქტი გარემოსთან – გადაადგილების და / ან მხედველობის სირთულის გამო ინტენსიური ყრდნობა, ან ტაქტილური შეხება ზედაპირებთან.

მთავარია, მოხდეს შეთანხმება, თუ როგორ და ვის მიერ მოხდება საჭირო ღონისძიებების გატარება.

სიტუაციური მაგალითი

ა.ბ.-ს აღნიშნება ჭარბი ნერწყვიდენა. გუნდურ შეხვედრაზე აღნიშნული საკითხის იდენტიფიცირების შემდეგ, მოხდა შეთანხმება, რომ მის ჰიგიენურ პროცედურებზე იზრუნებს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალი (აღმზრდელი, აღმზრდელის თანამშემწე, ან სპეციალური პედაგოგი), რომელიც 20 წუთში ერთხელ გააკონტროლებს ა.ბ.-ს ჰიგიენურ პროცედურებს; ამავდროულად, ისინი თვალს მიადევნებენ, ა.ბ.-ს მიერ სათამაშოების გამოყენებას და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ მათ დეზინფექციას გამოყენების შემდეგ ან უსაფრთხო ადგილზე დაყოვნებას დეზინფიცირებამდე.

✓ ბავშვის ინფორმირება და მომზადება ახალი წესების შესახებ

მიზანშეწონილია, სამუშაო შეხვედრებზე მოხდეს შეთანხმება, თუ რა სტრატეგიით, რა ფორმით და ვის მიერ მოხდება ბავშვის ინფორმირება და მომზადება ახალი რეგულაციებისა და ქცევის წესების შესახებ. რეკომენდებულია, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა პირველ ეტაპზე აიღოს თავად მშობელმა, ხოლო მის განმტკიცებაზე იზრუნოს საგანმანათლებლო პერსონალმა. მთავარია, სკოლამდელ დანესებულებაში დამკვიდრებული ახალი წესების შესახებ ბავშვმა ინფორმაცია წინასწარ მიიღოს და იყოს სათანადოდ ინფორმირებული.

- ინფორმაციის მიწოდება ბავშვისთვის უნდა მოხდეს მისი მხრიდან ინფორმაციის აღქმის და გააზრების თავისებურების გათვალისწინებით;
- ახალი ქცევის დასწავლა შესაძლებელია დაიწყოს სახლის პირობებში და განმტკიცდეს იმ გარემოში, სადაც ის უნდა განხორციელდეს;
- საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე შესაძლებელია საჭირო გახდეს ბავშვის რამდენიმე ვიზიტი სკოლამდელ დანესებულებაში დემობარირების, დისტანციის აღმნიშვნელი ნიშნულების იდენტიფიცირების, სიციხის გაზომვის პროცედურის გაცნობის მიზნით და ა.შ;
- რეკომენდებულია ასევე, სკოლამდელ დანესებულებას ბავშვებისთვის მისაწვდომი ფორმით შემუშავებული ჰქონდეს საინფორმაციო ბუკლეტი უსაფრთხოების წესების შესახებ, რომელსაც ბავშვისთვის გასაცნობად მშობელს გაატანს;

ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს აღნიშნული საინფორმაციო ბროშურის ბავშვისთვის ინდივიდუალურად დამუშავება (მაგ. ნახატების ნაცვლად ფოტოების გამოყენება).

✓ **საკონტაქტო პირის იდენტიფიცირება**

სკოლამდელი დანესებულების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე აუცილებელია მშობლის მიერ განისაზღვროს ორი პირი, ვისთანაც მოხდება დაკავშირება, იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვს სკოლაში ყოფნისას გარკვეული სიმპტომები აღმოაჩნდება. ორი პირის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ერთი პირის მიუწვდომლობის შემთხვევაში მოხდეს დამყარება კავშირის მეორე პირთან.

✓ **სკოლამდელი განათლების მომსახურების დისტანციური ფორმის შესაძლებლობების განხილვა**

აღნიშნულ შეხვედრებზე შესაძლებელია ასევე საუბრის დანყება, როგორც მოხდება ბავშვის საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება იმ შემთხვევაში, თუკი მას დისტანციურ ფორმაში გადასვლა მიუწევს, ხომ არ საჭიროებენ ოჯახის წევრები ტრენინგს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების, ბავშვისთვის საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების, ინსტრუქციების მიწოდების, ქცევის მართვის თვალსაზრისით.

სამუშაო შეხვედრაზე აუცილებელია განხორციელდეს რეფლექსია იმაზე, თუ როგორ მოხდა გასული სემესტრის კრიზისულ ვითარებაში წარმართულ საგანმანათლებლო პროცესთან (ასეთი გამოცდილების არსებობის შემთხვევაში) გამკლავება და გაანალიზება როგორც ბავშვის თანამონაწილეობისა და პროგრესისა, ასევე მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობისა.

იდეალურ შემთხვევაში, აღნიშნული საკითხები ბავშვთან მომუშავე გუნდის მიერ გასული წლის დასასრულს უნდა შეფასებულიყო. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი სკოლამდელი დანესებულებისთვის ეს საკითხები ცნობილია, მოცემულ ეტაპზე მათთვის მნიშვნელოვანი იქნება გარკვევა, თუ როგორ წარიმართა არდადეგების პროცესი, ხომ არ განიცადა ბავშვმა გარკვეული ცვლილებები განვითარების დინამიკის და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის თვალსაზრისით: მოხდა თუ არა მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში ტრანსფერი (ფუნქციური გამოყენება), ხომ არ მომხდარა ახალი უნარ-ჩვევების ათვისება ან პირიქით, გარკვეული უნარების დაკარგვა / დაზიანება; როგორი იყო ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და ქცევა, დარეგულირდა თუ არა ის (თუკი ამ უკანასკნელმა ცვლილება განიცადა კრიზისული ვითარების გამო) და რა სტრატეგიების გამოყენებით? ამავდროულად, მნიშვნელოვანია მშობლის მოსმენა და მისი ხედვის გაზიარება, – ხომ არ საჭიროებს ბავშვი მოცემულ მომენტშიც ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერას და / ან ქცევის რეგულირებას ან ხომ არ საჭიროებს მშობელი რეკომენდაციებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მოხდეს ბავშვის და მშობლის რეფერირება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია სკოლამდელი განათლების დანესებულებას ჰქონდეს იმ ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა, რომლებიც სათანადო მომსახურებას აწვდიან. შესაძლებელია ოჯახმა მხარდაჭერა მიიღოს იმ სოციალური მომსახურებიდანაც (მაგალითად ადრეული ინტერვენციის მომსახურებიდან), სადაც ბავშვი ჩართულია. ბუნებრივია, შესაძლებელია საჭირო გახდეს განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენა.

✓ **საგანმანათლებლო გარემოს, მასალის და ჰიგიენური ნივთების ორგანიზება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისთვის**

იმ შემთხვევაში, თუკი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი ერთი ერთზე ან მცირე ჯგუფებში ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროცესშია ჩართული, სკოლამდელი დანესებულების ადმინისტრაციას და მასთან მომუშავე პრაქტიკოსებს მოუწევს იმ ნივთების უსაფრთხო გამოყენების წესების შემუშავება, რასაც ბავშვი აღნიშნულ პროცესში იყენებს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი გამოყენებული მასალა და ნივთები

მრავალჯერადი მოხმარებისა და შესაძლებელია მას საზიაროდ იყენებდნენ ბავშვები მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალური შეხვედრებისას.

რეკომენდებულია:

- განისაზღვროს ის მასალა, რომელიც კონკრეტული ბავშვისთვის გამოიყენება; რასაკვირველია მასალის განსაზღვრა ბავშვისთვის განსაზღვრული მიზნების და მისი ინტერესების გათვალისწინებით მოხდება;
- განისაზღვროს ინდივიდუალური სათავსო თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისთვის და იქ მოთავსდეს აღნიშნული ნივთები; სათავსოს დაეწეროს ბავშვის სახელი, დაეკრას მისი ფოტო ან სიმბოლო, რომლის საშუალებითაც ბავშვი შეძლებს თავისი ნივთების ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებას;
- ასწავლონ ბავშვს, თუ სად ინახება მისი ნივთები, ასევე, საკუთარი ნივთებით სარგებლობის წესები;
- იმ შემთხვევაში, თუკი რამდენი ბავშვი სარგებლობს მოცემული მასალით:
 - ა) გონივრულად გადანაწილდეს მასალა ბავშვებს შორის, თავიდან იქნეს აცილებული ერთი და იმავე მასალის სხვადასხვა ბავშვის მიერ გამოყენება;
 - ბ) საზიარო ნივთებისთვის განისაზღვროს ცალკე სათავსო და უზრუნველყოფილ იქნას ნივთების დეზინფიცირება მათი ყოველი მოხმარების შემდეგ, თუკი მასალა, რითიც აღნიშნული ნივთები დამზადებულია, ამის შესაძლებლობას იძლევა; მასალა, რომლის დეზინფიცირება შეუძლებელია, ამოღებულ იქნას მოხმარებიდან (მაგ., რბილი, ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოება) ან გამოიყენებოდეს მხოლოდ არასაზიაროდ, ინდივიდუალურად ბავშვის მიერ (მაგ., ფერადი ფურცლები);
 - გ) განისაზღვროს ადგილი, სადაც გროვდება გამოყენებული საზიარო მასალა დეზინფიცირებისთვის და მოთავსდეს იქ მათი ყოველი გამოყენების შემდეგ; დეზინფიცირების შემდეგ შეიძლება მასალის დაბრუნება თავის ადგილზე;
 - დ) შეიქმნას თვალსაჩინო ბარათები (სასურველია ლამინირებული) და პოსტერები ქვევის წესებთან დაკავშირებით და განთავსდეს ისინი თვალსაჩინო ადგილზე;
 - ე) ბავშვთან პირველი შეხვედრები დაეთმოს აღნიშნული წესების გაცნობას (ლამინირებული ბარათების გამოყენებით) და დასწავლას;
 - ვ) შედგეს იმ მასალის სია, რომელიც რამდენიმე ბავშვს ერთდროულად სჭირდება და გაკეთდეს მიმართვა სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციის სახელზე მასალის შესაძენად.
- განისაზღვროს ჯგუფების სარგებლობის გონივრული განრიგი (იმისათვის, რომ მოესწროს სამუშაო გედაპირების და მასალის დეზინფიცირება ბავშვთა ცვლის შესაბამისად) და მოხდეს სივრცის განიავება;
- განისაზღვროს და თვალსაჩინო ადგილზე განთავსდეს დეზინფიცირების ყოველდღიური აღრიცხვის ფურცელი, დეზინფიცირების განხორციელება დადასტურდეს ბავშვის ცვლის შემდეგ; დეზინფიცირებაზე პასუხისმგებლობა განესაზღვროს იმ პირს, რომელმაც იმუშავა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთან. აღნიშნულმა კადრმა უნდა გაიაროს მომზადება დეზინფიცირების პროცედურებთან და წესებთან დაკავშირებით.

სკოლამდელი განათლების დისტანციური ფორმა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვისათვის

საგანმანათლებლო პროცესის დისტანციური ფორმით წარმართვა კიდევ უფრო მეტ ორგანიზებას, ხანგრძლივ დაგეგმვას და პროცესებზე რეფლექსიას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი დაწესებულებები საგანმანათლებლო პროცესს კონტაქტური ფორმით უზრუნველბიან, მიზანშეწონილია მათმა ადმინისტრაციამ თანმიმდევრულად დაიწყოს სავალდებულო ღონისძიებების განხორციელება იმისათვის, რომ მოახდინოს კონტაქტურიდან დისტანციურზე, ან პიბრიდულ ფორმაზე გადასვლა.

შესაბამისად, მიზანშეწონილია ადმინისტრაციამ სასწავლო წლის დაწყებიდან მალევე დაიწყოს დისტანციურ ფორმაზე გადასვლის გეგმის შემუშავება (მაგ., მას შემდეგ, პრაქტიკოსები, ბავშვები და მშობლები ალლოს აუღე-

ბენ კონტაქტური საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციებს). აღნიშნული გეგმის შემადგენელია სკოლამდელ დანესებულებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობის და მასთან დაკავშირებული გამოწვევების ინდივიდუალურად განხილვა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა შემთხვევების ინდივიდუალურად განხილვის პროცესში აუცილებელია მშობლის, საგანმანათლებლო პერსონალის და სკოლამდელ დანესებულებაში არსებული იმ მხარდამჭერი სპეციალისტების მონაწილეობა, რომლებიც აღნიშნული ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში არიან ჩართულნი.

დისტანციურ ფორმაზე გადასვლის გეგმის განხილვას შესაძლებელია დაეთმოს რამდენიმე გუნდური შეხვედრა. მისი გამართვა მიზანშეწონილია პრაქტიკოსებისა და მშობლებისთვის ხელსაყრელ ფორმატში – პირისპირ შეხვედრების სახით (თუკი არსებული რეგულაციები აღნიშნულ ფორმატს არ ზღუდავს) ან დისტანციურად და იმ ფორმატის გამოყენებით, რომლებიც ყველა მხარისთვის ხელმისაწვდომია.

აღნიშნული შეხვედრების შედეგად ყველა მონაწილე მხარისთვის უნდა გახდეს ნათელი საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ის სტრატეგიები, რომლებიც უფრო ეფექტურს გახდის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მონაწილეობას დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია მშობლისა და პრაქტიკოსების მხრიდან მოხდეს ბავშვის მზაობის გათვალისწინება და რეფლექსია გასული წლის გამოცდილებაზე. (ასეთი გამოცდილების არსებობის შემთხვევაში). ამისათვის გუნდი შესაძლებელია ხელმძღვანელობდეს კითხვარით – ბავშვის მზაობა დისტანციური საგანმანათლებლო პროცესისადმი (იხილეთ დანართი №5 ბავშვის მზაობა დისტანციური საგანმანათლებლო პროცესისადმი) და საკუთარი გამოცდილების და მშობლის უკუკავშირის გათვალისწინებით თანმიმდევრულად ამუსტებდეს იმ საკვანძო საკითხებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდება ბავშვისთვის რეფლექსიური დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება. კითხვარის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ბავშვის აღმზრდელი ან სპეციალურ პედაგოგი (ასეთი კადრის არსებობის შემთხვევაში).

ბავშვის დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია დაბუსტდეს შემდეგი საკითხები:

- როგორ რეაგირებს ბავშვი აღმზრდელთან და სხვა ბავშვებთან დისტანციურად შეხვედრაზე
- რამდენად აღიქვამს და როგორ რეაგირებს ბავშვი საგანმანათლებლო პროცესის დისტანციურ ფორმას?
- რამდენად შედის ბავშვი ინტერაქციაში აღმზრდელთან დისტანციურად ერთი ერთზე აქტივობებში ჩართულობისას
- რამდენად შედის ბავშვი თანაჯგუფელებთან ინტერაქციაში დისტანციური შეხვედრების დროს
- რამდენად განსხვავდება ბავშვის ინტერაქცია აღმზრდელთან ჯგუფში ყოფნისას და ერთი ერთზე ყოფნისას
- რა დროის გატარება შეუძლია ბავშვს ეკრანთან ყურადღების გაფანტვის გარეშე
- რა სტრატეგიები ეხმარება ბავშვს გაიხანგრძლივოს ყურადღების კონცენტრაცია დისტანციურად სწავლისას

იმ შემთხვევაში, თუკი გუნდურ შეხვედრაზე გამოვლინდება ბავშვთან ჯგუფში მუშაობის გამოწვევები, გუნდმა უნდა იმსჯელოს:

- გაიზარდოს თუ არა ერთი ერთზე მუშაობის ინტენსივობა;
- ხომ არ იქნება გადაჭარბებული კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან ბავშვის კავშირი იმ შემთხვევაში, თუკი მისთვის განისაზღვრება დამატებით ერთი ერთზე შეხვედრების საჭიროება,;
- შემცირდეს თუ არა ჯგუფში ჩართულობა.

უკანასკნელი გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად. მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ბავშვის შესაძლებლობის გათვალისწინებით მისი აქტიური მონაწილეობა დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში

ვერ ხერხდება, სასურველია, ბავშვი თუნდაც პასიურად ესწრებოდეს დისტანციურად მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებს. ეს აუცილებელია მისი ფსიქო-ემოციური სტაბილურობისთვის, სოციალური კავშირების უწყვეტობისა და მიკუთვნებულობის განცდისთვის.

ბავშვისთვის ჯგუფური და ინდივიდუალური (ერთი ერთზე) შეხვედრების ინტენსიურობის განსაზღვრა უნდა მოხდეს მისი შესაძლებლობების სიღრმისეული ანალიზის გათვალისწინებით.

დისტანციური სწავლის ფორმის შერჩევასა და დამწყვეტი იქნება:

- ბავშვის შესაძლებლობები, დისტანციურად (ონლაინ პლატფორმის საშუალებით) დაამყაროს ინტერაქცია აღმზრდელსა და ბავშვებთან; რეაგირება განახორციელოს მიცემულ ინსტრუქციებსა და მასალაზე;
- მხარდამჭერი ზრდასრულის დახმარების გავლება აღნიშნულ პროცესზე;
- აღმზრდელთან ან სპეციალურ პედაგოგთან ერთი ერთზე მეცადინეობის გაგრძელების ან დამატების საჭიროება ამა თუ იმ უნარის გაძლიერების ან განაფვის მიზნით.

მშობლის როლი დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების და განხორციელების პროცესში

დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის მიწოდებისას დადამწყვეტია მშობლის მონაწილეობა. ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა არსებულ სიტუაციაში ისეა მშობელთა ჩართულობაზე დამოკიდებული, როგორც არასდროს. დისტანციურმა საგანმანათლებლო პროცესმა მშობლებს გაუზარდა ჩართულობის ვალდებულებები, რაც იმაზე მეტია, რასაც მშობლები პანდემიამდე თავიანთი ბავშვებისთვის საგანმანათლებლო პროცესის კოორდინირების, თუ მონიტორინგის მიზნით ახორციელებდნენ.

ამავდროულად, დისტანციური ფორმით საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური ორგანიზება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მშობელსა და აღმზრდელს შორის არსებულ თანამშრომლობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენლებმა – ადმინისტრაციამ, საგანმანათლებლო პერსონალმა, სპეციალურმა პედაგოგმა გააცნობიერონ და შეიქმნან მზაობა იმისა, რომ მათ უფრო ინტენსიურად, სისტემატურად და მრავალფეროვანი საშუალებებით მოუწვეთ მშობლებთან კომუნიკაცია.

ის, თუ რა ფორმით და რა ინტენსივობით იქნება მშობელი თავისი შვილის საგანმანათლებლო პროცესში ჩართული, დამოკიდებულია სწორედ ბავშვის შესაძლებლობებზე, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებსა და მშობლის მოცალეობაზეც კი. მშობლის ჩართულობის საკითხებში გასარკვევად გუნდს დაეხმარება კითხვარი – ბავშვის მზაობა დისტანციური საგანმანათლებლო პროცესისადმი (იხილეთ დანართი №5 ბავშვის მზაობა დისტანციური საგანმანათლებლო პროცესისადმი).

აღნიშნული კითხვარის საფუძველზე დაზუსტდება შემდეგი:

- მშობლების უკუკავშირი გასულ წელზე, საკუთარ როლსა და ეფექტურობაზე
- ოჯახში ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და რესურსები
- მშობლის კომპეტენციები ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში
- მშობლის დატვირთვა და საგანმანათლებლო პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა (აქტუალურია იმ შემთხვევაში, თუკი საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობისთვის ბავშვს სჭირდება უშუალო მხარდამჭერი).

ნებისმიერ შემთხვევაში მოსამზადებელ ეტაპზე საჭირო იქნება, რომ სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციამ მშობლებს გააცნოს დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესზე გადასვლის რეგულაციები, შესთავაზოს და საჭიროებისას ჩაუტაროს ტრენინგი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში მშობლის ჩართულობის ფორმებს:

<p>მშობელი ესწრება ჯგუფში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს და მხარს უჭერს ბავშვს ამ პროცესში</p> <ul style="list-style-type: none"> - წარმართავს მის ყურადღებას საგანმანათლებლო პროცესისკენ - აღმზრდელის მინიშნებით სთავაზობს შესაბამის საგანმანათლებლო აქტივობას - ასისტორების შესაბამისი ფორმების დაცვით ეხმარება შესრულებისას
<p>მშობელი ესწრება ინდივიდუალურად – ერთი ერთზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს და მხარს უჭერს ბავშვს ამ პროცესში</p> <ul style="list-style-type: none"> - წარმართავს მის ყურადღებას საგანმანათლებლო პროცესისკენ - აღმზრდელის მინიშნებით სთავაზობდეს შესაბამის საგანმანათლებლო აქტივობას - ასისტორების შესაბამისი ფორმების დაცვით ეხმარება შესრულებისას
<p>მშობელი დამატებით ინდივიდუალურად ბავშვთან წარმართავს / უშუალოდ ახორციელებს ბავშვის განმავითარებელ აქტივობებს აღმზრდელის რეკომენდაციების გათვალისწინებით.</p>
<p>მშობელი დამატებით (იმაზე უფრო ხშირად, ვიდრე ჯგუფში სხვა მშობლები) ინდივიდუალურად ხვდება აღმზრდელს და/ან სპეციალურ პედაგოგს შვილის საგანმანათლებლო პროცესის განხილვის მიზნით</p>

მიუხედავად იმისა, რა სახით მოხდება მშობლის ჩართვა დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში, აუცილებელია მშობელს ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა და ცოდნა შემდეგ საკითხებზე:

- **რას მოელოან მისგან;**
- **რა მიზნებია მისი შვილისთვის დასახული;**
- **რა ტიპის აქტივობებია შესასრულებელი, ან რა ტიპის ნამუშევარია შესაქმნელი;**
- **რა ინსტრუქციებია მისაცემი;**
- **რომელი მასალის გამოყენებაა რელევანტური;**
- **რა არის ბავშვის სასურველი შესრულება.**

აუცილებელია მშობელი აქტიურად იყოს ჩართული საგანმანათლებლო და განვითარების შესაბამისი მიზნების შეთანხმების (გადაფასების, რევიზიის) პროცესში; გადამწყვეტია, რომ ის ხედავდეს კავშირს ბავშვისთვის შეთავაზებულ აქტივობებსა და განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზანს შორის; არარეკომენდებულია, რომ ის ამ უკანასკნელის გააზრების გარეშე, მხოლოდ მექანიკურად რთავდეს შვილს აღმზრდელის მიერ განსაზღვრულ აქტივობებში. აღნიშნული კიდევ უფრო აქტუალურია იმ შემთხვევაში, თუკი მშობელს ბავშვთან დამატებით ინდივიდუალური მუშაობა უნევს.

ეფექტურია, თუკი აღმზრდელი და სპეციალური პედაგოგი (ასეთი კადრის არსებობის შემთხვევაში) წინასწარ განსაზღვრავენ აქტუალური მიზნის შესაბამის მრავალფეროვან აქტივობებს, (მაგ., ჩამონერენ იმ აქტივობებს, რომელთა შეთავაზებაც რეკომენდებული იქნება ბავშვისთვის მიმდინარე ერთი კვირის განმავლობაში), გაუზიარებენ მათ მშობელს და დისტანციური შეხვედრის ფორმატში დეტალურად განიხილავენ თითოეულ აქტივობას, მათ მნიშვნელობას, კავშირს საგანმანათლებლო მიზანთან, საჭირო მასალას, ინსტრუქციას, სასურველ/ მოსალოდნელ შესრულებას, დახმარების და აქტივობის მოდიფიცირების შესაძლებლობებს და ა.შ.

ამავდროულად, აუცილებელია, აღმზრდელმა მიიღოს დეტალური ინფორმაცია ბავშვის მხრიდან აქტივობების ფაქტობრივ შესრულებაზე, რადგან მხოლოდ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს ბავშვის განვითარების დინამიკა, შემდგომი განმავითარებელი აქტივობები.

შესაბამისად, შვილისთვის აქტივობების წარდგენის შემდეგ მშობელი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს ბავშვის შესრულებას და აღმზრდელს უზიარებდეს პროცესის მიმდინარეობას და მიღებულ შედეგს. ამისათვის მშობელსა და აღმზრდელს შესაძლებელია დასჭირდეთ დამატებითი შეხვედრები, ვიდრე ეს სტანდარტულად არის განსაზღვრული. მშობელი შესაძლებელია ახორციელებდეს წერილობით ან აუდიო- თუ ვიდეოჩანაწერებს და განიხილავდეს მათ აღმზრდელთან და / ან სპეციალურ პედაგოგთან ერთად.

ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელმა შეიქმნას ბუსტი წარმოდგენა, როგორია მშობელი – ბავშვის ინტერაქცია. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ის თვალს ადევნებდეს მშობლის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროცესს და აძლევდეს უკუკავშირს როგორც ბავშვს, ისე მშობელს (მშობლისთვის უკუკავშირის მიცემა რეკომენდებულია მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში.



მნიშვნელოვანია, მშობლის საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის ინტენსივობის და მისი პასუხისმგებლობის ბუსტად განსაზღვრა. დაუშვებელია, რომ აღმზრდელის მიერ მოხდეს მშობლისთვის სწავლის პროცესზე პასუხისმგებლობის სრულად გადატანა და ამ გზით საკუთარი ვალდებულების და ჩართულობის შემცირება. მნიშვნელოვანია, აღმზრდელმა მშობელი აღიქვან საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერად და არა ძირითად წარმართველად.

სპეციალური პედაგოგის როლი დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისა და განხორციელების დროს

ფრთხილად უნდა განისაზღვროს სპეციალური პედაგოგის როლი (სკოლამდელ დანესებულებაში ასეთი კადრის არსებობის შემთხვევაში) დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების პროცესში. რეგულარული საგანმანათლებლო პროცესის მსგავსად, სპეციალური პედაგოგთა როლი და ვალდებულებები შეიძლება იცვლებოდეს და ბუსტდებოდეს სხვადასხვა ბავშვთან მიმართებით. ბუნებრივია, აღნიშნულს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავად ბავშვის საჭიროებები.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს სპეციალური პედაგოგის ჩართულობის ფორმებს:

სპეციალური პედაგოგის ჩართულობის ფორმები

<input type="checkbox"/> აღმზრდელის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მხარდაჭერა ჯგუფში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას
<input type="checkbox"/> ერთი ერთზე ინდივიდუალური შეხვედრები ბავშვთან განსაზღვრულ მიზნებსა და აქტივობებზე მუშაობის მიზნით
<input type="checkbox"/> პედაგოგის მხარდაჭერა ბავშვისთვის საგანმანათლებლო მიზნების, აქტივობების, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის შერჩევის და ინსტრუქციების ფორმულირების პროცესში;
<input type="checkbox"/> აღმზრდელთან ერთად ან დამოუკიდებლად მშობლისთვის რეკომენდაციების და ინსტრუქციების მიცემა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების საკითხებზე
<input type="checkbox"/> ბავშვისა და მისი მშობლის მუშაობის პროცესზე დაკვირვება (შესაძლებელია განხორციელდეს ცოცხალ რეჟიმში (live) ან ჩანაწერის ანალიზის საფუძველზე); მშობლისთვის უკუკავშირის მიცემა

საგანმანათლებლო პროცესის დისტანციური ფორმით წარმართვის პირობებში, მნიშვნელოვანია სპეციალურ პედაგოგს ნათელი და შეძლებისდაგვარად ფიქსირებული სამუშაო განრიგი და ცხრილი ჰქონდეს შემუშავებული, რომელიც სრულად ასახავს მის მონაწილეობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში. ამავდროულად, სასურველია აღნიშნული განრიგი ნათლად წარმოაჩენდეს დროებს:

- როდის და ვისთან არის სპეციალური პედაგოგს ჩართული ჯგუფში დისტანციური შეხვედრებისას;
- როდის და ვისთან მუშაობას ინდივიდუალურად;
- როდის არის ჩართული მშობლის, აღმზრდელის კონსულტირების პროცესში;
- როდის გეგმავს საგანმანათლებლო პროცესს.

✓ ბავშვთა ჯგუფში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება / აღმზრდელის მხარდაჭერა

მნიშვნელოვანია, სპეციალური პედაგოგი ესწრებოდეს სკოლამდელ დანესებულებაში ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის დისტანციურად მიმდინარე ჯგუფურ საგანმანათლებლო პროცესს.

ამ გზით სპეციალური პედაგოგი იქმნის წარმოდგენას, თუ როგორ მიმდინარეობს ბავშვების დისტანციური ეს პროცესი და სად საჭიროებენ ბავშვები, მშობლები და აღმზრდელები მხარდაჭერას.

სპეციალურ პედაგოგს უნდა ეგზავნებოდეს იმ ჯგუფური შეხვედრების განრიგი, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ნაწილდებიან. აღნიშნულის საფუძველზე სპეციალური პედაგოგი შექმნის საგანმანათლებლო პროცესზე დასწრების და დაკვირვების საკუთარ განრიგს.

✓ ერთი ერთზე მუშაობა ბავშვთან მის ინდივიდუალურ მიზანზე

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური პედაგოგი განსაზღვრავს ინდივიდუალურ სამუშაო დროს კონკრეტული ბავშვისთვის. მასთან ერთი ერთზე სამუშაოდ განსაზღვრული დრო არ უნდა ემთხვეოდეს ჯგუფურ შეხვედრებს.

მნიშვნელოვანია ბავშვთან დამატებითი ინდივიდუალური მუშაობის შესახებ გადამწყვეტილების ფრთხილად მიღება. ამ დროს არ უნდა მოხდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების გადაჭარბებული გამოყენების უნებური წახალისება. სადაც შესაძლებელია, იქ უნდა წახალისდეს მშობლის რესურსის გამოყენება; მიღებული დეტალური ინსტრუქციების საფუძველზე მშობლებმა უნდა ჩაატარონ საჭირო დამატებითი მუშაობა ბავშვთან არადისტანციურ რეჟიმში (რაც უფრო ეფექტური იქნება).

✓ ბავშვთან ერთი ერთზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება; აღმზრდელის, მშობლის მხარდაჭერა

სპეციალურ პედაგოგს შეუძლია ჩაერთოს ინდივიდუალურად მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესში, რომელსაც აღმზრდელი ან მშობელი ბავშვთან წარმართავს. ამ ჩართვების მიზანი იქნება მიმდინარე ინტერაქციის და ბავშვის პროგრესის შეფასება; აღმზრდელისა და მშობლისთვის დამატებითი რეკომენდაციების მიცემის საჭიროების დადგენა. აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე სპეციალური პედაგოგი შესაძლებელია ასევე განსაზღვრავდეს დამატებით აქტივობებს და რესურსებს ბავშვისთვის, რომლებსაც გაუზიარებს აღმზრდელს და/ან მშობელს.

მიზანშეწონილია, სპეციალურ პედაგოგს ეგზავნებოდეს იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან და მათ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების განრიგი. აღნიშნულის საფუძველზე ის შექმნის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროცესზე დასწრების და დაკვირვების საკუთარ განრიგს.

✓ ინდივიდუალური კონსულტაციები მშობლებთან და საგანმანათლებლო პერსონალთან

მიზანშეწონილია, სპეციალურ პედაგოგს ჰქონდეს კვირაში მინიმუმ ერთხელ ინდივიდუალური კონსულტაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მშობელსა და აღმზრდელთან.

ინდივიდუალური კონსულტაციების დროს სპეციალური პედაგოგი მშობელთან და/ან აღმზრდელთან ერთად განხორციელებს რეფლექსიას მიმდინარე კვირაზე (პერიოდზე უკანასკნელი შეხვედრიდან) და განუმარტავს მომავალი კვირის (ან შეხვედრამდე პერიოდის) სამუშაო მიზნებს, ამავდროულად, თუკი მშობელი თავად მუშაობს ბავშვთან, გააცნობს შესასრულებელ აქტივობებს, მათ მიზანს და აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

✓ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

აღნიშნული წარმოადგენს სპეციალური პედაგოგის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს. შესაბამისად, მიზანშეწონილია სპეციალურმა პედაგოგმა კონკრეტული დრო გამოყოფს აღნიშნული საქმიანობისთვის. დაგეგმვის პროცესში სპეციალური პედაგოგი განსაზღვრავს შემდეგს:

- ბავშვის განვითარების ინდივიდუალურ მიზნებს, აქტივობებს, მასალას, რომლის საფუძველზეც თავად უნდა იმუშაოს ბავშვთან
- ბავშვის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო ან განვითარების მიზნებს, აქტივობებს, მასალას, რომელიც შესაძლებელია შესთავაზოს აღმზრდელს ბავშვთან სამუშაოდ; რეკომენდაციებს აღმზრდელისთვის, როგორ წარმართოს საგანმანათლებლო პროცესი, შეუწყოს ხელი ბავშვის ჩართულობას და მართოს მისი ქცევა (შესაძლებელია, რომ აღნიშნული საკითხები სპეციალურმა პედაგოგმა არა დამოუკიდებლად, არამედ იმთავითვე აღმზრდელთან ერთად დაამუშაოს).
- ბავშვის განვითარების ინდივიდუალურ მიზნებს, აქტივობებს, მასალას, რომელიც შესაძლებელია შესთავაზოს მშობელს შვილთან სამუშაოდ; რეკომენდაციებს მშობლისთვის (როგორ წარმართოს ბავშვთან მუშაობის პროცესი, ჩართულობა და ქცევა; რეფლექსიას ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და ა.შ.).

რასაკვირველია, აუცილებელია, სპეციალურმა პედაგოგმა შემუშავებული გეგმა და რეკომენდაციები, წერილობით და დეტალურად ასახოს თითოეული ბავშვის განვითარების ინდივიდუალურ გეგმაში და გახადოს ის მისაწვდომი შესაბამისი მხარისთვის (აღმზრდელისთვის და / ან მშობლისთვის).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სპეციალური პედაგოგი თითოეული ბავშვისთვის ქმნიდეს ინდივიდუალურ ცხრილს, სადაც მონიშნავს მასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

მხარდაჭერი მომსახურებების მიწოდების საჭიროება

დისტანციურ ფორმაზე გადასვლამდე ან მას შემდეგ შესაძლებელია საჭიროდ განისაზღვროს მშობლის კონსულტირება ბავშვის ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის და/ან ქცევის რეგულირების საკითხებში, რომელიც შესაძლებელია გამწვავდეს ფიზიკური დისტანციის პირობებში. შესაძლებელია, საჭირო გახდეს თავად ბავშვის ქცევაზე მუშაობაც.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელმა და ბავშვთან ასოცირებულმა სპეციალურმა პედაგოგმა დისტანციური ფორმაზე გადასვლამდე ბავშვსა და მშობელთან ინტერაქციის შედეგად დაადგინოს ბავშვის ფსიქო-ემოციური საჭიროებები და სათანადო რეკომენდაციების, თუ ქცევის რეგულირების შესახებ მიაწოდოს რჩევები როგორც ფიზიკური იზოლაციის პირობებში, ასევე მისი დასრულების შემდეგ. ამავდროულად, ბავშვთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე რეფლექსია უწყვეტად უნდა გაგრძელდეს დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში.

შესაბამისად, სპეციალური პედაგოგი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს ბავშვს დისტანციური შეხვედრებისას. საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია როგორც ბავშვმა, ისე მშობელმა მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა, რომელიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი სპეციალისტების მონვევით. შესაძლებელია ასევე, ბავშვმა და მშობელმა მხარდაჭერა იმ სოციალური სერვისებიდან მიიღონ, რომელშიც ბავშვია ჩართული.

დანართები

დანართი №1.

სკოლამდელი დაწესებულების დასუფთავების პროტოკოლის ნიმუში

სკოლამდელი დაწესებულების დასუფთავების პროტოკოლი COVID-19 ეპიდემიის პერიოდში მუშაობისთვის

ნორმატიული ბაზა: _____

პასუხისმგებელი პირები: _____

დასუფთავება:

- რომელი სათავსები (ოთახები) რა ინტენსივობით სუფთავდება
- რომელი სათავსების დასუფთავებისთვის რომელი მეთოდი გამოიყენება (სველი წესით დასუფთავება, მტვრის აღება...)
- რომელ სათავსებში რომელი ზედაპირები სუფთავდება
- რომელ სათავსებში რომელი საწმენდი / სარეცხი საშუალებები გამოიყენება
- როგორ ხდება ნარჩენების მართვა (მოთხოვნები კონტეინერებთან დაკავშირებით)

დალაგებისთვის განკუთვნილი ინვენტარი და საშუალებები:

- იატაკის საწმენდი ჯოხი – სველი დამუშავებისათვის;
- ორგანოფილებიანი სათლი: სუფთა წყალი/სარეცხი საშუალებიანი სითხე;
- აქანდაზი და ცოცხი;
- ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი;
- მუშაობის წინსაფარი სანიტარიულ კვანძში ოპერირებისათვის;
- ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისათვის და ავეჯისთვის;
- ტილო საპირფარეშოების დასასუფთავებლად;
- საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი);
- ჰაერის დეზოდორი;
- ხის ავეჯის დასამუშავებელი (საჭიროების შემთხვევაში);
- ტყავის ზედაპირების დასამუშავებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ტილოების გასარეცხად განკუთვნილი სარეცხი ფხვნილი;
- ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი;
- სითხე იატაკის წმენდისა და გაპირალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.);
- უნიტაზის დასამუშავებელი სითხე;
- შუშის საწმენდი;
- ნიკელის, თითბრის და ლითონის სხვა ზედაპირების დასამუშავებელი საშუალება;
- ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება;
- დიდი და პატარა ნაგვის პარკები;
- სადებიინფექციო ხსნარი დასალაგებელი ინვენტარის დასამუშავებლად, დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ.

დამლაგებლის ეკიპირება (ინდივიდუალური დაცვის საშუალებები):

- პირბადე
- სახის ფარი



- ერთჯერადი ხალათი
- ხელთათმანი
- დახურული ფეხსაცმელი


დალაგებისთვის მომზადება:

ეკიპირების ეტაპები და თანმიმდევრობა:

- ხელების დეზინფექცია
- ერთჯერადი სითხეგაუმტარი ხალათის ჩაცმა უკან შესაკრავით
- ნიღბის და სახის ფარის გაკეთება
- ხელთათმანების ჩაცმა ისე, რომ ხალათის მანუეტები დაიფაროს

დალაგების დასრულების შემდეგ:

- ხელთათმანის გახდა გადმოტრიალების პრინციპით
- ხალათის გახდა
- ნიღბის და სახის ფარის მოხსნა
- ხელების განმეორებითი დეზინფექცია



დანართი №2.

თანამშრომლებისთვის შემუშავებული აღნიშვნის ფურცლის ნიმუში

აღნიშვნის ფურცელი თანამშრომლებისათვის

აღნიშნული კითხვარი საშუალებას მისცემს თანამშრომლებს ეფექტურად და ეფექტიანად დაგეგმონ და განახორციელონ სკოლამდელი დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის აღდგენა და წარმართვა

№	გასატარებელი ღონისძიებები	დასრულებული	მიმდინარე	ჯერ არ დაწყებული
1.	სკოლამდელ დაწესებულებაში განსაზღვრულია პანდემიის პირობებში პასუხისმგებელი პირები სხვადასხვა საკითხების კოორდინირებისთვის.			
2.	სკოლამდელ დაწესებულებაში შემოსვლამდე ხორციელდება ვიზიტორების თერმოსკრინინგი და ხელის ჰიგიენის პროცედურები.			
3.	ვიზიტორები შესაბამისად და სწორად იყენებენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს.			
4.	ბავშვების მიღება და გაშვება ხორციელდება სკოლამდელი დაწესებულების შემოსასვლელში.			
5.	განსაზღვრულია სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც ეკონტაქტება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და იღებს ვალდებულებას ბავშვის მიღება/გაშვებაზე.			
6.	თანამშრომლები იყენებენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს.			
7.	თანამშრომლებს შორის დაცულია ფიზიკური/სოციალური დისტანცია.			
8.	შენობაში უზრუნველყოფილია ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.			
9.	უზრუნველყოფილია COVID-19-ს პანდემიის პირობებში მოქმედი სკოლამდელი დაწესებულებებთან ასოცირებული სხვა რეკომენდაციების და მოთხოვნების იმპლემენტაცია.			
10.	სკოლამდელი დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ბავშვის ძალადობისგან დაცვა.			
11.	სკოლამდელი დაწესებულება დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში რაიმე ფორმით ძალადობრივი ქმედების დაფიქსირებისთანავე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
12.	სკოლამდელ დაწესებულებაში დაცულია ბავშვის პერსონალური მონაცემები.			
13.	სკოლამდელ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ბავშვის ინფორმირებულობა და ნახალისებულია გადანყვებულების მიღების პროცესში ჩართვა.			

14.	სკოლამდელი დანესებულების თანამშრომლები მხარს უჭერენ მუნიციპალიტეტს სკოლამდელ დანესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე საჭიროებების კვლევისა და ანალიზის პროცესში.			
15.	სკოლამდელი დანესებულება იღებს საკონსულტაციო საბჭოს დახმარებით, დროულ და თანამონაწილეობით პრინციპზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს COVID-19-ით გამონვულ საკითხებთან დაკავშირებით.			
16.	თანამშრომლები მომზადებული არიან მარეგულირებელი ორგანოების მიერ მონოდედებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილია რეგულაციების დანერგვა პრაქტიკაში.			
17.	სკოლამდელ დანესებულებაში გამოყოფილია იზოლაციის ოთახი. იზოლაციის ოთახს აქვს ბუნებრივი, ან ხელოვნური ვენტილაციის სისტემა. საიზოლაციო ოთახში არის: სკამი / სავარძელი / ტახტი, ხელსაბანი, ერთჯერადი ხელსახოცი, თხევადი საპონი და ხელის ანტიმიკრობული საშუალებები.			
18.	იზოლაციის ოთახში შექმნილია ბავშვზე ორიენტირებული, დაცული და უსაფრთხო, სტრესისგან თავისუფალი ფიზიკური და სოციალური გარემო			
19.	იზოლაციის ოთახი მუშავდება სველი წესით და დეზინფიცირდება მისი გათავისუფლებისთანავე.			
20.	მაღალი ტემპერატურის დაფიქსირებისთანავე დანესებულების წარმომადგენელი უკავშირდება მშობელს, ანვდის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სთხოვს, რომ ბავშვი გაიყვანოს სკოლამდელი დანესებულებიდან და ანვდის ინფორმაციას შემდგომი ნაბიჯების შესახებ.			
21.	დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალობა მაღალი ტემპერატურის (37C ან მეტი) მქონე ბავშვის და პერსონალის ვინაობის და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ			
22.	სკოლამდელ დანესებულებაში თანამშრომლები იცავენ 1 მეტრიან დისტანციას მათ შორის საერთო გამოყენების სივრცეებში, როგორცაა მაგალითად სასადილო ან მოსასვენებელი ოთახი.			

საგანმანათლებლო პროცესი

1.	სკოლამდელ დანესებულებას შეჩეული აქვს სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდების ფორმა.			
2.	თანამშრომლები მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავენ სკოლამდელი განათლების მომსახურების რომელიმე ფორმით მიწოდებაში და განხორციელებაში.			
3.	თანამშრომლების მხრიდან საგანმანათლებლო პროცესი დაგეგმილია დანესებულების რესურსების და თოთოეული ბავშვის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.			

4.	პირველი შეხვედრები (მაგალითად მიღება) ტარდება ღია სივრცეში, რისთვისაც გამოყენებული არის დაწესებულების ღია სივრცეები – ეზო, ვერანდა და სხვ. ზემოაღნიშნული პრაქტიკის განხორციელებისას დაცული არის ზრდასრულებს შორის 1 მეტრიანი ფიზიკური/სოციალური დისტანცია და არის გონივრული რაოდენობის პირების მონაწილეობა აქტივობაში.			
5.	საერთო გამოყენების სივრცეებში (ეზო, დარბაზი, სასადილო და სხვა) აქტივობები ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული განრიგის (ცხრილის) შესაბამისად, ისე რომ ერთ სივრცეში ბავშვების და პერსონალის რაოდენობა იმდენად არის შემცირებული, რამდენადაც გონივრულად მიღწევადია.			
6.	თითოეულ ჯგუფთან მუშაობს მხოლოდ ერთი და იგივე გუნდი.			
7.	ჯგუფში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის შემთხვევაში, ჯგუფში მუშაობს როგორც აღმზრდელი, ისე თანაშემწე.			
8.	თანამშრომლები სისტემატურად აწარმოებენ შერჩეული მიმდინარე ფორმ(ებ)ის მიხედვით ჩატარებულ საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების დასწრების აღრიცხვას.			
9.	თანამშრომლები ადგენენ ბავშვის მიერ სხვადასხვა შერჩეული მიმდინარე ფორმ(ებ)ის მიხედვით ჩატარებული საგანმანათლებლო პროცესის გაცდენის მიზეზებს.			
10.	იმ შემთხვევაში, თუ გაცდენა გამოწვეულია ბავშვის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის (მონწყობილობისა და ინტერნეტთან წვდომის) არქონით, თანამშრომლები პრობლემის მოგვარებამდე კოლეგებთან ერთად ინდივიდუალურად განიხილავენ არსებულ შესაძლებლობებს და გეგმავენ ალტერნატიულ ღონისძიებებს ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩასართავად როგორც დასწრებულად, ასევე დისტანციურად.			
11.	იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო პერსონალი ვერ ახერხებს სახლიდან ჩართვას ან არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა/ინტერნეტი სკოლამდელი დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი სივრცის გამოყოფას შესაბამისი პერსონალის მიერ (აღმზრდელი, სპეციალური პედაგოგი, და სხვა საგანმანათლებლო პერსონალი) აქტივობების დასაგეგმად და ჩასატარებლად.			
12.	თანამშრომლებმა უზრუნველყო ბავშვების საჭიროებების, შესაძლებლობების, ინტერესებისა და რესურსების იდენტიფიცირება.			
13.	სკოლამდელ დაწესებულებაში ხორციელდება დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა.			
14.	სკოლამდელ დაწესებულებაში ხორციელდება ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმების და უსაფრთხოების დაცვა.			

15.	აღმზრდელი საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე გაეცნო სხვადასხვა ლიტერატურას, აუდიო ვიდეო მასალას, რომელიც ბავშვებში გამოვლენილ სტრესზე მიანჯდის ინფორმაციას.			
16.	აღმზრდელი გაეცნო ბავშვებში სტრესის მართვას, მათ ემოციურ მხარდაჭერას და მედეგობის გაზრდის სტრატეგიებს.			
17.	სკოლამდელი დანესებულების წარმომადგენლები და საგანმანათლებლო პერსონალი შეხვდნენ მშობლებს მცირე ჯგუფებში და საჭიროებების შემთხვევაში ინდივიდუალურად, რათა მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ბავშვის შესახებ.			
18.	აღმზრდელმა მოიძია და შექმნა თამაშები რომელიც ეხება: ხელების დაბანის პროცედურებს, სახესთან ხელების არ მიტანას, თუ როგორ უნდა დაახველონ ბავშვებმა ისე, რომ არ შეუქმნან სხვას დისკომფორტი და საფრთხე. აღნიშნული თამაშები არის ბავშვისთვის სახალისო და საინტერესო.			
19.	აღმზრდელმა მიანოდა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სხვადასხვა სტრატეგია, თუ როგორ შეიძლება ბავშვთან ვირუსების, ბაქტერიების და მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ მისი ასაკობრივი ჯგუფისთვის გასაგები ენით და საშუალებებით საუბარი. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ზემოაღნიშნული სტრატეგიების გამოყენება. აღმზრდელმა მიანოდა მშობელს საბავშვო ლიტერატურა აღნიშნულ თემაზე, ან მიუთითა ვებ გვერდზე, სადაც დევს მსგავსი მასალა (ნახატები, ელექტრონული წიგნი, ვიდეო და ა.შ.).			
20.	აღმზრდელმა წაახალისა მშობელი აწარმოოს ბავშვთან დიალოგი, დაუსვას მას შეკითხვები სკოლამდელ დანესებულებასთან მიმართებაში, თუ რა მოლოდინები აქვს ბავშვს, შეუქმნას წინასწარი განწყობა და სათანადო მოლოდინები სხვადასხვა აქტივობებში ჩართვით			
21.	აღმზრდელს აქვს ინტენსიური კომუნიკაცია ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.			

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა

1.	სკოლამდელ დანესებულებაში უზრუნველყოფილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.			
